დაივარცხნე თმა!

- Comb your hair.

დაიხურე თავზე!

- Put on your hat.

ჩაიცვი ტანზე!

- Put on your clothes.

ჩაიცვი ფეხზე!

- Put on your shoes.

გაიხადე ფეხზე!

- Take off your shoes.





T-18

- რა განუხებთ?
- What's the problem?
- ორი დღე მაღალი სიცხე მექონდა. ახლა არა მაქვს, მაგრამ თავს ძალიან სუსტად ვგრძნობ.
- I was running a high temperature for two days. Now I'm not, but I feel very feeble.
- დაწექით, გაგსინჯავთ!
- Lie down, I'll examine you.
- ისეთი არაფერია. ანალიზები გაიკეთეთ?*
- Nothing serious. Have you had medical tests?
- დიახ, ანალიზები გავიკეთე.* კარდიოგრამაც გადავიღე**.
- პასუხიც თან მაქვს.
- Yes I had some tests. I've had ECG too. Here are the results.
- ძალიან კარგი, მაჩვენეთ!
- Very good, show me.
- სერიოზული არაფერია!
- Nothing serious.
- დალიეთ ვიტამინი C და კარგად გახდებით!
- Take vitamin C and you'll get better.
- გმადლობთ, კარგად იყავით!
- Thank you. Goodbye
- ნახვამდის!
- Goodbye

*Verbal form:

გაიკეთეთ (you've had),

გავიკეთე (I've had)

****გადავიღე** (I've taken) -express actions occurred in the past. This is the past perfect tense.

Remember! for the formation of the past perfect the thematic marker should be detached from the future tense forms and suffixes *ე* or *ო* should be added to the indivisible part of the verb (with its preverb) So:



p – Ip – ე/ო

To define which suffix should be used, *ე* or *-ო* you should remember the following.

If the indivisible part is non-reducable most of the cases (CVC) it will take *-ე*, but if it is reducable (CC) it will take *-ო*. For more details look at the diagram.



1. p - symbol of preverb



Subjective person markers of the III person singular in the past perfect tense are **-ა** and **-ე**, and most commonly **-ა**. Examples:

<p>მე და-წერ-ე მან და-წერ-ა</p>	<p>მე დავაბ-ი მან დააბ-ა</p>	<p>მე დავხატ-ე მან დახატ-ა</p>	<p>მე ავანთ-ე მან აანთ-ო</p>
<p>მე ვითამაშ-ე მან ითამაშ-ა</p>	<p>მე მოვკალ-ი მან მოკლ-ა</p>	<p>მე გავიზარდ-ე ის გაიზარდ-ა</p>	<p>მე ვაქ-ე მან აქ-ო</p>
<p>მე ავაშენ-ე მან ააშენ-ა</p>	<p>მე გავთბ-ი ის გათბ-ა</p>	<p>მე გავეზარდ-ე ის გაეზარდ-ა</p>	<p>მე ავაგ-ე მან ააგ-ო</p>
<p>მე წავშალ-ე მან წაშალ-ა</p>	<p>მე გავშავდ-ი ის გაშავდ-ა</p>		

1. The pronoun მან, which is the Ergative case form of the pronoun ის, is used with active verbs in the III person singular in the past perfect tense, (p.24)



Remember!

All active verbs having **-ს** as a subjective person marker in the III person, singular in the present and future tenses will have **-ეს** in the III person plural in the past perfect tense.

All active verbs having **-ა** as a subjective person marker in the III person, singular in the present and future tenses will have **-ნენ** in the III person plural in the past perfect tense.

Active Verbs:

present	ის წერ-ს	ის თამაშობ-ს	ის ააშენებ-ს	ის დახატავ-ს
past perfect	მათ დაწერ-ეს	მათ ითამაშ-ეს	მათ ააშენ-ეს	მათ დახატ-ეს

Passive Verbs:


present	ის იზრდ-ებ-ა	ის ეზრდ-ებ-ა	ის შავდ-ებ-ა
past perfect	ისინი გა-ი-ზარდ-ნენ	ისინი გა-ე-ზარდ-ნენ	ისინი გა-შავდ-ნენ

Write the following in the past perfect tense.

ვიცხოვრებ	I will live	დავარტყამ	I'll hit
ვითამაშებ	I will play	დავსვამ	I'll seat him
გავაკეთებ	I will do	ჩავიცვამ	I'll put on
მოვქსოვ	I will knit	დავდებ	I'll put
გავრეცხავ	I'll wash	დავიწყებ	I'll begin
გავათეთრებ	I'll whitewash	გავანათებ	I'll light up
შევკერავ	I'll sew	ავანთებ	I'll set fire (light)
წავიკითხავ	I'll read	დავარიგებ	I'll advise
დავიმალები	I'll hide	დავაცილებ	I'll separate
დავაძინებ	I'll put to sleep	გავახურებ	I'll warm up
ვიცეკვებ	I'll dance	დავამტკიცებ	I'll prove
გავთხრი	I'll dig	შევასრულებ	I'll fulfill
დავკარგავ	I'll lose	გავაფრთხილებ	I'll warn
მოვნახავ	I'll find	გავაფუჭებ	I'll spoil
მოვნარშავ	I'll boil	შევანუხებ	I'll disturb
შევხედავ	I'll see	მოვატყუებ	I'll deceive
დავხარჯავ	I'll spend		

1. 1 The pronoun **მათ** is the Ergative case form of the personal pronoun **ისინი** and is used with active verbs in the III person plural in the past perfect tense (see p.24).

Mono-personal active verbs always belong to the subjective order and the basic person is in the Ergative case, when the verb is in the past perfect tense. So:




Be-personal verbs of the active construction in the past perfect changes construction: Basic person is given in Ergative case and non-basic – in nominative case.



Conjugation of an Active Verb -**დავწერე** - (I have written) in the Past Perfect

Sg.						
basic person		non-basic person	Pl.		non-basic person	
I	მე	და- ვ -წერ-ე	ის	ჩვენ	და- ვ -წერ-ე-თ	ის
II	შენ	და-წერ-ე	ის	თქვენ	და-წერ-ე-თ	ის
III	მან	და-წერ-ა	ის	მათ	და-წერ-ეს	ის



For example:

მე	(თელმ)	დავწერე	წერილი.
შენ	(თელმ)	დაწერე	წერილი.
მან	(თელმ)	დაწერა	წერილი.

In tri-personal verbs the third person appears that often is animated and is always in the Dative case. It is a non-basic person too (In tri-personal verbs only two persons (S and O indir.) may have markers in the verb, but the third person (O dir) is always in the III person and is never shown in the verbs).

For example:

Basic person	Subjective order	Non-basic person	Non-basic person
მე	ავუშენე	სახლი	ამხანაგს
შენ	აუშენე	სახლი	ამხანაგს
მან	აუშენა	სახლი	ამხანაგს

So, to make no mistakes while defining case inflections of nouns participating in verbal constructions, it's very important to decide whether the verb is active or passive.



Remember!

Verbs having endings - ები/ება in the present tense or in the future tense they belong to the passive construction and ones that have no mentioned ending – be long to the active construction. All tri-personal verbs are active construction.

Active construction means that the basic and non-basic persons are changeable by cases in tenses, i.e. the basic person may be given in the Nominative, Ergative or Dative cases and one of the non-basic person may be given in the Nominative or Dative cases and the other non-basic person in tri-personal verbs as it was mentioned is always in the Dative case.

Passive construction means that the basic and non-basic persons are changeable by cases in all tenses, i.e. if the basic person stays in the Nominative cases, it remains in the Nominative case in all tenses, if it stays in the Dative case, it remains in the Dative case in all tenses.

In a few cases an active verb is bi-personal and a non-basic person is in the Dative case. This happens, when the bi-personal active verb forms the future tense by means of a prefix - უ (see p.62) and has the following structure:

უ+Ip+ებ+ს

For example

Present tense	კაც-ი	პატრონობს	ბავშვ-ს
Future tense	კაც-ი	უ-პატრონ-ებ-ს	ბავშვ-ს
Past perfect tense	კაც-მა	უ-პატრონ-ა	ბავშვ-ს

Here we have examples of mono- and bi-personal passive verbs in the future and past perfect tenses. All these verbs have the ending -ება in the future tense.

Future			Past perfect		
Basic		Non-basic	Basic		Non-basic
ის	გა-თბ- ება	—	ის	გა-თბ- ა	—
ის	და-წვ- ება	—	ის	და-წვ- ა	—
ის	მო-კვდ- ება	—	ის	მო-კვდ- ა	—
ის	გა-შრ- ება	—	ის	გა-შრ- ა	—
ის	ე-ზრდ- ება	მას	ის	გა-ე-ზარდ- ა	მას
ის	ე-მალ- ება	მას	ის	და-ე-მალ- ა	მას

Examples of mono- and bi-personal active verbs in the future and past perfect tenses are given below. None of these verbs has the endings -ები/ება in the future tense. They have either different thematic markers, or they appear without thematic markers at all and a subjective III person marker -ს is added in the III person.

Future				Past perfect			
Basic		Non-basic person	Non-basic person	Basic		Non-basic person	Non-basic person
ის	ი-მუშავ- ებს	--	--	მან	ი-მუშავ- ა	--	--
ის	ი-სწავლ- ის	--	--	მან	ი-სწავლ- ა	--	--
ის	შე-კერ- ავს	მას	--	მან	შე-კერ- ა	ის	--
ის	და-წერ- ის	მას	--	მან	და-წერ- ა	ის	--
ის	ა-აშენ- ებს	მას	--	მან	ა-ა-შენ- ა	ის	--
ის	ა-უ-შენ- ებს	მას	მას	მან	ა-უ-შენ- ა	ის	მას
ის	გა-უ-კეთ- ებს	მას	მას	მან	გა-უ-კეთ- ა	ის	მას
ის	ს-თხოვ- ის	მას	მას	მან	ს-თხოვ- ა	ის	მას





აფთიაქში
At a Chemist's

- **ნამალი მინდა შევუკვეთო.**
- I want to order some medicine.
- **რეცეპტით?***
- (By reception? - I.t.) Is it on a prescription?
- **დიახ, ინებეთ.**
- Yes, please, here it is.
- **მარვენეთ, აბა, რა ნამალია?**
- Show me what the medicine is.
- **ორ საათში მზად იქნება.**
- It will be ready in two hours.
- **არ შეიძლება, რომ უფრო ადრე დამიმზადოთ?***
- Can't it be prepared any faster?
- **არა, ბევრი შეკვეთა მაქვს.**
- No, I have many orders.
- **სიცხის დამწევი გაქვთ?**
- Have you anything for a fever?
- **პარაცეტამოლი.**
- Paracetamol.
- **რა ღირს?**
- How much does it cost?
- **სამოცდაათი თეთრი.**
- 70 tetri.
- **ძალიან კარგი, მომეცით პარაცეტამოლი, ბამბა, ბინტი, იოდი, სპირტი, ვალერიანის წვეთები და თერმომეტრი.**
- Very well, give me a bottle /packet of Paracetamol, cotton wool, a bandage, iodine, alcohol, valerian and a thermometer.
- **ფული თქვენ უნდა გადაგიხადოთ?**
- Do I pay you?
- **არა, ფული სალაროში უნდა გადაიხადოთ.**
- No, you have to pay at the cash-box.
- **ინებეთ ქვითარი.**
- Take the bill.
- **კარგად იყავით!**
- Good bye.

***რეცეპტით** (by reception) -

ით Adverbial case inflection

The ablative case is used in the following situations:

1) to express means, method, tool of action:

ფანქრით ვწერ
I write with pen.

კოვზით ვჭამ
I eat with spoon.

მანქანით წავაღ
I'll drive by car.

ფეხით დავდივარ
I walk by foot.

ხელით გავაკეთე
I did it by hand.

2) a subject in something:

ღვინით სავსე ჭიქა
a glass with wine.

ქირავდება ბინა ავეჯით
a flat with furniture is to let.

ფულით სავსე ჩანთა
a bag, full of money.

გული სავსე აქვს სიკეთით
He has a heart full of kindness.

3) meaning «for»

გამათავისუფლე სამი დღით!
relieve me for 3 days

100 პროცენტით
for 100 percent

4) to form adverbial modifiers of time

ღამით at night

დღისით by day

დღით in the morning

სადამოთი in the evening

** რომ დამიმზადოთ - (prepare)

უნდა გადაიხადოთ - (You have to pay.) - these are verbs of the subjunctive mood, it's so called II subjunctive.



Remember that the suffixes - ე, ო, ა form the II subjunctive. All verbs that have - ე in the past perfect, will have - ო in the II subjunctive. Most verbs are formed exactly like this. See below for the exceptions.

Past perfect - ე → II subjunctive - ო

There are also other markers ა or - ე

Examples:

Past perf.	II subjunct.	Present	Past perf.	II subjunct.
და-ვ-წერ- ე	და-ვ-წერ- ო	ვიცვ- ამ	ჩავიცვ- ი	ჩავიცვ- ა
წავიკითხ- ე	წავიკითხ- ო	ვაბ- ამ	დავაბ- ი	დავაბ- ა
გავიზარდ- ე	გავიზარდ- ო	ვარტყ- ამ	დავარტყ- ი	დავარტყ- ა
გავეზარდ- ე	გავეზარდ- ო	ვკლ- ავ	მოვკალ- ი	მოვკალ- ა
დავხატ- ე	დავხატ- ო	ვიკრ- ავ	შევიკარ- ი	შევიკარ- ა
ავაშენ- ე	ავაშენ- ო	ვჭრ- ი	დავჭერ- ი	დავჭერ- ა
მოვქსოვ- ე	მოვქსოვ- ო	ვთბ- ები	გავთბ- ი	გავთბ- ე
დავრეკ- ე	დავრეკ- ო	ვწითლ- დები	გავწითლდ- ი	გავწითლდ- ე
შევკერ- ე	შევკერ- ო	ვშავ- დები	გავშავდ- ი	გავშავდ- ე



Remember! that the subjective person marker in the II subjunctive, III person, singular is - ს and - ნ in the plural.



For example:

Basic		Non-basic	Basic		Non-basic
მე	და-ვ-წერ- ო	ის	ჩვენ	და-ვ-წერ- ო-თ	ის
შენ	და-წერ- ო	ის	თქვენ	და-წერ- ო-თ	ის
მან	და-წერ- ო-ს	ის	მათ	და-წერ- ო-ნ	ის

The case of the subject and object (direct and indirect) does not change in the II subjunctive and stay the same as in the past perfect.

Examples in sentences:

Verbs in the Future Tense

Having no: **-ებ-ი/ებ-ა**

Active

present : მე ვ-ცხოვრობ (I live)

ქალ-**ი** ცხოვრობ-ს

p.imperf.. ქალ-**ი** ცხოვრობ-დ-ა

future : ქალ-**ი** ი-ცხოვრებ-ს

p.perfekt: ქალ-**მა** ი-ცხოვრ-ა
(The/a woman has lived.)

II subjunctive ქალ-**მა** უნდა იცხოვრო-ს
(The/a woman must live)

present : მე ვ-ხატავ სურათ-**ს**
(I'm drawing picture)

ბიჭ-**ი** ხატავ-ს სურათ-**ს**

p.imperf.. ბიჭ-**ი** ხატავ-დ-ა სურათ-**ს**

future : ბიჭ-**ი** და-ხატავ-ს სურათ-**ს**

p.perfekt: მე და-ვ-ხატ-ე სურათ-**ი**
ბიჭ-**მა** და-ხატ-ა სურათ-**ი**
(A boy has drawn a picture)

II subjunctive ბიჭ-**მა** უნდა და-ხატო-ს
სურათ-**ი**

(A boy has to draw a picture)

present : მე ვ-სწავლობ გაკვეთილ-**ს**
(I'm studying a lesson)

ნანა სწავლობ-ს გაკვეთილ-**ს**

p.imperf. ნანა სწავლობ-დ-ა გაკვეთილ-**ს**

future : ნანა ი-სწავლი-ს გაკვეთილ-**ს**

p.perfekt: მე ვ-ი-სწავლ-ე გაკვეთილ-**ი**
ნანა-**მ** ი-სწავლ-ა გაკვეთილ-**ი**
(Nana has studied the lesson)

II subjunctive ნანა-**მ** უნდა ი-სწავლო-ს
გაკვეთილ-**ი**

(Nana has to study the lesson)

present : მე ვ-წერ წერილ-**ს** ამხანაგ-**ს**
(I'm writing a letter to my friend).

გიორგი ს-წერ-ს წერილ-**ს** ამხანაგ-**ს**

p.imperf.: გიორგი ს-წერ-დ-ა წერილ-**ს**
ამხანაგ-**ს**

future: გიორგი მი-ს-წერ-ს წერილ-**ს**
ამხანაგ-**ს**

p.perfekt: მე მი-ვ-წერ-ე წერილ-**ი** ამხანაგ-**ს**
გიორგი-**მ** მი-ს-წერ-ა წერილ-**ი**
ამხანაგ-**ს**
(Giorgi has written a letter to his friend).

II subjunctive გიორგი-**მ** უნდა მი-ს-წერო-ს
წერილ-**ი** ამხანაგ-**ს**
(Giorgi has to write a letter to his friend)

Having **-ებ-ი/ებ-ა**

Passive

present : მე ვ-იზრდ-**ებ-ი** (I'm growing)

ბავშვ-**ი** იზრდ-**ებ-ა**

p.imperf.. ბავშვ-**ი** იზრდ-ებ-ო-დ-ა

future : ბავშვ-**ი** გა-იზრდ-**ებ-ა**

p.perfekt: მე გა-ვ-იზარ-დ-ე
ბავშვ-**ი** გა-იზარ-დ-ა (A/the child has grown up)

II subjunctive ბავშვ-**ი** უნდა გა-იზარდო-ს
(A child must grow)

present : მე ვ-ეფერ-**ებ-ი** კატა-**ს**
(I'm caressing my cat)

ეთერ-**ი** ეფერ-**ებ-ა** კატა-**ს**

p.imperf.. ეთერ-**ი** ეფერ-ებ-ო-დ-ა კატა-**ს**

future : ეთერ-**ი** მო-ეფერ-**ებ-ა** კატა-**ს**

p.perfekt: მე მო-ვ-ეფერ-ე კატა-**ს**
ეთერ-**ი** მო-ე-ფერ-ა კატა-**ს**
(Eteri has caressed her cat)

II subjunctive ეთერ-**ი** უნდა მო-ეფერო-ს
კატა-**ს**

(Eteri has to caress her cat)

present : მე მ-ცივ-ა
(I'm cold)

ნანა-**ს** ს-ცივ-ა

p.imperf. ნანას ს-ცივო-დ-ა

future : ნანას შე-ს-ცივდ-ებ-ა

p.perfekt: მე შემცივდა
ნანას შესცივდა (Nana has been cold)

II subjunctive ნანა-**ს** რომ შესცივდეს
(If Nana will be cold, -l.t.)

If Nana is cold

present : მე მ-ჭირდ-**ებ-ა** წიგნ-**ი**
(I need a book)

ლევან-**ს** ს-ჭირდ-**ებ-ა** წიგნ-**ი**

p.imperf.: ლევან-**ს** ს-ჭირდ-ებ-ო-დ-ა
წიგნ-**ი**

future : ლევან-**ს** და-ს-ჭირდ-**ებ-ა**
წიგნ-**ი**

p.perfekt: მე და-მ-ჭირდ-ა წიგნ-**ი**
ლევან-**ს** და-ს-ჭირდ-ა წიგნ-**ი**
(Levan has needed a book)

II subjunctive ლევან-**ს** რომ და-ს-ჭირდ-ე-ს
წიგნ-**ი**

(If Levan will need a book . . .)




Write the following and add case inflections.

ლევან	იდგა	(Levan was standing)
კაც	იწვა	(A man was lying down)
ქალ	იჯდა	(A woman was sitting)
კაცი	იცხოვრა	(A man lived)
გოგონა	იმუშავა	(A girl worked)
ბავშვ	თავი ეტკინა	(The child had a headache)
ნიკო	არ ჰქონდა ფული	(Niko had no money)
დედა	გააკეთა სადილი	(Mum cooked dinner)
ვანომ	ააშენა სახლ	(Vano built a house)
გიორგიმ	ფული სთხოვა მამა	(Giorgi asked money from his father)
თინა	პერანგი შეუკერა	(Tina sewed a shirt for her daughter)
ქალიშვილ		

In the Georgian language the same form of a verb can express the past perfect tense, if it is in the indicative mood and the future tense if it is in the imperative mood.

For example:



Examples of imperative mood:

მოდი ¹	(Come here)	გაიხადე!	(Take off)
მიდი	(Go there)	ჭამე!	(Eat)
წადი	(Go)	დალიე!	(Drink)
შემოდი!	(Come in)	წაიკითხე!	(Read)
გადი!	(Go out)	დაწერე!	(Write)
ადექი!	(Get up)	გააკეთე!	(do)
დაწექი!	(Go to bed)	გაჩუმდი!	(Keep quiet)
ჩაიცვი!	(Put on)	გაჩერდი!	(Stop).

Examples of Indicative Mood:

მოსვედი,	მიხვედი	(you came)
წახვედი		(you went)
შემოსვედი		(you came in)
გახვედი		(you went out)

Write other forms of this verb with different prefixes.

¹ The verb *მოდი* with different prefixes indicating direction is an exception where the indicative mood form differs from the imperative mood form.



კბილის ექიმთან
At the Dentist's

გამარჯობათ!

Good morning/afternoon.

გაგიმარჯოთ!

Good morning/afternoon

რა განუხებთ?

What's the problem?

ძალიან მტკივა კბილი.

I have a bad toothache

აბა მაჩვენეთ! გააღეთ პირი!

Show me! Open your mouth.

მეექვსე კბილი მტკივა.

(My sixth tooth is aching. - l.t.) My tooth is aching - this one.

სურათი გადაიღეთ?

Have you had an x-ray?

ვერ გადავიღე*, დრო არ მქონდა*.

No, I couldn't. I didn't have the time.

ეს კბილი უნდა ამოიღოთ.

This tooth should be extracted.

ძალიან მეტკინება?

Will it hurt?

ნუ ღელავთ! კარგად ამოგიღებთ!**

Don't worry! (I'll pull out it well - l.t.) You won't feel anything.

აი თქვენი კბილი!

Here is your tooth.

გადაანერწყვეთ!

Spit.

ორი საათის განმავლობაში არ ჭამოთ.

Don't eat for two hours.

ჭამის შემდეგ გამოივლეთ სოდიანი წყალი!

After meals rinse your mouth with water and soda.

***ვერ გადავიღე, *დრო არ მქონდა, ნუ ღელავთ,**
negative forms of verbs

არ, ნუ, ვერ negative particles

არ -expresses categorical negation. For example:

არ წავიდა did not go

არ გააკეთა did not do

არ დარეკა did not call

Also forms negative forms of the imperative mood in the II subjunctive.

არ დაწერო! Don't write

არ გააკეთო! Don't do it.

ნუ is used with present or future tense forms of imperative mood, forbidding action.

For example:

ნუ გააკეთებ! Don't do it!

ნუ დაწერ! Don't write!

ნუ წახვალ! Don't go!

ვერ means impossibility of action. For example:

ვერ წავედი could not go.

ვერ დავწერე could not write.

ვერ წავიკითხე could not read.

****კარგად** (well) **ად** is an Adverbial case inflection. The Adverbial case is used in the following cases:

1) to form adverbial modifiers from an adjective, for example:

კარგი	good (adjective)
კარგად	(well)–Adverbial modifier
ლამაზად	ცუდად

2) to express transformation:

მხეცად იქცა

turned into an animal;

purpose:

ცოლად მინდა

I want to marry her (take as a wife)

ექიმად მუშაობს.

works as a doctor

დირექტორად დანიშნეს

he was appointed director

ხუთ ლარად ვიყიდე

bought it for 5 lari

3) to indicate place: **მეზობლად** ცხოვრობს
lives next door (in the neighbourhood).

Vocabulary

ჩივილები complaints

ცუდად ვარ I'm bad.
თავს ცუდად ვგრძნობ I feel bad
აგად ვარ I'm ill.
სუსტად ვარ I feel weak.

მტკივა { **თავი** My head is aching.
გული I have a pain in my heart.
ყელი My throat is aching.
მუცელი My stomach is aching.

მაკანკალებს I'm trembling (shivering)
თავბრუ მესვენვა I feel dizzy.
გვერდში მჭვალავს I have a stitch in my side.



სნეულებანი	Disease:	ექიმი	Doctor
გრიპი	influenza	თერაპევტი	therapist
ანგინა	tonsillitis/sore throat	ქირურგი	surgeon
სურდო	cold (in the head)	ყელყურის ექიმი	ears nose and throat specialist
ფილტვების ანთება	pneumonia	თვალის ექიმი	oculist
კუჭის წყლული	gastric ulcer	კბილის ექიმი	dentist
გულის ტკივილი	heart trouble	ნევროლოგი	neurologist
დიაბეტი	diabetes	გინეკოლოგი	gynaecologist
		უროლოგი	urologist





სასწრაფო დახმარება
Ambulance

სასწრაფო დახმარებაა?
Is it an ambulance?
დიახ.
Yes.
ექიმი გვინდა გამოვიძახოთ!
We want to call a doctor.
ავადმყოფის გვარი და სახელი?
The patient's full name?
ვახტანგ კილაძე.
Vakhtang Kiladze.
ასაკი? რამდენი წლისაა?
Age? How old is he?
ორმოცის.
Forty.
მისამართი?
Address?
ბარნოვის ქუჩა, ნომერი ხუთი (№5). მესამე სადარბაზო, მეორე სართული, ბინა სამი.
5 Barnowi st, III entrance, II floor, apt 3.
მალე მოვალთ!
We'll arrive soon.
გმადლობთ!
Thank you.

Vocabulary

წამალი – medicine

ხველების საწინააღმდეგო
for a cough

გრიპის საწინააღმდეგო
for influenza

სურდოს საწინააღმდეგო
for a cold

ყელის ტკივილის for a sorethroat
ყურის ტკივილის for an ear ache
თვალის ტკივილის for grit in the eyes
თავის ტკივილის for a headache

წნევის დასაწევი
hypotension

სიცხის დასაწევი
to reduce a fever

კუჭის აშლილობის
anti-diarrhea

კუჭის შეკრულობის
purgative

გულის წვეთები
cardiac drops

წვეთები drops
აბები pills
მალამო ointment

Prase:

რომელ საათებში აქვს მიღება თვალის ექიმს?
When does the oculist receive patients?

როდის გახდით ავად?
When did you fall ill?

მიიღეთ დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზით!
Take one spoonful 3 times a day.

მიიღეთ 1-2 აბი!
Take 1-2 pills



ავადმყოფთან

At the Patient's

- გამარჯობა(თ)! რა განუხებთ?

- Good morning/afternoon/ evening. What's the problem?

- სიცხე მაქვს. თავი მტკივა და გული მერევა.

- I'm running a temperature, I have a headache and nausea.

- როდის გახდით ავად?

- When did you fall ill?

- ორი დღეა ვწევარ.

- I've been in bed for two days.

- წნევას გაგიზომავთ. საერთოდ როგორი წნევა გაქვთ?

- I'll take your blood pressure. What's your pressure usually?

- ნორმალური, ას ოცი სამოცდაათზე.

- Normal 120 over 70.

- ახლა ცოტა მეტი გაქვთ. მიიღეთ ეს წამალი. წნევა დაგინევთ და თავის ტკივილიც გაგივლით. პერანგი აიწიეთ! გულსა და ფილტვებს მოვუსმენ.

- Now it's slightly elevated. Take this medicine. The pressure will fall and your headache will go. Raise your shirt. I'll listen to your heart and lungs.

- ღრმად ისუნთქეთ! ნუ სუნთქავთ! საკმარისია. ფილტვები სუფთაა. გაციებულნი ხართ. ერთი აბი ასპირინი მიიღეთ ჭამის შემდეგ, მიიღეთ ბევრი სითხე: ცხელი ჩაი, კომპოტი, წვენები. დაიცავით დიეტა!

- Breathe deeply. Don't breathe. It's enough. Your lungs are clean. You've caught a cold. Take an aspirin after meals take a lot of liquid: hot tea, compote, juices. Keep a diet!

- ორი-სამი დღე იწექით ლოგინში, ნუ ადგებით. საშიში არაფერია. ყველაფერი გაგივლით. მალე კარგად იქნებით.

- Stay in bed for 2-3 days. Don't get up. It is nothing serious. Everything will pass off. You'll get well soon.

- დიდი მადლობა!

- Thank you very much.

- ეს წამალი დღეში სამჯერ დალიეთ თითო ჩაის კოვზით ჭამის შემდეგ.

- Take this medicine 3 times a day, one teaspoonful after meals.

გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას!

I wish you a fast recovery.





Gurian folk song performed
by «Rustavi»ensemble

Part V

Trade



T-19

- რა ღირს* ეს წიგნი?
- How much is this book?
- ეს წიგნი ხუთი ლარი ღირს.
- This book costs 5 Lari.
- რა ღირს ერთი კილოგრამი ვაშლი?
- How much is a kilogram of apples?
- ერთი კილოგრამი ვაშლი ღირს 2 ლარი.
- One kilogram of apples costs 2 Lari.
- რა ღირს ასი გრამი ხაჭო?
- How much are 100 grams of curds?
- ასი გრამი ხაჭო ღირს 1 ლარი.
- 100 grams of curds cost 1 Lari.
- რა ღირს (ერთი ცალი) ქართული პური?
- How much is a Georgian loaf of bread?
- (ერთი ცალი) ქართული პური ღირს 1 ლარი.
- (One) Georgian loaf costs 1 Lari.
- რა ღირს ერთი ბოთლი «ბორჯომი»?
- How much is a bottle of Borjomi?
- ერთი ბოთლი «ბორჯომი» ღირს 1 ლარი.
- A bottle of Borjomi costs 1 Lari.
- რა ღირს ერთი ლიტრი ღვინო?
- How much is (one) litre of wine?
- ერთი ლიტრი ღვინო ღირს 7 ლარი.
- (One) litre of wine costs 7 Lari.
- რა ღირს (ერთი ქლა) მანონი?
- How much is a jar of matsoni?
- (ერთი ქლა) მანონი ღირს 50 თეთრი.
- One jar of matsoni costs 50 tetri.

*ღირს (it costs) is a mono-personal verb. In the present tense forms I and II persons both in the singular and the plural by means of an auxiliary verbs ვარ, ხარ but note that the III person is without an auxiliary verb:

ვ-ღირ-ვარ, ღირ-ხარ, ღირ-ს
These verbs have no past perfect form.

Present

Singular		Plural	
მე	ვ-ღირ-ვარ	ჩვენ	ვ-ღირ-ვარ-თ
შენ	ღირ-ხარ	თქვენ	ღირ-ხართ
ის	ღირ-ს	ისინი	ღირ-დ-ნენ


Past Imperfect

Singular		Plural	
მე	ვ-ღირ-დი	ჩვენ	ვ-ღირ-დ-ით
შენ	ღირ-დი	თქვენ	ღირ-დი-თ
ის	ღირ-და	ისინი	ღირ-დ-ნენ

Future

Singular		Plural	
მე	ვ-ელირ-ე	ჩვენ	ვ-ელირ-ებ-ით
შენ	ელირ-ე	თქვენ	ელირ-ებ-ით
ის	ელირ-ება	ისინი	ელირ-ებ-იან

Compose sentences using the forms of the verb «ღირს».





T-20

- რა ღირს ერთი მეტრი შალის ქსოვილი?
- How much is one metre of wool cloth?
- რომელი გნებავთ?
- Which one would you like?
- აი, ის თეთრი* შალის ქსოვილი.
- That white wool cloth.
- თეთრი თუ მოთეთრო*?
- White or whitish?
- მოთეთრო.
- Whitish.
- ერთი მეტრი ეს ქსოვილი 20 ლარი ღირს.
- One metre of this cloth costs 20 Lari.
- ძალიან ძვირია.
- It's very expensive.
- სხვა რამე გაქვთ მაგ** ფერის?
- Have you got anything else of the same colour?
- არა, ამ ფერის სხვა არაფერია.
- No, we've got nothing else of the same colour.

* თეთრი (white) - qualitative adjective. In the Georgian language, qualitative adjectives have the following degrees of comparison:

1) positive degree indicates the existence of a subject and represents the basic form.:

For example

- მაღალი - tall
- ლამაზი - beautiful
- დიდი - big

2) comparative - superlative «more form» which is formed from the positive by means of a prefix and suffix უ-ეს.

For example:

- ლამაზი უ-ლამაზ-ეს-ი (most beautiful)
- დიდი უ-დიდ-ეს-ი (greatest)

3) from positive adjectives are also formed those adjectives that correspond to English adjectives and are created by means of the suffix მო-ო

For example:

- * მო-თეთრო - whitish
- მო-ლურჯო - bluish

It should be taken into consideration, that the addition of the prefix - suffix უ-ეს or მო-ო is followed by certain phonetic changes: vowels from the adjective stem are reduced or clipped.

For example:

- წითელი უ-წითლ-ეს-ი
- ყვითელი უ-ყვითლ-ეს-ი
- მწვანე უ-მწვან-ეს-ი

Vowels are substituted. For example:

- წითელი მოწითალო
- ყვითელი მოყვითალო

and sometimes the last syllable is lost. For example:

- გრძელი მოგრძო
- ტკბილი მოტკბო



Coins dating from the reign of David the Builder.



In Georgian, as in English, there are also descriptive forms that express different degrees of adjective comparison. Such words are used in pairs with positive degree adjectives.

For example

ოდნავ წითელი }
ნაკლებად წითელი } Reddish

მეტად }
უფროს } წითელი Redder

ძალიან წითელი Very red
ძლიერ წითელი Very red

If we take into account the descriptive forms of the degrees of comparison too, we shall have a four-step system that coincides exactly with the English system where adjectives don't have all the forms.

ოდნობითი ish form	დადებითი positive form	შედარებითი comparative	აღმატებითი superlative
მო-თეთრ-ო	თეთრ-ი	უფროს თეთრ-ი	უ-თეთრ-ეს-ი
მო-ლურჯ-ო	ლურჯ-ი	უფროს ლურჯ-ი	უ-ლურჯ-ეს-ი
მო-წითალ-ო	წითელ-ი	უფროს წითელ-ი	უ-წითელ-ეს-ი
მო-ყვითალ-ო	ყვითელ-ი	უფროს ყვითელ-ი	უ-ყვითელ-ეს-ი
მო-დიდ-ო	დიდ-ი	უფროს დიდ-ი	უ-დიდ-ეს-ი
მო-გრძ-ო	გრძელ-ი	უფროს გრძელ-ი	უ-გრძ-ეს-ი
—	მოკლე	უფროს მოკლე	უ-მოკლ-ეს-ი



There are also those adjectives, the formation of comparison degrees of which do not submit to any general rules. They should be memorized

კარგი (good) უკეთესი (better) საუკეთესო (the best)
ცუდი (bad) უარესი (worse)



Vocabulary

ფერები Colours

ფერი	colour
თეთრი	white
შავი	black
წითელი	red
ლურჯი	blue
მწვანე	green
ყვითელი	yellow
რუხი	grey
მუქი	dark
ღია	light
ჭრელი	motley
მკვეთრი	bright
მკრთალი	pale

There is also another method for the indication of this or that colour. The word (ფერი) (colour) in combination with nouns:

ვარდისფერი	pink
იისფერი	violet
ცისფერი	sky-blue
ყავისფერი	brown
ოქროსფერი	bright
ლიმონისფერი	yellow (lemon)



** მაგ ფერის (of the same colour). მაგ. demonstrative pronoun. Demonstrative pronouns. - ეს, ის, ეგ, იგი მაგ - change their form in the Genitive case

	Sg.			Pl.				
სახ.	ეს	ის	ეგ	იგი	ესენი	ეგენი	ისინი	იგინი
მოთხ.	ამა-ნ	იმა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ				
მიც.	ამა-ს	იმა-ს	მაგა-ს	მა-ს	}ამათ	მაგათ	იმათ	მათ
ნათ.	ამ-ის	იმ-ის	მაგ-ის	მ-ის				

If they appear together with a noun, pronouns have no case inflections and are represented by a stem only. For example:

სახ.	ეს	კაც-ი	ის	კაც-ი	ეგ	კაც-ი
მოთხ.	ამ	კაც-მა	იმ	კაც-მა	მაგ	კაც-მა
მიც.	ამ	კაც-ს	იმ	კაც-ს	მაგ	კაც-ს
ნათ.	ამ	კაც-ის	იმ	კაც-ის	მაგ	კაც-ის

.....etc.....

Only nouns take the plural forms. For example::

სახ.	ეს	კაც-ებ-ი	ის	კაც-ებ-ი	ეგ	კაც-ებ-ი
მოთხ.	ამ	კაც-ებ-მა	იმ	კაც-ებ-მა	მაგ	კაც-ებ-მა

.....etc.....

If a demonstrative pronoun appears with a verb (without a noun) it is a personal pronoun (see p.28) For example:

მან გააკეთა (he did) **მან** შეკერა (she sewed)



T-21

- სად შემიძლია ვიყიდო* კარგი ფეხსაცმელი?
- Where can I buy a pair of good shoes?
- კარგ ფეხსაცმელს იყიდით საფირმო მაღაზიაში.
- You can buy good shoes in a proprietary shop.
- სად შემიძლია ვიყიდო შალის სვიტრი?
- Where can I buy a woolen sweater?
- ნამდვილ შალის სვიტრს იყიდით მაღაზია «ბუმში».
- A pure wool sweater you can buy in the shop "Bum".
- სად შემიძლია ვიყიდო ჩემთვის ზამთრის პალტო?
- Where can I buy a winter coat for myself?
- თქვენთვის პალტოს ალბათ მაღაზია «მოდაში» იყიდით.
- You can probably buy yourself a coat in the shop «Moda».
- სად შემიძლია ვიყიდო კარგი კოსტიუმი ვუყიდო* ჩემს ქმარს?
- Where can I buy a good suit for my husband?
- მამაკაცის კარგი კოსტიუმები იყიდება მაღაზია «დავითში».
- Good suits for men are for sale in the shop «Daviti».
- სად შემიძლია ვუყიდო ჩემს ქალიშვილს მოდური კაბა?
- Where can I buy a fashionable dress for my daughter?
- ძალიან ლამაზი კაბები იყიდება მაღაზია «მორკინალიში». თქვენს ქალიშვილს კარგ კაბას იქ უყიდით.
- Very nice dresses are for sale in the shop «Morkinali». You can buy a good dress for your daughter there.

*ვიყიდო (buy something)

ვუყიდო (buy something for somebody)

Verbal forms «ვიყიდი», «ვუყიდი» differ from each other by vowels -ი and -უ that stand after personal markers and indicate version.



Remember

that a version is a form of verb that shows for whom the action is accomplished, i.e. to whom the object of the action its direct object belongs.

I.If the object of the action is intended for the acting person it will be version «for himself i.e. subjective. Its marker (morpheme) is the prefix -ი.

Acting person object of action



For example:

- მე ვ-ი-შენებ სახლს (I'm building a house for myself).
- შენ ი-შენებ სახლს (You are building a house for yourself)
- ის ი-შენებს სახლს (He is building a house for himself)

If an object of action is not intended for the acting person, but for somebody else, this is the so called objective version.

Acting person Object of action other person



Objective version morphemes are prefixes უ, ი depending on the order of the verb. If it belongs to the subjective order, morpheme will be უ



- მე ვუშენებ სახლს ამხანაგს (I'm building a house for my friend)
- შენ უშენებ სახლს ამხანაგს.
- ის უშენებს სახლს ამხანაგს.

In the case of an objective order objective version morpheme in I and II person is the prefix **ო-**, and in the III person the prefix **უ-**

შენ მიშენებ **მე** სახლს (You are building a house for me).
 შენ უშენებ **მას** სახლს (You are building a house for him)

Usually verbs of the objective order are tri-personal

III. The neutral form of a version does not indicate for whom the action is intended. In this case there either is no morpheme, or the morpheme is the prefix **-ა**.



For example:

მე	ვ-ა-კეთებ	ვ- თ -წერ	მე	ვ-ა-შენებ	სახლს
მე	ვ-ა-თეთრებ	ვ- თ -კერავ	შენ	ა-შენებ	სახლს
			ის	აშენებს	სახლს

But sometimes an existing version morpheme does not function. For example:

ვ-~~თ~~-ცხოვრებ
 ვ-~~თ~~-თამაშებ



Neutral version
 «for no-one»

Version «for oneself»
 (subjective version)

Version «for somebody else»
 (objective version)

ვ- თ -კეთებ	ვ-ი-კეთებ	ვ- უ -კეთებ
ვ- თ -შენებ	ვ-ი-შენებ	ვ- უ -შენებ
ვ- თ -წერ	ვ-ი-წერ	ვ- უ -წერ
ვ- თ -კერავ	ვ-ი-კერავ	ვ- უ -კერავ
ვ- თ -რჩევ	ვ-ი-რჩევ	ვ- უ -რჩევ
_____	ვ- თ -ყიდი	ვ- უ -ყიდი ¹

1 Some verbs do not have all forms of versions. The verbal form ვიყიდი has a subjective version morpheme, but in meaning has the function of a neutral version (because this verb has no neutral version). So, ვიყიდი is the neutral version, and ვუყიდი is the objective. Similar verbs are აიღო, აუღო; გაიგო, გაუგო etc.



მაღაზიაში
In the shop

მინდა* ფენსაცმელი ვიყიდო ჩემთვის.

I want to buy myself some shoes.

რა ზომას სმარობთ? რა ნომერი გნებავთ?

What size do you take? Which number would you like?

ზუსტად არ ვიცი. შეიძლება გავისინჯო ეს მაღალქუსლიანი ფენსაცმელი?

I don't know exactly. May I try on these high-heeled shoes?

ინებეთ, მოიზომეთ, როგორ გაქვთ?

Here you are. Try them on. How do they fit?

დიდი მაქვს.

They are too big.

პატარა მაქვს.

They are too small.

მიჭერს.

They are too tight.

კარგად მაქვს.

ერთი ზომით დიდი არა გაქვთ?

Haven't you these in one size bigger?

დიახ გვაქვს. აი, ეს ერთი ზომით დიდია.

Yes, we have. These are one size bigger.

ო, ეს კარგად მაქვს!**

O, they fit me.

ძალიან გიხდებათ!***

They suit you very well.

იყიდით? აიღებთ? გამოგიწეროთ ჩეკი?

Will you buy them? Will you take them? Shall I give you a bill?

დიახ, ვიყიდი, გამომიწერეთ ჩეკი.

Yes, I'm buying them. Give me the bill.

***მინდა მე ის** (I want) is a bipersonal verb of the objective order in the present tense.

Past imperfect **მინდოდა,**

future **მომინდება** – past perfect – **მომინდა.**

For example (მინდა მე ის).

ჩაი მინდა	I'd like some tea
ძილი მინდა	I want to sleep
წყალი მინდა	I want some water
საჭმელი მინდა	I want to eat

მინდა is used as a modal verb too.

In the present tense **მინდა** requires the II subjunctive or so called infinitive form of the verb, from the one with which it stands in a pair (see below)

For example

მე მინდა ვიყიდო

მე მინდა ყიდვა

I want to buy.

მე მინდა დავწერო

I want to write.



****ო** is an interjection. In this case it expresses gladness



***** გიხდებათ თქვენ ის** (It suits you). Bi-personal verb of the objective - order in the present tense. Conjugate **მიხდება**

Basic forms:

მიხდება

Present:	მე მიხდება ის
Past imperfect:	მე მიხდებოდა ის
Future:	მე მომიხდება ის
Past Perfect:	მე მომიხდა ის



Vocabulary

ტანსაცმელი Clothes

ქუდი	hat
ქურქი	fur-coat
პალტო	coat
ლაბადა	rain coat
კოსტიუმი	suit
ბიჯაკი	jacket
ჟილეტი	waistcoat
შარვალი	trousers
კაბა	dress
ქვედა კაბა	skirt
სვიტრი	sweater
ჟაკეტი	jacket
კოფთა	jacket (warm over- coat)
პერანგი	shirt
სარაფანი	tunic
მაისური	sportsshirt, vest
ხალათი	robe
ბიჯამო	pajamas
ტრუსი	panties (men's briefs)
წინდა	socks, stockings
ფეხსაცმელი	shoes
ჩექმები	boots
ფლოსტები	bed-room slippers



ჩანთა	bag
პორტფელი	portfolio
ხელთათმანი	gloves
კაშნე	scarf
ჰალსტუხი	tie
თავსაფარი	headscarf (triangular)
ცხვირსახოცი	handkerchief
სათვალე	spectacles
სავარცხელი	comb



ბენვი	ბენვი	fur
ხელოვნური	ბენვი	artificial fur
შალი		wool
აბრეშუმი		silk
ქსოვილი		cloth
ჩითი		cotton (print)
ტილო		linen
ჯინსი		jeans
ტრიკოტაჟი		jersey
მზა ტანსაცმელი		ready-made clothes



მალაზია	shop
განყოფილება	department
გამყიდველი	seller (shop-assistant)
მყიდველი	buyer



სამკაულები	adorning
ბეჭედი	ring
საყურე(ები)	ear-rings
სამაჯური	braclet
ყელსაბამი	necklace
მძივები	beads
საათი	watch
ძენკვი	chain



ძვირფასი	თვლები	jewellery
ბრილიანტი		diamond
ალმასი		(uncut) diamond
ლალი		ruby
საფირონი		sapphire
ზურმუხტი		emerald
მარგალიტი		pearl
ქარვა		amber



T-22

- **სად იყიდება ახალი ხორცი?**
- Where is the refresh meat on sale?
- **ახალი ხორცი იყიდება ბაზარში ან¹ მაღაზიაში.**
- Fresh meat is on sale in a market or in a shop.
- **სად შეიძლება ახალი თევზის ყიდვა*?**
- Where can fresh fish be bought?
- **ახალი თევზის ყიდვა* შეიძლება მაღაზია «ოკეანეში»**
- Fresh fish can be bought in the shop «Ocean», the fishmonger's.
- **სად იყიდება უმარილო ყველი?**
- Where is slightly salted cheese on sale?
- **უმარილო ყველი იყიდება ბაზარში.**
- Slightly salted cheese is on sale in the market.
- **სად შეიძლება ახალი მწვანის ყიდვა?**
- Where can fresh greens be bought?
- **ახალი მწვანის ყიდვა შეიძლება ბაზარში, პირველ სართულზე.**
- Fresh greens can be bought in the market, on the first floor.
- **სად შეიძლება კარგი ხილის ყიდვა?**
- Where can I buy good fruit?
- **საუკეთესო ხილის ყიდვა შეიძლება ბაზარში ან სუპერმარკეტში.**
- The best fruit can be bought in the market or in the supermarket on the second floor.

*ყიდვა - buy

The infinitive unconjugated forms of the verb, that names the action retains some characteristics of the verb (aspect, direction) and is declined as a noun but has no plural. This form is translated into English as an infinitive or noun. Basically it's formed from a verbal form stem of the present or future tense by means of the suffix ა-.

Sometimes the formation of these forms is followed by phonetical changes. For example:

ხატვა-ა	ხატ-ა	to draw
კითხვა-ა	კითხ-ა	to read
რეცხვა-ა	რეცხ-ა	to wash
წერა-ა		to write
ჭამა-ა		to eat
კეთება-ა		to do
ჯდომა-ა		to sit
წოლა-ა		to lie
დგომა-ა		to stand



Carpet shop in old Tbilisi

¹ ან - (or) - conjunction



ბაზარში
At the Market

- **(ეს) რისი* ხორცია?**
- What kind of meat is it?
- **ეს ძროხის ხორცია.**
- It's beef.
- **ხორცი ახალია?**
- Is the meat fresh?
- **დიახ.**
- Yes.
- **რამდენად ყიდით? ** რას აფასებთ? *****
- How much does it cost?
- **ერთ კილოგრამს 15 ლარად.**
- 15 lari for one kilogram.
- **საკმაოდ ძვირია.**
- It's very expensive.
- **ერთი კილოგრამი 12 ლარად მომეცით და სამ კილოს ვიყიდი.**
- Give me a kilogram for 12 lari and I'll buy 3 kilograms.
- **კარგი!**
- Well!
- **ამინონეთ ეს ნაჭერი.**
- Weigh this piece?
- **რამდენი კილოგრამია?**
- How many kilograms is it?
- **სამნახევარი კილოგრამი.**
- Three and a half.
- **მიანგარიშეთ ****, რამდენი უნდა გადაგიხადოთ?**
- Tell me how much I should pay you?
- **42 ლარი.**
- 42 Lari.
- **აი, 50 ლარი და 8 ლარი ხურდა მომეცით.**
- Here is 50 lari and give me 8 lari change.
- **ინებეთ!**
- Here you are.
- **კარგად იყავით!**
- Good bye.

რისი? (which of) - pronoun
ვისი? (whose) - pronoun
ვისი, რისი- interrogative -possessive pronouns
 formed from the Genitive case of the interrogative pronouns **ვინ, რა.**

ვინ, რა:

სახ.	ვი-ნ	რა
მოთხ.	ვი-ნ	რა-მ
მიც.	ვი-ს	რა-ს
ნათ.	ვი-ს(თვის)	რა-ის → რის

The Genitive case form of the interrogative pronoun is used as a stem to which the Nominative case inflection is added.

Nom. case **ვის-ი, რის-ი**



****ყიდით** (you are selling) is a bipersonal verb. In the Georgian language the verbs «buy» and «sell» (**ყიდვა-გაყიდვა**) have one stem -ყიდ-, but they develop forms different.

Conjugate the verbs, the basic form of which are given:



Present tense :

ვ-ყიდულობ	ვ-ყიდი
(I'm buying)	(I'm selling)

Past imperfect:

ვ-ყიდულობდი	ვ-ყიდ-დი
-------------	----------

Future:


ვ-იყიდი	გა-ვ-ყიდი
---------	-----------

Past perfect:

ვ-იყიდ-ე	გა-ვ-ყიდ-ე
----------	------------

***** აფასებ უნ მას** (fix a price)

A bi-personal verb in the present tense is formed from the word ფასი - price to fix the price of something as so much




****** მიანგარიზე უნ მე ის** (Count), a tri-personal verb in the imperative mood.

It is very important to know how person markers are disposed in bi-personal and tri-personal verbs.



It should be mentioned that there may be only two person markers in a Georgian verb.

There are both subjective and objective person markers in tri-personal verbs but objective person markers (basically) indicate only the indirect object, because in such cases, the direct object usually stands in the III person and has no marker. It should be also taken into account, that:

1. when in a verbal form the subjective person marker of the I person meets the objective person marker of the II person or, vice versa, the subjective person marker of the II person meets the objective person marker of the I person, only the objective person markers are presented in the verb



2. when the indirect object stands in the III person and the verb changes according to the subject person markers (verb of subjective order), the indirect object marker is lost in the I person, but in the II and III persons it remains before the occlusive consonant



1. 1 Upper arrow shows the meaning relations, the lower arrow shows the formal relations.



Vocabulary

სურსათი

Food

სუპერმარკეტი	Supermarket
პური	bread
ფუნთუშა	roll
ორცხობილა	rusk
ნამცხვარი	cake (pastry)
ტორტი	cake
კანფეტები	sweets
ჩაი	tea
ყავა	coffee
შაქარი	sugar
მურაბა	jelly
ჯემი	jam

რძე	milk
კარაქი	butter
ყველი	cheese
ხაჭო	curds
მანონი	Georgian yogurt
არაჟანი	sour cream

ხორცი	meat
ძროხის ხორცი	beef
ცხვრის ხორცი	mutton
ღორის ხორცი	pork

ქათამი	hen (chicken)
კვერცხი	egg
თევზი	fish
ხიზილალა	caviar
ძეხვი	salami
სოსისი	hot dog (frankfurter)

ასანთი	matches
სიგარეტი	cigarettes
ლუდი	beer
ღვინო	wine
არაყი	vodka
ლიმონათი	lemonade

შამპანური	champagne
მაიონეზი	mayonnaise
მდოგვი	mustard
ტყემალი	tkemali
ტომატი	ketchup
ბოსტნეული	vegetables
კარტოფილი	potatoes
ბადრიჯანი	aubergine
სტაფილო	carrot
კომბოსტო	cabbage
სიმინდი	maize
ლობიო	beans
სოკო	mushrooms
პამიდორი	tomatoes
კიტრი	cucumbers
ხახვი	onion
ნიორი	garlic
ბოლოკი	raddish
წინაკა	pepper
მწვანილი	greens

ხილი	fruit
ვაშლი	apple
ყურძენი	grapes
მსხალი	pear
ატამი	peach
გარგარი	apricot
ღელვი	fig
ქლიავი	plum
ბალი	sweet cherry
ალუბალი	cherry
ფორთოხალი	orange
მანდარინი	tangerine
ლიმონი	lemon
ბანანი	banana
ანანასი	pine apple
კივი	kiwi
ბროწეული	pomegranate
კომში	quince
საზამთრო	water-melon
ნესვი	melon
მარწყვი	strawberries
თხილი	hazelnuts
ნიგოზი	walnuts



სავაჭრო ცენტრში

- ნანა, პალტო მინდა ვიყიდო. სად მირჩევ წასვლას, რომელ მაღაზიაში?
- სავაჭრო ცენტრში წადი.
- ქალიშვილო, გაქვთ ქალის პალტოები, ორმოცდაათი ზომა?
- გვაქვს. რა ფერის გნებავთ? ეს ბენჯის საყელოიანი პალტოები ყველა ორმოცდაათი ზომაა.
- მაჩვენეთ აი, ის. მუქი ყავისფერი პალტო!
- ინებეთ!
- შეიძლება მოვიზომო?
- რასაკვირველია, შეიძლება. მოსაზომებელ ოთახში მიბრძანდით! სარკე იქ არის.
- თუ შეიძლება ერთი წუთით მობრძანდით!
- გისმენთ, ქალბატონო!
- მე მგონი ვინრო მაქვს. ერთი ზომით დიდი სომ არა გაქვთ?
- ჩვენ არა გვაქვს. ადით მესუთე სართულზე. იქ აქვთ დიდი ზომები.



- ქალიშვილო, სომ არა გაქვთ ასეთი პალტო, ორმოცდაათორმეტი ზომა?
- დიას, გვაქვს.
- თუ შეიძლება, მაჩვენეთ.
- ინებეთ, შეგიძლიათ მოიზომოთ! გინდებათ კიდევ?
- რა ღირს?
- ორასი ლარი. თუ გნებავთ, გიჩვენებთ უფრო იაფფასიან პალტოს, ას ორმოცდაათი ლარი ღირს. ბენჯის საყელო არა აქვს, მაგრამ ძალიან ლამაზია.
- მაჩვენეთ!
- აი, ეს მუქი ყავისფერი პალტო უკანასკნელ მოდაზეა შეკერილი. ყველას ძალიან მოსწონს, ნახეთ და მოიზომეთ.
- ამ პალტოს ვიყიდი. სად გადავიხადო ფული?
- აქვე, აი სალარო.

In a Shopping Centre

- Nana, today I want to buy a coat for myself. Where do you advise me to go, to which shop?
 - Go to the shopping centre.
 - Have you got any womens' coats size 50?
 - Yes, we have. Which colour would you prefer? These coats with fur collars are all size 50.
 - Show me that dark-brown coat, please.
 - Here you are.
 - May I try it on?
 - Yes, of course. Go into the changing room. There is a mirror there.
 - Come here for a minute, please
 - Yes madam?
 - I think it's a little tight. Haven't you got one size larger?
 - No, we haven't. Go to the 5th floor. They should have some in larger sizes there.
 - Excuse me, do you have a coat like this in size 52?
 - Yes we do.
 - Show it to me, please.
 - Here you are, you can try it on. It suits you.
 - How much is it?
 - 200 Lari. I'll show you a cheaper coat. It costs 150 Lari. It has no fur collar, but is very beautiful.
 - Would you show me it!
 - This dark-brown coat is stitched it the latest fashion. Everyone likes it very much. Look at it and try it on.
 - I'll buy this coat. Where should I pay?
- Here. Here is the cashier.

- ჯანმრთელობაში მოხმარეთ!
- დიდი მადლობა. სად შეიძლება საჩუქრების ყიდვა?
- პირველ სართულზე, საჩუქრების განყოფილებაში.
- რომელ საათზე იკვებება თქვენი მაღაზია?
- შვიდ საათზე.
- ჯერ დრო მაქვს. ახლა ექვსი საათია. არ ვიცი, რა ვუყიდო მეგობარს საჩუქრად: წიგნი თუ დისკი?
- ორივე შეიძლება, ჩემი აზრით, წიგნი უკეთესია.
- გმადლობთ, კარგად იყავით!
- ქალიშვილო, გალკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული გაქვთ?
- გვაქვს და თანაც ძალიან კარგი გამოცემა.
- რა ღირს?
- შვიდი ლარი და ორმოცი თეთრი.
- თუ შეიძლება, მაჩვენეთ!
- ინებეთ!
- მომწონს, კარგი საჩუქარია, მაგრამ წვრილი ფული არა მაქვს.
- არა უშავს, მე დაგისურდავებთ.
- გმადლობთ, მითხარით, სად იყიდება სურსათი?
- პირველ სართულზე, სუპერმარკეტში.
- ქალიშვილო, ეს კანფეტები ახალია?
- ახალია.
- ამინონეთ ერთი კილოგრამი.
- მომეცით ორი კილოგრამი ძეხვი, ორი ბოთლი შამპანური და ერთი პატარა ტორტი.
- ინებეთ!
- ეს ტორტი რაღაც არ მომწონს, მარწყვებიანი მომეცით!
- ინებეთ!
- მიანგარიშეთ, რამდენი უნდა გადავინაძო!
- სულ 45 ლარი.
- საკმაოდ ძვირია. აქ, თქვენთან, ყველაფერი ძვირია.
- მართალია ძვირია, მაგრამ ახალია და ხარისხიანი. კიდევ ხომ არ გნებავთ რამე?
- არა, გმადლობთ!
- ნახვამდის!

- Wear it for your health (l.t)
- Thank you very much! Where can I buy some souvenirs?
- On the first floor, in the souvenir department.
- When does your shop close?
- At 7 o'clock.
- I still have time. It's 6 o'clock now. I don't know what to buy as a present for a friend: a book or CD?
- You can buy both. I'd prefer a book.
- Thank you. Good luck.
- Excuse me, have you a collection of verses by Galaktion Tabidze?
- Yes, we have in a very good edition.
- How much is it?
- 7 Lari and 40 tetri
- Show me, please
- Here you are.
- I like, it's a good present, but I have no change.
- It does not matter, I'll change.
- Thank you. Tell me please where I can buy food?
- On the first floor, in a the supermarket.
- Excuse me, are these sweets fresh?
- Yes, they are fresh.
- Weigh a kilogram for me.
- Give me two kilograms of sausage, two bottles of champagne and one small cake.
- Here you are.
- Somehow I don't like this cake! Give me strawberry one.
- Here you are.
- Tell me, how much I should pay you?
- 45 Lari in all.
- Quite expensive. Everything is expensive here, in your shop.
- You're right, it's expensive but fresh and of high quality. Would you like anything else?
- No, thank you.
- Good bye.



Part VI

Visits



T23

საღამო მშვიდობისა!
 Good evening.
ს ა ლ ა მ ო მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა
მობრძანდით*
 Good evening, come in, please.
როგორ ბრძანდებით
 How are you?
გმადლობთ, კარგად. თქვენ რო-
გორ ბრძანდებით?
 Well, thank you and you?
კარგად.
 Well.
მაპატიეთ, რომ დავიგვიანე.
(ბოდიშს ვინდი დავგვიანები-
სათვის)
 Excuse me for being late.
რას ბრძანებთ! არა უშავს.
 Never mind.
გაიხადეთ პალტო!
 Take off your coat.
შემობრძანდით ოთახში!
 Come into the room, please.
გაიცანით ჩემი მეგობრები!**
 Meet my friends.
ძალიან სასიამოვნოა!
 Pleased to meet you.
ბატონო პეტრე, აი აქ და-
ბრძადით ფანჯარასთან.
 Petre sit down here, by the window.
ბრძანდებოდეთ, ბრძანდებო-
დეთ, ნუ შეწუხდებით!
 Sit, sit, don't worry.
გმადლობთ!
 Thank you.

***მობრძანდით!** (Come in please)

როგორ ბრძანდებით?
(How are you?)

რას ბრძანებთ!
(What are you talking about? - Don't mention it.)

შემობრძანდით!
(Come in please.)

დაბრძანდით!
(Sit down please.)

ბრძანდებოდეთ
(Don't worry, stay in the same position.)

All these words have a common root «**ბრძან**».



It is known that the polite form of address to one person in the plural is wide-spread in all languages and Georgian is among them.

For example

შენ მოხვედი? (simple form).
თქვენ მობრძანდით? (polite form).



But in the Georgian language there are also expressions that show special honour and respect of the person to whom the speaker is addressing or about whom he is talking.



For respectable addressing basically are used words that are formed from the root **ბრძან** and each of them has certain meaning.

From the root **ბრძან** are formed:

ბრძანება (order, noun) and also verb **ვ-ბრძან-ებ** (I order), **ვ-ბრძანე** (I ordered). **ბრძანეთ** (you ordered, you order and also you said, you say), **რას ბრძანებთ** (What are you saying).

Words of the following meanings are created by the addition of different prefixes to the verbal form **ბრძანდი(თ)**

მი- ბრძანდი(თ)!	go	(please)
მო- ბრძანდი(თ)!	Come here	«_____»
შე- ბრძანდი(თ)!	Come in	«_____»
წა- ბრძანდი(თ)!	Go	«_____»
ა- ბრძანდი(თ)!	Come upstairs	«_____»
ჩა- ბრძანდი(თ)!	Come downstairs	«_____»

The addition of the prefix **და** to the verbal form **ბრძანდი(თ)**, creates a form of the verb that means, «to sit»

დაბრძანდი(თ)!	– sit down
დაბრძანდა	– has sat (past perfect)

The addition of the suffix **ები** to the verbal form **ბრძანდი** creates a form of the verb which means «be»

ბრძანდებით	(You are)
ვინ ბრძანდებით?	Who are you? Who's there?
როგორ ბრძანდებით?	How are you?

The addition of the suffixes **-ებ** and **-ოდ** to the verbal form **ბრძანდი** - creates a form of the verb that means the following: **ბრძანდებოდეთ** - don't worry (stay in the same position).



****გაიცანით (თქვენ ის)** – (meet) a bi-personal verb.

Conjugate the verb **ვიცნობ!**

Basic forms:

Present	ვიცნობ
Past Imperfect	ვიცნობდი
Future	გავიცნობ
Past Perfect	გავიცანი
Imperative mood	გაიცანით!

Usually these verbs are used in the plural, but they may also be in the singular.



Vocabulary

ბინა

სასტუმრო (ოთახი)	sitting-room
სასადილო	dining-room
საწოლი ოთახი	bedroom
სამუშაო ოთახი	study
ბავშვების ოთახი	children's room
შემოსასვლელი	hall
ლოჯია	gallery
აივანი	balcony
ჭერი	ceiling
კედელი	wall
იატაკი	floor
კარი	door
ფანჯარა	window
სასტუმრო ოთახში	in the sitting-room
ბუფეტი	sideboard, buffet
მაგიდა	table
სკამი	chair
დივანი	sofa
სავარძელი	arm-chair

flat

სურათი	picture
ჭალი	chandelier
ნათურა	bulb
ფარდა	curtain
ტელევიზორი	TV
ვიდეომაგნიტოფონი	VCR
მუსიკალური ცენტრი	musical centre
საწოლ ოთახში:	in the bedroom:
საწოლი	bed
ტანსაცმლის კარადა	wardrobe
სარკე	mirror
საბანი	quilt
ლეიბი	mattress
ბალიში	pillow
თეთრეული	sheets
სამუშაო ოთახში:	in the study:
საწერი მაგიდა	writing-table
წიგნების კარადა	book-case
თარო	shelf



სამზარეულოში in the kitchen

თეფში	plate	ჩანგალი	fork
ჭიქა	cup	დანა	knife
ჭურჭლის კარადა	cupboard	საფერფლე	ashtray
ჭურჭლის საშრობი	dryer for crockery	გაზი	gas
კოვზი	spoon	ონკანი	tap, cock
ჩაის კოვზი	teaspoon	ცივი და ცხელი	cold and hot water
ხელსახოცი	napkin	წყალი	electrical store
ქვაბი	saucepan	ელექტროქურა	refrigerator
ტაფა	pan	მაცივარი	refrigerator
ჯამი	saucer	ჭურჭელი	crockery
ჩაიდან	kettle	ჭურჭლის სარეცხი	crockery washing
ჩაის ტილო	tea-towel		





T24

რას მიირთმევთ?*

What will you have?

რა მოგართვათ?

What shall I bring?

ნუ შენუხდებით!

Don't worry

ცხელ ხაჭაპურს მოგართმევთ, ძალიან გემრიელია

I'll bring you hot hachapuri. It's very tasty.

გმადლობთ, უკვე გეახელით.**

Thank you. I've already eaten.

მიირთვით შემწვარი გოჭის ხორცი!

Help yourself to roast sucking-pig.

შემწვარ ხორცს არ ვჭამ. დიეტაზე* ვარ.**

I don't eat roast meat. I'm on a diet.

გასინჯეთ ისპანახი ან წითელი ფხალი.

Try spinach or red pkhali.

დიახ, გავსინჯე. ძალიან მომეწონა, გემრიელია.

Yes I've tried, I like it, it's tasty.

მიირთმევთ სულუგუნთან* ერთად ცხელ ლომს?**

Would you like some suluguni and hot gomi?

დიდი სიამოვნებით, ძალიან მიყვარს ლომი.

Yes please, I like gomi very much.

მიირთმევთ ხინკალს?

Would you like some khinkali?

გმადლობთ!

Thank you (l.t.)

Yes please.

***რას მიირთმევთ? *** (What will you eat?)

მიირთმევთ (თქვენ მას) a bi-personal verb, is used for respectful addressing in the II and III persons, singular and all persons, plural. In the 1 person, singular and plural another verb is usually used

****გეახელი (singular)-**

გეახელით (plural) This verb expresses respect for the II person..



რა მოგართვათ (What shall I bring?)

მოგართვათ - (მე თქვენ ის) tri-personal verb is used for addressing respectfully.



ინებეთ (here you are)

ინებეთ (თქვენ ის) – a bi-personal verb is used in the II and III persons in both the singular and plural. This verb is also used for a respectful attitude.

მი-ი-რთმევ-თ? will you eat (would you like)?

მი-ი-რთვ-ი-თ! Help yourself!


მი-ი-რთვ-ი-თ? Have you eaten?

მო-გ-ა-რთმევ-თ! I'll bring you something

მო-გ-ა-რთვ-ი-თ I've brought you something?

მო-გ-ა-რთვა-თ? Shall I bring you? Did he bring you?

The same roots form verbs with completely different meaning by means of other affixes. These verbs have nothing in common with respectful attitude:



In the expression **ართმევს ხელს** to shake hands




*** **დიეტაზე** (Keep to a diet), **სულგუნთან ერთად** (with sulguni) **ზე** and **თან** are postpositions.

In the Georgian language at a noun declension may be added postpositions to case inflections that usually are written together with a noun. Postpositions are used with the Nominative, Dative, Genitive, Ablative and Adverbial cases.


In the Nominative case is used the postposition **ვით** that is added to the consonant - stem nouns having the meaning «as» «like».

For example:

- კაცივით** as a man, like a man
- ქალივით** as a woman, like a woman
- ძაღლივით** as a dog, like a dog



City of Batumi



Batumi Harbour

Postpositions ... are used with the Dative case **ზე, ში, თან, ვით.**

მიცემითი ბრუნვა $\cancel{\text{ს}} < \begin{matrix} \text{ზე} \\ \text{ში} \end{matrix}$

$\cancel{\text{ს}}\text{-ზე} \rightarrow \emptyset\text{ზე}$
On, Over, About

მაგიდა $\cancel{\text{ს}}\text{-ზე}$ on the table	→	მაგიდა ზე
ქალაქ $\cancel{\text{ს}}\text{-ზე}$ over a town	→	ქალაქ ზე
ბავშვებს $\cancel{\text{ს}}\text{-ზე}$ about children	→	ბავშვებ ზე
ამ საკითხს $\cancel{\text{ს}}\text{-ზე}$ about this question	→	ამ საკითხ ზე

$\cancel{\text{ს}}\text{-ში} \rightarrow \emptyset\text{ში}$
In

ოთახ $\cancel{\text{ს}}\text{-ში}$ in a room	→	ოთახ ში
ქალაქ $\cancel{\text{ს}}\text{-ში}$ in a town	→	ქალაქ ში
ბაზარ $\cancel{\text{ს}}\text{-ში}$ in a market	→	ბაზარ ში
კარადა $\cancel{\text{ს}}\text{-ში}$ in a wardrobe	→	კარადა ში

$\text{ს} \begin{cases} \text{თან} & (...C\cancel{\text{ს}}\text{-თან} \rightarrow ...C\emptyset\text{თან}) \\ \text{ვით} \end{cases}$

$\text{-ს-თან} \rightarrow \emptyset\text{თან}$
At, With, By

ხე -ს-თან
at a tree

მთა -ს-თან
at a mountain


ჩემ -ს-თან
with me

-ს-ა-ვით
As, Like

მთა -ს-ა-ვით
as a mountain, like a mountain

ძაღვ -ს-ა-ვით
as a dog, like a dog

Postpositions ... are used with the Genitive case **-თვის, -გან, -კენ**

ნათესაობითი ბრუნვა -ის-(ა)  **თვის**
კენ

<p>-ის(ა)თვის for</p> <p>ამხანაგ-ის-(ა)-თვის for a friend</p> <p>ხუთი ლარ-ის-თვის for 5 Lari.</p>
--

<p>-ის-(ა)-კენ Towards</p> <p>სახლ-ის-(ა)-კენ towards the house</p>

ის-(ა)-**გან**

<p>ის-(ა)-გან From, Of</p> <p>ხ-ის-(ა)-გან of wood</p> <p>ოქრო-ს-(ა)-გან (of) gold</p> <p>ყინვ-ის-(ა)-გან (of) frost</p>
--





With the Ablative case is used a postposition -**გან** (from) that indicates the place of origin in space and time. The addition of this postposition causes certain phonetical changes:

For example

ქალაქ-**ით-გან** → ქალაქ-**იდ-გან** → ქალაქ-**იდან** from town



With the Adverbial case is used a postposition - **მდე/მდის** (till)

The consonant element of the case inflection disappears. For example:

სადგურ-~~ად~~-**მდე** → სადგურა-**მდე** ხუთ საათ-~~ად~~-**მდე** → ხუთ საათა-**მდე**



Besides these postpositions there are also those that are written separately from a noun and which usually require the Genitive case form. For example:

ამხანაგის **მიერ** by a friend

ამხანაგის **გამო** for a friend

ამხანაგის **გარდა** except a friend

სახლის **წინ** in front of a house

სახლის **უკან** behind a house

ლექციის **შემდეგ** after a lecture



City of Sokhumi



Sokhumi Harbour



T-25

დედა მზია!

Mum, I'm hungry.

საჭმელი გაქვს?

Do you have any food?

კი, მაქვს, რასაკვირველია.

Yes, I have, of course.

მაჭამე, ძალიან მერქარება, უნდა წავიდე!

Give me some. I'm in a hurry. I have to go.

წვინანი დაგისხა,** შეჭამ?*****

(Shall I pour soup, will you eat it?l.t) Shall I give you some soup?

ცოტა დამისხი, სომ იცი, ბევრ წვინანს არ ვჭამ.

(Pour some l.t.) just give me a small amount. You know I don't eat a lot of soup.

კიდევ რა გაქვს?

What else do you have?

კატლეტი და შემწვარი კარტოფილი.

Chnops and fried potatoes.

ოჰ, ეს მომეცი,*** შევჭამ.**

O, give me that, I'll eat it.

ნელა ჭამე, ნუ ჩქარობ და ეს წვენიც დალიე!

Eat slowly. Don't hurry and drink this juice.

დავლევ.** გმადლობთ!

Yes, I'll drink it, thank you.

***მზია** (I'm hungry) - a mono-personal verb of the objective order.

The verb **მწყურია** (I'm thirsty) is a mono personal verb of the same order. It may also be said:

წყალი მწყურია

i.e. მწყურია (მე ის)



****დავლევ (მე, მას)** (I'll drink something- a bi-personal verb

Conjugation of the verb

ვსვამ - I drink

Present tense:

მე	ვ-სვამ	მას	ჩვენ	ვსვამთ	მას
შენ	სვამ	მას	თქვენ	სვამთ	მას
ის	სვამს	მას	ისინი	სვამენ	მას

Past Imperfect:

მე	ვსვამდი	მას	ჩვენ	ვსვამდით	მას
შენ	სვამდი	მას	თქვენ	სვამდით	მას
ის	სვამდა	მას	ისინი	სვამდნენ	მას

Present Tense:

მე	დავლევ	მას	ჩვენ	დავლევთ	მას
შენ	დალევ	მას	თქვენ	დალევთ	მას
ის	დალევს	მას	ისინი	დალევენ	მას

Past Perfect:

მე	დავლიე	ის	ჩვენ	დავლიეთ	ის
შენ	დალიე	ის	თქვენ	დალიეთ	ის
მან	დალია	ის	მათ	დალიეს	ის

Another verb **დავლევ, დავლიე** is usually used in the future and past perfect tenses

Write the plural forms



Still life

Conjugation of the Verbs: (**მშია** I'm hungry) and (**მწყურია** I'm thirsty)

Present				Future			
მე	მშია	მე	მწყურია	მე	მომშივდება	მე	მომწყურდება
შენ	გშია	შენ	გწყურია	შენ	მოგშივდება	შენ	მოგწყურდება
მას	შია	მას	სწყურია	მას	მოშივდება	მას	მოსწყურდება

Past Imperfect				Past Perfect			
მე	მშიოდა	მე	მწყუროდა	მე	მომშივდა	მე	მომწყურდა
შენ	გშიოდა	შენ	გწყუროდა	შენ	მოგშივდა	შენ	მოგწყურდა
მას	შიოდა	მას	სწყუროდა	მას	მოშივდა	მას	მოსწყურდა

(These verbs have no forms of their own in the future and past perfect and are substituted by dynamic passive verbs)



*** **შეჭამ** (I'll eat). a bi-personal verb **შეჭამ** (**მე მას**).

Conjugation:

Present		Past Imperfect.		Future		Past Perfect					
მე	ვჭამ	მას	მე	ვჭამდი	მას	მე	შე-ვ-ჭამ	მას	მე	შე-ვ-ჭამე	ის
ის	ჭამ-ს	მას	ის	ჭამდ-ა	მას	ის	შე-ჭამ-ს	მას	მან	შე-ჭამა-	ის

Write other forms yourself.



**** **დაგისხა** (Pour you something), **დამისხი** (Pour)

დამისხი (შენ მე ის) tri-personal verb.

Conjugate the verb – **ვუსხამ**:


Basic forms:

Present	ვუსხამ
Past Imperfect	ვუსხამდი
Future	და-ვ-უსხამ
Past Perfect	და-ვ-უსხი
II subjunct.	და-ვ-უსხა


მე	და- ვ -უსხი	მას	ის	მე	და- გ -ისხი	შენ	ის	შენ	და- მ -ისხი	მე	ის
	↑				↑				↑		

*******მომეცდი** (Give me)

მომეცდი (შენ მე ის) a tri-personal verb. In the present tense another verb: **მაძლევს** is used. These verbs may have both a subjective and an objective order. For example:

მე ვაძლევ მას მას

 I give him something

Present
 მე **ვ-აძლევ** მას მას
 I give him
 Past Imperfect
 მე **ვაძლევდი** მას მას
 Future
 მე **მი-ვ-ცემ** მას მას
 Past Perfect
 მე **მი-ვ-ეცი** მას ის
 II Subjunct
 მე **მი-ვ-ცე** მას ის

ის მ-აძლევს მე მას

 He gives me something

Present
 მე **მ-აძლევს** ის მას
 he gives me
 Past Imperfect
 მე **მაძლევდა** ის მას
 Future
 მე **მო-მ-ცემს** ის მას
 Past Perfect
 მე **მო-მ-ც-ა** მან ის
 II Subjunct
 მე **მო-მ-ცე-ს** მან ის

Vocabulary

საჭმელი

food, meal

შემწვარი	ლორის	ხორცი	roast pork
შემწვარი	გოჭი		roast piglet
შემწვარი	ძროხის	ხორცი	roast beef
მწვადი			shashlik
შემწვარი	წინილა		roast chicken
შემწვარი	ქათამი		roast hen
მოსხარშული	ენა		boiled tongue
ხაშლამა			khashlama
ხინკალი			khinkali
ხორცის	ღვეზელი		meatpies
საცივი			satsivi
ტყემალი			tkemali
ბაჟე			baje
ისპანახი			spinage
ნიგვზიანი	ლობიო		beans with walnuts
ნიგვზიანი	ბადრიჯანი		eggplant and walnuts
ხაჭაპური			khachapuri

შინაური ფრინველი Domestic Poultry

ქათამი	}	hen
დედალი		
მამალი		cock
წინილა		chicken
ინდაური		turkey,
ბატი		goose
იხვი		duck

შინაური ცხოველები Domestic Animals

ძროხა	cow
ხარი	bull
ხბო	calf
ლორი	Pig
გოჭი	piglet (sucking-pig)
ცხვარი	sheep
ბატკანი	lamb
თხა	goat
თევზები	fish
კალმახი	trout
თართი	sturgeon



T-26

- ახალი რა იცი?
- What's up?
- ლალი თხოვდება!
- Lali's getting married.
- ვის მიჰყვება?
- Who is she marrying?
- ვინმე თამაზ აბულაძეს.
- A certain Tamaz Abuladze.
- შენ იცნობ?
- Do you know him?
- არა, მე არ ვიცნობ. ამბობენ, ძალიან კარგი კაციაო.
- No, I don't know him. They say, he is a good man.
- ვინ გითხრა?
- Who told you?
- მანანამ. ის კარგად იცნობს მას. მხატვარია. ძალიან სიმპათიური კაცია. ცოლთან გაშორებულია*. შვილები არა ჰყავს.
- Manana. She knows him well. He's an artist, and is a very handsome man. He is divorced, and has no children.
- ოჯახში ვინ ჰყავს?
- Who has he in the family?
- მშობლები დაეხოცა. ჰყავს გაუთხოვარი და.
- His parents died. He has an unmarried sister.
- შენ როდის თხოვდები?
- When are you getting married?
- ჯერ არ ვაპირებ, ახლა ჩემი და თხოვდება.
- I am not going to yet. My sister's getting married now.
- უფროსი?
- The elder?
- არა, უფროსი უკვე გათხოვილია*. უმცროსია გასათხოვარი** და ის თხოვდება.
- No, my elder sister is already married. The younger is not and she is getting married.
- ძალიან კარგი.
- Very well.

- *გაშორებული *divorced
- გაუთხოვარი maiden
- გათხოვილი married
- გასათხოვარი marriageable

Enumerated words are participles.



In the Georgian language, as in English, the participle is formed from the verb and that is why it retains some categories of the verb (aspect, voice, tense). The participle is a verbal adjective

Remember!
An active participles indicate the person acting.

For example

- მკერავი The one who sews, tailor.
- მშენებელი The one who builds, builder
- მცხოვრები The one who lives, tenant.

Remember! Passive participles indicate what was done, what will be done and what was not done. Passive participles have past and future tenses. Negative participles are also passive

For example:

- გა-თხოვ-ილ-ი (past) married
- გა-სა-თხოვ-არ-ი (future) marriageable
- გა-უ-თხოვ-არ-ი (negative form) (maiden)

PARTICIPLES

ACTIVE

The one who does
the action

PASSIVE

what was done

what will be done

what was not done

მშენებელი	(builds)	აშენებული	ასაშენებელი	აუშენებელი
მხატვარი	(draws)	დახატული	დასახატავი	დაუხატავი
მბეჭდავი	(types)	დაბეჭდილი	დასაბეჭდი	დაუბეჭდავი
მწერალი	(writes)	დაწერილი	დასაწერი	დაუწერელი
მკეთებელი	(does)	გაკეთებული	გასაკეთებელი	გაუკეთებელი
მრეცხავი	(washes)	გარეცხილი	გასარეცხი	გაურეცხავი
მკერავი	(sews)	შეკერილი	შესაკერი	შეუკერავი
მოცურავე	(swims)	-----	-----	-----
მცხოვრები	(lives)	ნაცხოვრები	საცხოვრებელი	-----



T-27

თქვენთან რა არის ახალი?

What's up?

არაფერი განსაკუთრებული.

Nothing special.

ცუდი ამბავი უნდა გითხრა.

I have to tell you some bad news.

რა მოხდა?

What's happened?

ძია ნიკო გარდაიცვალა!

Uncle Nico has died.

ეს რა მითხარი! ძალიან მეწყინა!

What are you saying? I'm so upset.

**კარგი კაცი იყო, პატიოსანი,
განათლებული, თავაზიანი.**

He was a good man, honest and cultured.

პანაშვიდზე იყავი?

Have you been to his house?

დიახ, ხვალ წავალ დაკრძალვაზე.

Yes. Tomorrow I'll go to the funeral.

მეც წამოვალ აუცილებლად.

I'll come too without fail.

კარგი, ხვალამდღე!

See you tomorrow.

დაპატიჟება ქორწილში Invitation to a Wedding

მერი, ხვალ ჩემი ქალიშვილის ქორწილია. შენ და პეტრეს გეპატიჟებით რესტორან «ბერიკონში» ხუთ საათზე.

Mary, tomorrow is my daughter's wedding, I'm inviting you and Petre at 5 o'clock to the Berikoni Restaurant.

მართლა? ძალიან გამიხარდა!

Really? I'm so glad.

სიძე ვინ არის? რა გვარია?

Who's your son-in-law? What is his surname?

ლევან ჩხეიძე.

Levan Chkeidze.

რა პროფესიასაა?

What kind of person is he?

ექიმია. ბავშვთა ქირურგი.

He's a doctor, children's surgeon.

როგორი ადამიანია?

What does he do?

რა გითხრა?! წესიერი ახალგაზრდაა, ჭკვიანი, გარეგნულად სიმპათიური, მაღალი, გამხდარი და, რაც მთავარია, ძალიან უყვარს ლელა.**


What can I say? He is a decent young man, clever, handsome in appearance, tall, slim and what is the most important he loves Lela very much.

აუცილებლად მოვალთ! მიულოცე ლელას და აკოცე!

We'll come without fail! Congratulate and kiss Lela from me.

***რა გითხრა?! – * What can I say**

გითხრა (I'll tell you something) - a tri-personal verb **გითხრა (მე შენ ის)**



****უყვარს** (He loves someone), a bi-personal verb **უყვარს (მას ის)**, of the objective order

Present:

მე მიყვარს ის

Past Imperfect

მე მიყვარდა ის.

Future

მე მიყვარება ის

The verb **მიყვარდება** (მე ის). (I'm falling in love) Present Tense.

Future Tense

შემიყვარდება (მე ის)

Past Perfect

შემიყვარდა (მე ის)



The Berikoni Restaurant.



კეთილი სურვილები
Best wishes:

გისურვებთ ბედნიერ შობას!
Happy Christmas! (I wish you a long life - l.t.)

მრავალს დაესწარით!
Many returns of the day!

ქრისტე აღდგა!
Christ has resurrected!

ჭეშმარიტად აღდგა!
Amen!

გილოცავთ დაბადების დღეს!
Happy birthday! I wish you health and happiness.

გილოცავთ ახალ წელს! დაესწარით მრავალს ბედნიერად!


Happy New Year! Many returns of the day!


გილოცავთ დაქორწინებას, გაბედნიერებას! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ყოველივე კარგს!

Congratulation on the wedding. I wish you health, happiness and everything good.

მომილოცავს ბავშვის შეძენა!
Congratulation on arrival of a baby.

სიძე პატარძალს გაუმარჯოს!
Here is to the bride and groom.







სტუმრად

- საღამო მშვიდობისა!
- მობრძანდით! გაიხადეთ პალტო!
- გილოცავთ დაბადების დღეს!
- ეს ყვავილები თქვენს!
- დიდი მადლობა!
- სტუმრები მოვიდნენ?
- დიას, ყველა აქ არის.
- მობრძანდით სუფრასთან გაიცანით ჩემი მოსკოველი სტუმარი ოლეგ ივანოვი.
- მაპატიეთ, ცოტა დამაგვიანდა.
- ბატონო ოლეგ, ესენი ჩემი მეგობრები არიან. აქ დაბრძანდით.
- რა მოგართვათ? რას მიირთმევთ?
- გმადლობთ, მე თვითონ გადავიღებ.
- გასინჯეთ ცხელი ხაჭაპური, მე გამოვაცხვე.
- ო, ძალიან გემრიელია! მე უკვე გავსინჯე.
- რას დალევთ, ღვინოს თუ არაყს?
- მე ძალიან მიყვარს წითელი ღვინო.
- შეავსეთ სასმისები!
- ოლეგ, გაიცანით ჩვენი თამადა, ბატონი მერაბი!
- ძალიან სასიამოვნოა!
- ქალბატონებო და ბატონებო, დღეს ჩვენს ირინეს ოცდაერთი წელი შეუსრულდა. მივულოცოთ მას დაბადების დღე!
- ირინე, გენაცვალე, იყავი კარგად, ჯანმრთელად, გისურვებ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს სწავლაში, ჯანმრთელობას ვუსურვებ შენს მშობლებს და შენს საყვარელ დაძმას.
- დიდი მადლობა!
- ყველას ვთხოვ შესვას ჩვენი

On a Visit

- Good evening.
- Come in please. Take off your coat.
- Happy birthday.
- These flowers are for you.
- Thank you very much.
- Have the guests come?
- Yes, everyone is here. Come to the table, please.
Meet my friend from Moscow, Oleg Ivanov.
- Excuse me, I'm a bit late.
- Oleg these are my friends. Sit down here, please.
- What shall I offer you? What will you eat?
- Thank you, I'll help myself.
- Try hot khachapuri. I baked it myself.
- O, very tasty. I've already tried it.
- What would you like to drink? Wine or vodka?
- I like red wine very much.
- Fill the glasses.
- Oleg meet our toast-master, Merab.
- Pleased to meet you.
- Ladies and gentlemen. Our Irine is 21 today. Happy birthday to her. Irine, dear to your healthy. I wish you happiness in your private life and success in your studies. Health to your parents, and beloved brother and sister.
- Thank you very much.
- I ask everybody to drink to Irine's health.

ირინეს სადღეგრძელო.

- ოლეგ, მაპატიეთ, ვერ მოგაქცით ყურადღება, თამადას ვუსმენდი. შემწვარი გოჭი არ გნებავთ?
- გმადლობთ! მე შემწვარ ხორცს არ ვჭამ, მოხარშული ქათამი გეახელით.
- დიეტაზე ბრძანდებით?
- დიახ.
- მაშინ წითელი ფხალი მიირთვით, არ გაწყენთ.
- უკვე გეახელით, ძალიან გემრიელია. სად არის თქვენი ჭიქა? ლიმონათს დაგისხამთ.
- გმადლობთ, ძალიან მწყურია. მიირთვით მჭადი და ყველის ხინკალს რატომ არ მიირთმევთ?
- გმადლობთ, არ მიყვარს.
- საცივზეც უარს მეტყვით? ჩვენი ეროვნული საჭმელია. ქალბატონი ელენეს გაკეთებულია, მოგეწონებათ. თუ გნებავთ ღომს მოგართმევთ. საცივს ღომთან ერთად ჭამენ.
- დიდი მადლობა! საცივი ძალიან მომეწონა. საერთოდ ყველაფერი გემრიელია, განსაკუთრებით ტყემალი.
- ბატონებო, ახლა გთხოვთ, ყანწები შევაჯსოთ! მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი მინაწლის, ჩვენი ლამაზი კუთხის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საქართველოს სადღეგრძელო!
- გაუმარჯოს!
- თამარ, დაუკარი, ვიცეკვოთ!
- აბა, ოთარ, ეკა აცეკვე!
- ორივე ძალიან კარგად ცეკვავს!
- ეკა ნამდვილი მოცეკვავეა.
- ყოჩაღ, დიდებული იყო!
- ქალბატონებო და ბატონებო გთხოვთ შევსვათ ამ ოჯახის დამფუძნებლის, ბატონი სერგოს, მოსაგონარი! ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული მოვიგონოთ ყველა ახლობელი!
- ამინ!
- ახლა მიაწოდეთ გიტარა გრე-

- Oleg excuse me I could not pay attention to you. I was listening to the toast-master. Would you like some roast piglet?
- No, thank you. I don't eat roast meat. I've already eaten boiled chicken.
- Are you on a diet?
- Yes
- Try some red pkhali. It won't harm you.
- I've already tried it. It's very tasty. Where is your glass? I'll pour you out some lemonade.
- Yes, please. I'm very thirsty. Help yourself to mchadi and cheese. Why don't you try khinkali?
- Thank you. I don't like it.
- Will you refuse the satsivi too? Its our national food. It was prepared by Elena. You'll like it. I'll add some gomi if you like. Satsivi is eaten with gomi.
- Thank you, I liked satsivi very much. Everything is very tasty, especially the tkemali.
- Gentlemen, now I ask you to fill your horns. I want to suggest a toast to our land, our beautiful country, our beloved native-land to Georgia.
- Long live Georgia.
- Tamara play, we'll dance.
- Please, Otar dance with Eka.
- They both dance very well.
- Eka is a real dancer.
- Well done, it was wonderful.
- Ladies and gentlemen. I ask to drink to the memory of Sergo founder of the family. God lay his soul to rest. Make mention of all our dear people.
- Amen
- Now pass the guitar to Greta and ask her to sing.

ტას, ვთხოვოთ, იმღეროს.

- მოდიოთ, ყველამ ერთად ვიმღეროთ!

- ბატონო თამადა! ნება მომეცით, შევსვა ერთი სადღეგრძელო.

- დიდი სიამოვნებით!

- ძვირფასო სტუმრებო! მე მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი თამადის სადღეგრძელო. ბატონ მერაბს გაუმარჯოს! კარგად იყავით ბატონო მერაბ, გისურვებთ თქვენ და თქვენ ოჯახს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას. დიდი მადლობა ასეთი კარგი საღამოსათვის!

- გმადლობთ, იცოცხლეთ!

- ჩემო ძვირფასო სტუმრებო! გთხოვთ მიირთვათ ნამცხვარი და ხილი. ტორტი მე თვითონ გამოვაცხვე.

- ტორტი შესანიშნავია!

- მეგობრებო, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ვადღეგრძელოთ ჩვენი ირინე და მისი ოჯახი!

- მრავალჟამიერ

- Let's sing all together.

- Toast-master, let me suggest one toast.

- With great pleasure.

- Dear guests! I want to suggest a toast to the health of our toast-master: Long live Merab! Be well Merab, I wish you and your family health, along life and all the best, Great thanks for such a wonderful evening.

- Thank you.

- My dear guests, help yourself to sweets and fruit. The cake I baked myself.

- The cake is wonderful!

- Friends, I ask you to drink once more to the health of our Irine and her family.

- Long live Irine. Mravaljamier.



N. Piroshvili «Drinking-bout» «Kakhuri Mravaljamieri» (Kakheti drinking-song) performed by the «Rustavi» ensemble.

Part VII

Travel



მგზავრობა ავტობუსით Bus Travel

- ბაკურიანში მივდივარ ავტობუსით!
- I'm travelling to Bakuriani by bus.
- როდის?
- When?
- ხვალ დილით მეგობრებთან ერთად მივდივარ!
- Tomorrow in the morning, I'm going together with my friends.
- საიდან გადის ავტობუსი?
- Where does the bus leave from?
- რუსთაველის მოედნიდან.
- From Rustaveli Square.
- რა ღირს ბილეთი?
- How much is the ticket?
- 30 ლარი.
- It's 30 lari.
- სასტუმრო* შეკვეთილი გაქვს?
- Have you booked a hotel?
- კი. ერთი ნომერი შევუკვეთეთ.
- Yes, we've booked one room.
- რა ღირს ნომერი ერთი ღამით?
- How much is the room for one night?
- 50 ლარი.
- It's 50 lari
- თხილამურები გაქვს?
- Have you got any skis?
- კი.
- Yes.
- კარგად სრიალებ?
- Do you ski well?
- კი, თხილამურებით ბავშვობიდან დავდივარ.
- Yes I've been skiing since childhood.
- მთის წვერიდან ეშვები?
- Do you come down from the top of the hill?
- კი.
- Yes.
- აბა, კარგ დასვენებას გისურვებ!
- Well, I hope you have a good time.

*სასტუმრო - Hotel

სა-სტუმრ-ო The word is formed by means of a prefix and suffix from the stem სტუმარ-.



Words in Georgian are formed by means of prefixes and suffixes together or suffixes only. They are divided into several groups according to their meaning. The most spread are:

Diminutive - caressing

Suffixes - ა, -იკო, -უნა. For example: დედიკო (mami), ნინიკო (Niniko), ბიჭუნა (little boy), ჩიტუნა (birdy)



Expressing possession of something

Suffix -იანი For example: ჭკვიანი (clever i.e. having sense), მზიანი (sunny), თოვლიანი (snowy), ღრუბლიანი (cloudy)



Indicating possession of a certain quality

Suffix -იერი. For example: წესიერი (modest), ბედნიერი (happy), ღონიერი (strong) მშვენიერი (fine) etc.



Indicating origin from this or that place

Suffixes: -ელი/ული. For example ქალაქელი (from town), სოფლელი (from a village), კახელი (from Kakheti.), რაჭველი (from Racha), გურული (from Guria), ქართლელი (from Kartli) etc.

Forming names of things according to their application. Suffixes: **სა-ე, სა-ო, სა-ურ**
For example: **საყინულე** (deep-freezer), **საქათმე** (hen-house), **სათვალე** (spectacles), **სასტუმრო** (hotel), **სასადილო** (dining-room), **საპარიკმახერო** (hairdresser's)



Indicating a profession or occupation. Prefix-suffixes: **მე-ე, მე-ურ**, For example: **მეზღვე** (gardener), **მეზღვაური** (sailor), **მესაათე** (watch-maker), **მეეზოვე** (yardman)



Denoting names of countries and places Prefix-suffixes **სა-ეთ, სა-ო**, suffix **-ეთ**. For example: **საფრანგეთი** (France), **საბერძნეთი** (Greece), **საქართველო** (Georgia), **საგურამო** (Saguramo), **სომხეთი** (Armenia)



Forming words with negative meaning Prefix-suffixes **-ო, -ურ**. For example: **უქელო** (without a hat), **უფეხო** (legless), **უცოლო** (not married), **უჭკუო** (insane), **უბედური** (unhappy)



Forming abstract words. Suffixes **-ობა, -ება**, prefix-suffix **სი-ე**. For example: **ბავშვობა** (childhood), **ძმობა** (brotherhood), **მეგობრობა** (friendship), **გამარჯვება** (victory), **სითეთრე** (whiteness), **სიკეთე** (kindness), **სილამაზე** (beauty)



The architectural complex of the cave-town of Vardzia is more than 500 metres in length. Building was begun by King Giorgi III and after her father's death it was completed by Queen Tamar.



Queen Tamar (XII-XIII c.c.)
Fresco on a wall in Betania Monastery.



ბილეთების სალაროსთან At the Booking-Office

მომეცით ერთი ბილეთი ქუთაისამდე.

Give me one ticket to Kutaisi please.

რომელი რიცხვისთვის გნებავთ?

For which date?

ოცდასამი ნოემბრისათვის. როდის გადის მატარებელი, სალამოს თუ დილით?

November 23. When does the tram leave? In the evening or in the morning?

სალამოს* შვიდ საათზე.

In the evening, at 7 o'clock.

როდის ჩადის მატარებელი ქუთაისში?

When will the train arrive in Kutaisi?

დილის შვიდ საათზე იქნებით ქუთაისში.

You'll be in Kutaisi at 7 o'clock in the morning.

რომელი ბაქნიდან გადის მატარებელი?

From what platform does the train leave?

მეორე ბაქნის პირველი ლიანდაგიდან.

Second platform, line I.

როდის იწყება ჩასხდომა?

When does boarding begin?

ჩასხდომა იწყება მატარებლის გასვლამდე ორმოცი წუთით ადრე.*

Boarding begins 40 minutes before train departure.

რა ღირს ბილეთი?

How much is the ticket?

როგორი ვაგონის ბილეთი გნებავთ?

Which carriage would you like?

მე მინდა რბილი ვაგონის ბილეთი.

I'd like a soft-seated (sleeping) car-ticket.

ინებეთ, გადაიხადეთ 25 ლარი. ადგილი ქვედაა.

Here you are. Pay 25 Lari. The seat is lower.

***სალამოს** (in the evening)

დილით (in the morning)

ადრე (early)

Enumerated words are adverbs.



Adverbs are unchangeable words that basically join verbs (also adjectives and participles). Adverbs are divided into semantic group.

Adverbs of manner. Most of such adverbs are formed from adjectives in the Adverbial case. They answer the question **როგორ?** (how?)



For example:

ცუდად წერს	(writes badly)
კარგად წერს	(writes well)
სწრაფად წერს	(writes fast)
ლამაზად წერს	(writes nicely)
უშნოდ წერს	(writes in an ugly manner)
მშვენივრად წერს	(writes using a fine nib)
ნელად წერს	(writes slowly)
ჩქარად წერს	(writes quickly)

In the last two examples case inflection is not presented completely.

Adverbs of time answer the question **როდის?** (when?)

ადრე	early
გვიან	late
ახლა	now
მალე	soon
დღეს	today
გუშინ	yesterday
ხვალ	tomorrow
ზეგ	the day after tomorrow
მერე	then
დღისით	in the afternoon
დილით	in the morning

Adverbs of place answer the question **სად?** (where?) **საიდან** (where from?) **საითკენ** (where to?)
აქ (here), **იქ** (there), **წინ** (in front), **უკან** (behind), **ზევით** (upstairs), **ქვევით** (downwards),
ირგვლივ (around); **შორს** (far); **ახლოს** (near).

Adverbs of cause answer the question **რატომ?** why?
ამიტომ, იმიტომ because of this, because of that

Adverbs of purpose answer the question **რისთვის?** what for? **რა მიზნით?** for what aim?

Sometimes adverbs play the role of a preposition with a noun in the Genitive case. For example:


სახლის **წინ** (in front of the house)

სახლის **უკან** (behind the house)



სადგურზე *At the Railway station*

სადგურის მორიგე	duty officer
მეზარგული	porter
შემნახველი საკანი	cloak-room
გამცილებელი	conductor
ბაქანი	platform
დედათა და ბავშვთა ოთახი	mother's room and child room
ვაგონი	carriage
კუბე	compartment
ადგილი	seat
ვაგონრესტორანი	dining car



Interior of the cathedral.

Bagrati Cathedral in Kutaisi. It was built by King Bagrat III. According to an inscription, the walls were finished in 1003. Due to the monumentality of its forms, the refinement of its proportions and its slender decorations - this is one of the most valuable monuments in Georgia. It was significantly damaged at the end of the XII century, during Turkish invasions.



მგზავრობა მანქანით
Travelling by Car

ხვალ მანქანით ბათუმში მივდივარ.

Tomorrow I'm driving to Batumi by car.

მარტო მიდიხარ თუ მეგობრებთან ერთად?

Are you going alone or with friends?

რასაკვირველია, მეგობრებთან ერთად. ოთხნი მივდივართ. თბილისიდან დილით შვიდ საათზე გავდივართ.

Of course, with friends. There will be four of us.

ჩალიან კარგი.

We are leaving Tbilisi at 7 o'clock in the morning.

Very good.

სასტუმრო «ინტურისტში» ორი ნომერი გვაქვს შეკვეთილი.

We have reserved two rooms in the «Intourist» hotel.

ახლა ისე აღარ ცხელა ზღვაზე. სექტემბერი ზღვის სეზონია. მეც ჩალიან მიყვარს ზღვაზე დასვენება. შენ კარგად ცურავ?

It's not so hot by the sea now. September is the season for seaside holidays. I like to go by the sea too. Do you swim well?

კი, მე კარგად ვცურავ.
Yes, I swim quite well.

მზეზე დიდხანს ნუ გაჩერდები!
Don't stay long in the sun.

ერთ კვირაში ოდესაში მივდივართ გემით.

We are leaving for Odessa by ship for one week.

ჩემი ოცნებაა გემით მოგზაურობა! გისურვებ კარგ დასვენებას!

My dream is to go on a sea voyage. Have a good holiday.



მანქანის გასამართ
სადგურში
At the Auto-service

მანქანის გასამართი სადგური სად არის?

Where is there a repair shop?

მანქანა გამიფუჭდა, თუ შეიძლება შემიკეთეთ!

My car has broken down. Could you fix it please?

საბურავი დაეშვა!

I have a flat tyre.

კარბურატორი განმინდეთ!

Clean the carburettor too.

გასინჯეთ ზეთი!

Check the oil.

ზეთი აკლია, დაუმატეთ!
I'm short of oil. Please fill it.

ზეთი გამოცვალეთ!
Change the oil.

ნათურა გადაიწვა, გამოცვალეთ!

The bulb has fused. Please, change it.

ათი ლიტრი სუპერ ბენზინი ჩამისხით!

Pour in 10 litres of super petrol.



მგზავრობა
თვითმფრინავით
Air Travel

სად მიფრინავთ?

Where are you flying to?

ბერლინში.

To Berlin

რეგისტრაცია გაიარეთ?

თქვენი ბილეთი და პასპორტი?

Have you passed the check-in counter? Your ticket and passport?

გთხოვთ შემავესებინოთ*

ბლანკი.

Please help me to fill in the form.

საბუთები წესრიგში გაქვთ?

Are your documents in order?

დიახ, ინებეთ!

Yes, here you are

თქვენი ბარგი?

Your luggage?

ჩემოდანი, ერთი ხელჩანთა**

და ეს შეკვრა.

A suitcase, a handbag and this parcel.

ხელჩანთა დაიტოვეთ, დანარჩენი ბარგი შეაფუთინეთ*! მი-

ბრძანდით მეორე სექციაში!

Leave only the bag. The other luggage will be packed. Go to the section II.

რამდენი კილოგრამი ბარგის

წალევა შეიძლება უფასოდ?

How many kilograms of luggage can I take free of charge?

ოცი კილოგრამის. თქვენი

ბარგი ორმოცი კილოგრამია.

ზედმეტი წონის ფული გა-

დაიხადეთ!

Twenty kilograms. Your luggage weighs 40 kg.

ინებეთ!

Here you are.

***შემავესებინოთ** (თქვენ მე ის)

* Help me to fill in something.

***შეაფუთინეთ!** (თქვენ მას ის)

make someone pack something.

The above mentioned verbal forms indicate, that the subject does not do the action himself, but makes or forces another person to act. This verbal category is called contact.

Contact may be immediate or indirect. Forms of indirect contact, usually, are always tri-personal and suffixes indicating on an indirect contact are -ინ or -ევი

For example:

წერს (ის მას)	He writes something
აწერინებს	He makes someone or
(ის მას მას)	helps someone write
	something
ხატავს (ის მას)	He draws something
ახატვინებს	he makes someone or
(ის მას მას)	helps someone draw
	something

Translate other verbs into Georgian.



კერავს			
აკერინებს	(ის	მას	მას)
აკეთებს	(ის	მას)	
აკეთებინებს	(ის	მას	მას)
აშენებს	(ის	მას)	
აშენებინებს	(ის	მას	მას)
კლავს	(ის	მას)	
აკვლევინებს	(ის	მას	მას)

****ხელჩანთა** (hand - bag)

the word is formed from two words

ხელ + ჩანთა hand + bag

თვითმფრინავი (airplane) compound

word:

თვით + მფრინავი

თავით→თვით itself

მფრინავი flying

Compound Words

In the Georgian language, compound words are formed by:

1) a reduplication of stems, for example:

ხარ	+	ხარი	=	ხარხარი	a loud laugh
ჩურ	+	ჩული	=	ჩურჩული	whisper
წამ	+	წამები	=	წამწამები	eye-lashes

2) a combination of different stems resulting in words with one meaning, for example:

ქალ	+	ბატონი	(woman - master)	=	madam
დედა	+	მინა	(mother - land)	=	Earth
მამა	+	კაცი	(father - man)	=	man
ძვირ	+	ფასი	(dear - value)	=	value
გულ	+	კეთილი	(heart - kind)	=	goodhearted etc

3) a combination of different stems, when each of them retains its lexical meaning and the conjunction და may be restored between them. For example:

და-ძმა	sister and brother l.t.) - brother and sister
ცოლ-ქმარი	(wife and husband l.t.) - husband and wife

4) an addition of two or more words, the first of which has a certain case form. In most cases the first part of a composition is represented in the Genitive case. For example:

ძმის	+	შვილი ;	ძმის	+	წული	(nephew, niece)
დის	+	შვილი ;	დის	+	წული	(nephew, niece)

ვერცხლის	+	წყალი	(mercury)
უფლის+ცისე			(უფალი – Lord) Uplistsixe (name of the church).

But there are also such as

ერთმან	+	ერთი	(each other)
ავად	+	მყოფი	(patient)

Cases, when case inflection is completely or partially lost, are met frequently. For example:

ხელ-ის	+	ჩანთა	ხელჩანთა	hand-bag
ცხვირ-ის	+	სახოცი	ცხვირსახოცი	handkerchief
მამ-ის	+	და	მამიდა	aunt
შვილ-ის	+	შვილი	შვილიშვილი	grandson, granddaughter
დედ-ის	+	ნაცვალი	დედინაცვალი	step-mother etc.



ცნობათა ბიურო Inquiries

**როდის მიფრინავს ხუთას ოთხ-
მოცდამეცამეტე რეისი?**

When will flight number 593 take off?

სომ არ იგვიანებს?

Isn't it late?

**დიახ, თვითმფრინავი
იგვიანებს უამინდობის გამო.**

Yes, airplanes will be late because of bad weather.

**შეიძლება ბილეთი უკან და-
ვაბრუნო?**

May I return the ticket?

**ბილეთის ჩაბარება შეიძლება
მხოლოდ ორი საათით ადრე
თვითმფრინავის გაფრენამდე.**

The ticket may be returned two hours departure.

კარგი, გმადლობთ!

Well thank you.

**ვერტიმფრენი მიფრინავს მესტი-
აში?**

Does the helicopter leave for Mestia?

დიახ, მიფრინავს სამ საათზე.

Yes, it leaves at 3 o'clock.

აეროპორტში At the Airport

სად ტარდება რეგისტრაცია?
Where is the check-in counter?

რეგისტრაცია დაიწყო

Registration has already begun.

რეგისტრაცია დამთავრდა

Registration has finished.

აეროდრომი არ იღებს

თვითმფრინავს

The plane has not landed yet.


თვითმფრინავში On the aeroplane

დაიკავეთ ადგილები

Take your seats.

შეიკარით უსაფრთხოების ქამრები

Fasten your seat.



Svaneti, city of Mestia with its Medieval towers



სხვა ქალაქში In Another Town

რომელ სასტუმროში გაჩერდები?

In which hotel are you staying?

მე მინდა გაჩერდე ისეთ სასტუმროში, რომელიც ქალაქის ცენტრშია.

I want to stay in a hotel that is in the town centre.

ცენტრში ბევრი სასტუმროა: «რედისონ-ბლუ», «თბილისი-მარიოტი», «მეტეხი-პალასი».

There are many hotels there: «Radisson-Blue», «Tbilisi-Marriott», «Metekhi-Palace».

როგორ მივიდე სასტუმრო «რედისონამდე»?

How can I get to the «Radisson»?

მეტროთი წაბრძანდით სადგურ «რუსთაველამდე», სასტუმრო «რედისონი» იქიდან ძალიან ახლოსაა.

Go by underground to «Rustaveli» station. Hotel «Radisson» is very near.

გმადლობთ!

Thank you.



სასტუმროში At the Hotel

გამარჯობათ! თქვენ ბრძანდებით ადმინისტრატორი?

Good morning/afternoon. Excuse me, are you the receptionist?

დიახ!

Yes!

მე ჩამოვედი მივლინებით და თქვენს სასტუმროში მინდა გაჩერდე.

I'm on a business trip and want to stay in your hotel.

კი ბატონო! სიამოვნებით მიგიღებთ! გნებავთ მერვე სართულზე? კარგი ნომერია. აივნიდან მთელი ქალაქი მოჩანს. ძალიან ლამაზი ხედა!

Please. (We'll receive you with pleasure -l.t.).

Would you like a room on the 8th floor? It's a good room. You can see the whole town from the balcony. There is a very beautiful view.

გმადლობთ!

Thank you.

ნომერში In a Room



სურათის აღწერა Description of a Picture

ოთახში დგას* სავარძლები და მაგიდა.

There are arm-chairs and a table in the room.

იატაკზე უხა ოთახში ხალიჩა აფენია.

There is a carpet on the floor.

ჭერზე კიდია* ჭალი, სინათლე ანთია*.

A chandelier is hanging from the ceiling. Its lights are on.

კედელზე სურათი კიდია.

A picture is hanging on the wall.

*დგას (is standing) აფენია (is laid)
კიდია (is hanging) ანთია (the lights are on) static verbs expressing position (state) of a thing



Remember!

Static verbs indicate the state of a thing.

There are few static verbs. They have only the present tense form, but in other cases loan forms from dynamic verbs. I and II person forms are created by means of auxiliary verbs: **ვარ, ხარ**. In the III person, singular they normally end with-**ია**.

For example:

მე	ვ-წერი- ვარ	ჩვენ	ვ-წერი- ვარ-თ
შენ	წერი- ხარ	თქვენ	წერი- ხარ-თ
ის	წერი- ა	ისინი	წერი- ან

Static verbs may be mono- and bi-personal. Examples are given in these sentences. For example:

წიგნზე ძაღლი **ხატია** | A dog is drawn on the book.
(ხატია -something is drawn)

გოგონას ლამაზად **აცვია** | The girl is dressed beautifully.
(აცვია -she is dressed)

მას **ჰქვია** ნინო | She is called Nino.
(ჰქვია -is called something)

მე **მგონია**, რომ უკვე გვიანაა | I think it's already late.
(მგონია - I think something)



The difference between dynamic and static verbs is well illustrated in the conjugation of the following verbs:

Dynamic			Static
ვდგები	I'm getting up.	ვდგავარ	I'm standing.
ვჯდები	I'm sitting down.	ვზივარ	I'm sitting.
ვწევები	I'm going to bed.	ვწევარ	I'm lying down.

Conjugation of the above mentioned verbs:

dynamic

static

Present Tense

მე	ვდგები	ვჯდები	ვწვივები
შენ	დგები	ჯდები	წვივები
ის	დგება	ჯდება	წვივბა
ჩვენ	ვდგებით	ვსხდებით	ვწვივებით
თქვენ	დგებით	სხდებით	წვივით
ისინი	დგებიან	სხდებიან	წვივიან

Present Tense

ვდგავარ	ვზივარ	ვწევარ
დგახარ	ზიხარ	წევხარ
დგას	ზის	წევს
ვდგავართ	ვსხედვართ	ვწევართ
დგახართ	სხედხართ	წევხართ
დგანან	სხედან	წევანან

Future Tense

მე	ავდგები	დავჯდები	დავწვივები
-----------	----------------	-----------------	-------------------

Future Tense

ვიდგები	ვიჯდები	ვიწვივები
----------------	----------------	------------------

Past Imperfect Tense

მე	ვდგებოდი	ვჯდებოდი	ვწვივებოდი
-----------	-----------------	-----------------	-------------------

Past Imperfect Tense

_____	_____	_____
-------	-------	-------

Past Perfect

მე	ავდექი	დავჯექი	დავწექი
-----------	---------------	----------------	----------------

Past Perfect

ვიდექი	ვიჯექი	ვიწექი
---------------	---------------	---------------

Write other forms yourself.



According to their meaning static verbs may be substituted by compound predicates. For example.

ანთია = **ანთებულია** = **ანთებული** + **არის**
 (is burning) passive participle + auxiliary verb

კიდია = **დაკიდებულია** = **დაკიდებული** + **არის**
 (is hanging) passive participle + auxiliary verb





ტელევიზორთან Television

ჩართე ტელევიზორი!

Turn on the television.

რა გაინტერესებს?

What are you interested in?

საინფორმაციო გადაცემა «მოამბე».

The news programme «Moambe».

მალე დაიწყება. ჯერ საშინაო პოლიტიკის ამბებს გადმოსცემს, შემდეგ კი უცხოეთისას.

It will begin soon. First it tells us about national affairs and then foreign.

მე კი მაინტერესებს, რა ამბებია საფრანგეთში. ხვალ ჩემი ამხანაგი მიფრინავს პარიზში.

I'm interested what's going on in France. Tomorrow my friend leaves for Paris.

სპორტული პროგრამა ყურადღებით მოისმინე!

Listen attentively to the sports programme.

მე ხვალინდელი ამინდი მაინტერესებს. დაუგდე ყური, ხვალ როგორი ამინდი იქნება. რა ჩაცვა, არ ვიცი, ხან ცხელა და ხან ცივა.

I'm interested in tomorrow's weather. Listen, to what the weather will be like tomorrow. I don't know what to wear, sometimes its hot, sometimes it's cold.



Phrases:

ხმას აუწიე

Raise the sound (make louder)

გადართე მეშვიდე არხზე

Turn to channel VII

გამოსახულება გაანათე

Make the picture lighter.

ტელევიზორი ცუდად აჩვენებს

There is interference.

გამოსახულება გაამკვეთრე

Try to improve the picture.

გამორთე ტელევიზორი

Turn the TV off.

ჩააქრე სინათლე

Turn the light off.

აანთე სინათლე

Turn the light on.

დახურე კარი

Close the door

გააღე კარი

Open the door.

გააღე ფანჯარა

Open the window.

ჩაკეტე კარი

Lock the door.

გასაღები სართულის მორიგეს დაუტოვე

Leave the key with the housekeeper on your floor.





როგორი ამინდია?

- როგორი ამინდი იყო გუდაურში, ციოდა?
- საშინლად ციოდა. თერმომეტრი ოც გრადუსს ყინვას უჩვენებდა.
- რას ამბობ?! გაიყინეთ?
- თბილისში როგორი ამინდია?
- არა უშავს, თბილა. წელს ცივი ზამთარი არ არის. თოვლი მოვიდა, მაგრამ მზე გამოვიდა და ჩქარა დადნა. არ ცივა. ზოგჯერ წვიმაც მოდის.
- დაახლოებით როგორია ჰაერის ტემპერატურა?
- ალბათ, თხუთმეტი გრადუსი სიტბოა. ტელევიზორით გამოაცხადეს, რომ სვალ ქარია მოსალოდნელი, დასავლეთ საქართველოში წვიმა. მთიან რაიონებში თოვლი.

What is the weather like?

- What was the weather like in Gudaury? Was it cold?
- It was terribly cold. The thermometer dropped to 20 degrees below zero.
- (What are you saying? - I.t.) Good- ness me. Did you freeze?
- What is the weather like in Tbilisi?
- Not bad, it's warm. The winter is not cold this year. Some snow fell but the sun came out and it melted quickly. It's not cold. It even rains sometimes.
- What is the air temperature approximately?
- Probably 15 degrees above zero. They announced on TV that wind is expected tomorrow. In Western Georgia there will be rain and snow on the mountains.



Phrases

ცუდი ამინდი
 კარგი ამინდი
 მზიანი ამინდი
 ღრუბლიანი დღე
 მთვარიანი ღამე
 მოწმენდილი ცა
 წვიმს
 თოვს
 ქარია
 წვიმამ გადაიღო
 აღარ თოვს
 ქარი ჩადგა
 ცივა
 ცხელა
 გრილა
 თბილა
 მცივა
 მცხელა

bad weather.
 good weather.
 a sunny day.
 a cloudy day.
 a moonlight night.
 a clear sky.
 It's raining.
 It's snowing.
 The wind is blowing.
 It has stopped raining.
 It has stopped snowing.
 The wind has calmed down.
 It's cold.
 It's hot.
 It's cool.
 It's warm.
 I'm cold.
 I'm hot.





სასტუმროს მომსახურების ბიურო
Hotel Services

გამომიძახეთ ტაქსი ხვალ დილის ექვსი საათისათვის!

Please, call a taxi for me for tomorrow morning at 6 o'clock.

სიამოვნებით. ხვალ დილით ექვს საათზე სასტუმროს წინ დაგელოდებათ მანქანა №10.

Well, tomorrow in the morning at 6 o'clock a car N10. will be waiting for you in front of the hotel.

გმადლობთ!

Thank you.

გთხოვთ, შაბათისათვის შეუკვეთოთ ორი ბილეთი ოპერისა და ბალეტის თეატრში.

Please, order two tickets for the opera for Saturday.

კი, ბატონო, მიბრძანდით ორ საათზე თეატრის მესუთე სალაროში და თქვენს სახელზე იქნება ბილეთები.

Well, go to box office N 5 at two o'clock and you may collect your tickets then.

დიდი მადლობა!

Thank you.



ქალთა სალონში

Hairdresser's

(At the Hair-Dressing Salon)

რა გნებავთ?

What would you like?

მინდა თავი დავიბანო, თმა (თმები) შევიჭრა, შევიღებო და დავიხვიო.

I want to have my hair washed, cut, dyed and waved.

დაბრძანდით.

Sit down, please.

გცალიათ? მანიკურის გაკეთება მინდა.

Have you got the time? I want to have a manicure.

დაბრძანდით!

Sit down, please.

ფრჩხილები დამაჭერთ! ღია ვარდისფერი ლაქი წამისვით პერლამუტრით!

Cut my nails short, - Use light pink - pearl varnish, please.

მამაკაცთა სალონში

Barber's

(At the Hair-Dressing Salon)

თავისუფალი ბრძანდებით?

Are you free?

რა გნებავთ?

What would you like?

თმის შეკრეჭა და წვერის გაპარსვა მინდა.

To have my haircut and my beard shaved.

თუ შეგიძლიათ, დამელოდეთ. თქვენამდე კიდევ ორი კაცი მყავს.

Wait please if you can, I have two clients before you.

კარგი, დაგელოდებით!

O.K.



რესტორანში At the Restaurant

გამარჯობა! ეს მაგიდა თავისუფალია?

Good morning/afternoon. Excuse me, is this table vacant?

დიახ, თავისუფალია, დაბრძანდით!

Yes, it's vacant. Do sit down.

გმადლობთ! თქვენ ემსახურებით ამ მაგიდას?

Thank you! Do you serve this table?

დიახ, რას მიირთმევთ? ინებეთ მენიუ!

Yes, what would you like? Here is the menu.

რა გაქვთ ცხელი საჭმელი?

What can you offer that's hot?

ახალი ხორცის ხარჩო, ჩვენი ეროვნული კერძია. ძალიან გემრიელია, გირჩევთ მიირთვათ!

Fresh meat kharcho our national dish. Very tasty, I advise you to try it.

კიტრისა და პამიდვრის სალათა გაქვთ?

Have you a salad of cucumbers and tomatoes?

დიახ, გვაქვს.

Yes we have.

მოგვიტანეთ ორი (უღუფა) სალათა! შემწვარი ქათამი, შემწვარი კარტოფილი, სულგუნი, წითელი ღვინო, ლიმონათი და ბორჯომი, შემდეგ ნაყინი.

Bring us two salads, roast chicken, fried potatoes, sulguni, red wine, lemonade and Borjomi and then ice-cream.

კი, ბატონო!

Yes, please

მომიტანეთ ანგარიში!

(Bring the account - l.t.)

May I have the bill?



Phrases

თუ შეიძლება ერთი წუთით!

Just a minute please.

რა შევუკვეთო შენთვის?

What should I order for you?

მე მინდა მწვადი.

I would like some shashlik.

დამისხით ერთი ჭიქა ყავა.

Pour me a cup of coffee.

შაქრიანი თუ უშაქრო?

With sugar or without sugar?

გადაიღეთ კიდევ!

Help yourself to some more. Take more.

ერთად ვისაუზმოთ,

Let's have breakfast, dinner, supper together

ვისადილოთ, ვივანშმოთ!

რა გაქვთ სადილად?

What do you have for the dinner.

დალიეთ ყავა! დალიეთ ჩაი!

Drink coffee. Drink hot tea.

დამისხით ჩაი!

Pour me out some tea.

გმადლობთ, მეტი აღარ მინდა!

Thank you I don't want any more.

გმადლობთ, კარგად გეახელით!

Thank you, I've eaten well.

დალევთ რამეს კიდევ?

Will you drink

Part VIII

In the Capital of Georgia



თბილისში

In Tbilisi

სად არის ქალაქის ცენტრი?

Where is the town centre?

ქალაქის ცენტრს წარმოადგენს რუსთაველის პროსპექტი.

Rustaveli Avenue is the town centre.

სასტუმრო «თბილისი-მარიოტი» მდებარეობს რუსთაველის პროსპექტზე.

The «Tbilisi-marriott» is on the Rustaveli ave.

რუსთაველზეა ქაშვეთის ეკლესია. მის პირდაპირ არის პირველი სკოლა და პარლამენტის შენობა. აქვე ახლოს არის საქართველოს პრეზიდენტის კანცელარია.

St. George's Church is also in; Rustaveli avenue.

There is School Number and the Parliament in front of it. The Chancellery of the President of Georgia is situated near by.

სად მდებარეობს სიონის საკათედრო ტაძარი?

Where is Sioni Cathedral?

სიონის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ძველ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მის გვერდით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის რეზიდენციაა. აქვეა სასულიერო აკადემიაც.

Sioni cathedral is in old Tbilisi, on the right embankment of the Mtkvari River near to it is the residence of the Patriarch of Georgia Ilia II. The theological academy is also situated there.

ავლაბარში არის საქართველოს პრეზიდენტის სასახლე. უფრო მაღლა, ელიას მთაზე აშენდა (1995-2004 წ.) წმინდა სამების კათედრალური ტაძარი. საქართველოს მთავარი მართლმადიდებლური ეკლესია.

There is the Residence of the President of Georgia in Avlabari. Near by on Elia hill there was built Holy Trinity Cathedral in 1995-2004 years. This is the main Orthodox Church of Georgia.

რუსთაველის პროსპექტზეა თბილისის ცენტრალური ფოსტა-ტელეგრაფი. აქვე ახლოსაა ზა-

ქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

There are the central post-office and telegraph office in Rustaveli Avenue. There are also Z. Paliashvili the State Opera and Ballet Theatre and Rustaveli State Theatre.


თბილისელებისათვის ყველაზე საყვარელი ადგილი მთაწმინდაა, განსაკუთრებით ზაფხულობით. აქედან ჩანს მთელი თბილისი.









Favourite places for citizens of Tbilisi are the Mtatsminda (the holy mountain), especially in summer. You can see the whole of Tbilisi from the top of Mtatsminda.

თბილისში მრავალი ლამაზი და საინტერესო ადგილია.

There are many beautiful and interesting places in Tbilisi.

1. Monument to the founder of the city of Tbilisi Vakhtang Gorgasali, sculptor E. Amashukeli
2. Foil Narikala, IVc
3. «Mother-Georgia», sculptor E. Amashukeli
4. «Man and the Sun», sculptor Z. Tsereteli
5. Dwelling houses on the embankment of the river Mtkvari.
6. Funicular and St. David church on Mtatsminda that towers 300 metres above the city.
7. Building of the State Opera House architect V. Shredcr, XIX c.
8. Palace of Queen Darejan-Sachino (1776)
9. Catholic church.
10. Sioni Cathedral VI-VII centuries
11. Orbeliani bath house XVIII c and mosque XIX c
12. Synagogue XIX c (the paths from these three places of worship meet

in one old square)  Song about Tbilisi sung at his jubilee by the popular composer G. Tsabadze and the «Orera» ensemble.





T-28

მე მინდა დავათვალიერო თბილისი*.
I want to look around Tbilisi.

ძალიან კარგი. დღეს დრო მაქვს**
და გარჩვენებ** ჩვენს ქალაქს.
Very well. I've got time today and I'll show you
the city.

მაინტერესებს ძველი თბილისის
ნახვა*!

I'm interested in sightseeing in old Tbilisi.
კი ბატონო! წავიდეთ და ვნახოთ
ძველი თბილისი. თბილისი უძვე-
ლესი ქალაქია**. მას თხუთმეტი
საუკუნის ისტორია აქვს.

Yes, of course. Let's go and see old Tbilisi. Tbilisi
is an ancient town. It has 15 centuries of history.
ეს მე ვიცი**.

I know.
სად იყო გაშენებული*** ძველი
თბილისი?*

Where was the old town situated?
ძველი თბილისი გაშენებული***
იყო მეტეხის ციხის მიდამოებში,
მტკვრის მარჯვენა და მარცხენა
სანაპიროზე. იქ არის ვახტანგ
გორგასლის ძეგლიც. იცი, ვინ
არის ვახტანგ გორგასალი?

Old Tbilisi was built in the environs of Fort
Metekhi, the left and right embankments of the
River Mtkvari. There is a monument there to
Vakhtang Gorgasali. Do you know who
Vakhtang Gorgasali was?

ვიცი, საქართველოს მეფე,
რომელმაც დააარსა თბილისი.


Yes, I know. A Georgian king who founded Tbilisi.
იცი ლეგენდა თბილისის დაარსების
შესახებ?

Do you know the legend about the foundation of
Tbilisi?

ვიცი, ნაკითხული მაქვს.
Yes, I have read about it.

* According to their structure sentences in the Georgian language as in English may be simple or compound. A simple sentence composed of only main parts is called a simple unextended sentence. The main parts of a sentence in the Georgian language are: predicate (შემასმენელი), subject (ქვემდებარე), objects, direct and indirect პირდაპირი და ირიბი დამატება)

For example:



A simple sentence composed not only of main parts but also of secondary parts is called a simple extended sentence. Secondary parts of a sentence are the so called simple object, attribute and adverbial modifier. The afore mentioned sentence may be extended. For example: a young mother ახალგაზრდა (attribute) დედა, a beautiful dress, ლამაზი (attribute) კაბა, a beloved daughter - საყვარელ შვილს (attribute) urgently sews - სასწრაფოდ (adverbial modifier) უკერავს.


As a result we have the following sentence:

ახალგაზრდა დედა საყვარელ
შვილს სასწრაფოდ უკერავს
ლამაზ კაბას (a simple extended sentence).

***In the Georgian language, as in English, the predicate may be simple or compound. A simple predicate is expressed by *** a personal form of a verb. A compound predicate comprises a nominal part that necessarily should be an independent word, and an auxiliary verb. The personal form of a verb may be simple or compound. Compound verbs create forms by means of the auxiliary verb «ვარ». For example: **ვზივარ; წვევხარ; დგავხარ** etc.

Auxiliary verbs in these forms are met only in the I and II persons. In the III person the verb is represented by the simple form: **ზის; წევს; დგას...**

This may be presented thus:



In a compound predicate auxiliary verb mostly it is the verb **ვარ** and verbs that substitute in other tense forms.

For example:

თბილისი ლამაზი **ქალაქი არის** = **ქალაქია**
Tbilisi is a beautiful city.

ეს ოპერის **თეატრი არის** = **თეატრია**
This is an opera house.

ის უნივერსიტეტის **რექტორი იყო**.
He was the rector of the university.

რეზო კარგი **ექიმი იქნებოდა**.
Rezo would be a good doctor.
etc.



As we already mentioned repeatedly, ვარ is a mono-personal verb. If a sentence needs a bi-personal verb form, then the role of auxiliary verb play verbs მაქვს (for non-animate) and მყავს (for animated subjects). For example:

მე საქმე გაკეთებული მაქვს.

I've already done my work.

წერილი დანერილი მაქვს.

I've written a letter.

ბავშვები წყნეთში უკვე წაყვანილი მყავს.

I've taken the children to Tskneti.




საგზაო ნიშნები

Town signs:

გადასასვლელი
 შესასვლელი
 მინისქვეშა გადასასვლელი
 ცალმხრივი მოძრაობა
 სდექ!
 მეტროს სადგური
 ავტობუსის გაჩერება
 ტროლეიბუსის გაჩერება
 ტრამვაის გაჩერება
 ტაქსის სადგომი

Crossing
 Entrance
 Subway
 One way traffic
 Stop!
 Underground station
 Bus Stop
 Trolleybus Stop
 Trolley Stop
 Taxi Stand

Panorama of Tbilisi



Panorama of Tbilisi



T-29

სად არის თბილისის ცენტრალური ფოსტა-ტელეგრაფი?
Where is the central post and telegraph office of Tbilisi?

რუსთაველის პროსპექტზე.
In Rustaveli Avenue.

საიდან შეიძლება დეპეშის, ამანათის, ბანდეროლის გაგზავნა?
From where can I send a telegram, a parcel or a book?

პირველი განყოფილებიდან, მეორიდან...
From the first section, second ...

მომეცით, თუ შეიძლება კონვერტი, ღია ბარათი, მარკიანი კონვერტი, მისალოცი ბარათი, უცხოეთთან სალაპარაკო ტალონი!

Please give me an envelope, a post-card, a stamped envelope, a greetings card, and an international coupon.

ჩემი მისამართია: საქართველო, თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №62, ბაგრატიონი.


(My address is):

Bagrationi 62 Paliashvili St., Tbilisi, Georgia

Write from the text predicates. Indicate whether the predicate is - simple or compound.



Streets of Tbilisi





დიალოგები ტელეფონით Phone Dialogues

ალო გისმენთ!

Hallo! (I'm listening - l.t.)

თუ შეიძლება, ლალის სთხოვეთ.

May I speak to Lela, please?

არ გახლავთ შინ ვინ კითხულობს?

She is not at home. Who's asking?

ამხანაგი ვარ. უკაცრავად. ნახვამდის.

I'm her friend. Excuse me. Good bye.



ალო გისმენთ, ვინ გნებავთ?

Hallo! (I'm listening - l.t.), who do you want?

თამრიკოს სთხოვეთ!

Is Tamriko there please?

სად რეკავთ?

Where are you phoning?

აბაშიძის ბინაა?

Is that the Abashidze flat?

არა, სხვაგან მოხვდით, ნომერი შეგეშალათ!

No, you have dialed the wrong number.

უკაცრავად.

Sorry.



ალო გისმენთ!

Hallo! (I'm listening - l.t.)

გამარჯობათ, ბატონი ზურაბი ბრძანდებით?

Good morning/afternoon. Is that you Zurab?

დიახ.

Yes.

მე ირაკლი რუხაძე გახლავართ. ხვალ სამ

საათზე იწყება სამეცნიერო კონფერენცია.

გთხოვთ, მობრძანდეთ.

I'm Irakli Rukhadze. The scientific conference is beginning tomorrow at 3 o'clock. Come along please, if you can.

გმადლობთ, მოვალ აუცილებლად!

Thank you. I'll come without fail.

კარგად ბრძანდებოდეთ!

Good bye.



ვუსმენ (მე მას) – I am listening.
A bi-personal verb

Present Tense

მე	ვუსმენ	მას	ჩვენ	ვუსმენთ	მას
შენ	უსმენ	მას	თქვენ	უსმენთ	მას
ის	უსმენს	მას	ისინი	უსმენენ	მას

მე	ვუსმენ	მას	(I'm listening to him)
მე	გისმენ	შენ	I'm listening to you)
შენ	მისმენ	მე	(You're listening to me)

Past Imperfect :	მე	ვუსმენდი	მას
Future :	მე	მოვუსმენ	მას
Past perfect:	მე	მოვუსმინე	მას
	მან	მოუსმინა	მას

Examples in Sentences

მე ვუსმენ მუსიკას.
I'm listening to music.

ის უსმენდა ლექციას.
He was listening to a lecture.

ის მოუსმენს რადიოს.
He'll be listening to the radio.

ვახტანგმა დალის მოუსმინა.
Vakhtang has listened to Dali.

მომისმინე!
Listen

ყური დამიგდე!
Listen

მაგას ნუ უსმენ!
მაგას ყურს ნუ უგდებ!
Don't listen to him.

ყურადღება!
Pay attention.

მესმის (მე ის) – I hear something, a bi-personal verb with a changing stem

Present Tense

მე	მესმის	ის	ჩვენ	გვესმის	ის
შენ	გესმის	ის	თქვენ	გესმით	ის
მას	ესმის	ის	მათ	ესმით	ის

Past Imperfect :	მე	მესმოდა	ის
Future :	მე	გავიგონებ	მას
Past perfect:	მე	გავიგონე	ის
	მან	გაიგონა	ის

Examples in Sentences

ცუდად მესმის.
I don't hear well.

ხმამალლა ილაპარაკეთ! არ მესმის!
Speak louder, I can't hear you.

მე არ მესმის შენი!
I can't hear you. Also I don't understand you.

არაფერი მესმოდა.
I've could not hear anything.

ყველაფერი გავიგონე.
I've heard everything.

მესმის passive verb, a bi-personal has prefix -ე.
The same stem has the verb **ისმის**, mono-personal, with prefix -ი, has only the form of the III person, singular, in the present tense. For example: **აქედან კარგად ისმის** We can hear it well from here
რა ისმის ახალი? what's new?



ტაქსიში In a Taxi

**გამარჯობა(თ), შეგიძლიათ წაგვიყვანოთ
ვაჟაფშაველას პროსპექტზე?**

Hello. Excuse me, can you take us to Vaja-Pshavela Avenue?

დაბრძანდით!

Sit down, please.

რამდენი უნდა მოგართვათ?

How much do we owe you?

5 ლარი.

5 Lari.

დიდი მადლობა

Thank you.



ავტობუსში On a Bus

რა ღირს ერთი ბილეთი?

How much is the bus ticket?

50 თეთრი. მე დაგაბატიყვებ, ხურდა მაქვს.

50 tetri. I'll pay you, I have some change.

კარგი, გმადლობთ.

OK, thank you.

როდის უნდა ჩავიდეთ?

When should we get off?

სამი გაჩერების შემდეგ. წინ წავიდეთ!

After three stops. Go forward.

უკაცრავად ჩაბრძანდებით?

Excuse me, are you getting off?

არა, მე შემდეგ გაჩერებაზე ჩავდივარ.

No, I'll get off the next station.

თუ შეიძლება გაგვატარეთ!

Let us pass, please.

მიბრძანდით

Do go.



Conjugation of verbs:

- 1) **ვამბობ მე მას**
(I'm saying something)-a bi-personal verb
- 2) **ვეუბნები მე მას მას**
(I'm telling him something) -a tri-personal verb
- 3) **ვლაპარაკობ მე**
(I'm talking) - a mono-personal, but sometimes may be also a bi-personal verb.
- 4) **ველაპარაკები მე მას**
I'm talking to him - bi-personal, but sometimes may be also a tri-personal verb.

Basic Forms:

Present Tense:

მე	ვამბობ		მას
მე	ვეუბნები	მას	მას
მე	ვლაპარაკობ		
მე	ველაპარაკები		მას

Past Imperfect:

მე	ვამბობდი		მას
მე	ვეუბნებოდი	მას	მას
მე	ვლაპარაკობდი		
მე	ველაპარაკებოდი		მას

Future

მე	ვითყვი		მას
მე	ვეთყვი	მას	მას
მე	ვილაპარაკებ		
მე	(და)ველაპარაკები		მას

Past Perfect:

მე	ვთქვი		ის
მე	ვუთხარი	მას	ის
მე	ვილაპარაკე		
მე	(და)ველაპარაკე		მას

II Subjunctive

მე	ვთქვა		ის
მე	ვუთხრა	მას	ის
მე	ვილაპარაკო		
მე	(და)ველაპარაკო		მას



T-30

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. ზოგიერთი მათგანი თარიღდება ჩვ.წ. აღრიცხვამდე ორი ათასი წლით. ეს ექსპონატები ძირითადად ინახება ჩვენი დედაქალაქის მუზეუმებში. სახელდობრ, საქართველოს ისტორიის მუზეუმსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

Georgia is a country with an ancient culture. Unique samples of art have been found on the territory of Georgia as a consequence of archaeological excavations. Some of them date back to the second millennium B.C. These artifacts are kept in museums in our country, viz the Museum of Georgian History and the Art Museum of Georgia.



1. Gold sculpture of a lion. The end of the III millennium B .C. Tsnori
2. Gold goblet. First half of the II millennium B.C. Trialeti
3. Gelati tondo with representation of St. Father, silver, XI c.
4. Tsilkani icon of Mother of God, IX c.
5. Cross with precious stones of Queen Tamar XII c.





1. Kintsvisi Angel.
Wall painting in
the church. 1207

2. Saint Nino

T31

ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან.

Georgians are Orthodox Christians.

ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა სამას ოცდაჩვიდმეტ წელს, მირიან მეფის დროს. გადმოცემის თანახმად, ხალხი მდინარე მტკვარში მონათლეს. ქართველების განმანათლებელია წმ.ნინო კაბადოკიელი.

Christianity was announced as a State religion in

337 in the time of King Mirian. According to legend, people were baptised in the River Mtkvari. The enlightener of Georgians was Nino from Cappadocia.

ქართველებისათვის, როგორც ყველა ქრისტიანისათვის, ყველაზე უდიდესი დღესასწაულებია შობა და აღდგომა.

For Georgians, as for all Christians, the most important religious feasts are Christmas and Easter.






Vocabulary

ეკლესია, ტაძარი	church, temple
ჯვარი	cross
ხატი	icon
სანთელი	candle
კათალიკოსი	Catholicos
მღვდელი, ხუცესი	priest
მოძღვარი	confessor
დიაკვანი	deacon
ეკლესიის მსახური	clergyman

ბერი	monk
მონაზონი	nun
წმინდა მამა	holy father
მორწმუნე	a believer
ნათლობა	baptism, christening
ნათლული	god-child
ნათლიმამა	god-father
ნათლიდედა	god-mother

«My Pearls and Rubies I Offer to the Virgin of Khakhuli» - From the testament of King David the Builder.



The «Khakhuli Triptych». Gold (1,47 X 2.02).

Displays 115 samples of medieval cloisonne enamel (XII c I half). The central icon - Mother of God (1,16 X 0,95). Is executed on gold plate from pink enamel with lilac and violet tints in some places. Fragments are shown later.



დედაქალაქში

- ნანა, დღეს მინდა დავათვალიერო ძველი თბილისი.

- კარგი, წავიდეთ. მე დღეს არ მივდივარ სამსახურში, ვისვენებ. დრო მაქვს და კარგად დავათვალიერებინებ ქალაქს. ჯერ რუსთაველზე გავიდეთ მეტროთი და შემდეგ ფეხით გავაგრძელოთ გზა. მე ძალიან მიყვარს რუსთაველის პროსპექტი. იქ არის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ქაშვეთის ეკლესია, რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი, პარლამენტის შენობა, მოსწავლეთა სასახლე. თუ გინდა ეკლესიაში შევიდეთ სანთელი ავანთოთ.

- რუსთაველზე გუშინ ვიყავი. ძალიან ლამაზი და საკმაოდ ფართო პროსპექტია.

- აი, ძველ თბილისში კი ვინრო ქუჩებია, მაგრამ ძალიან ლამაზი უბანია, ხის აივნისანი სახლებით. ერეკლეს მოედანზე კაფეში შევიდეთ, გოგირდის აბანოებიც აქვება, ძველ თბილისში.

- აი, ის ძეგლი ვახტანგ გორგასლისაა. მან დააარსა თბილისი 1500 წლის წინათ. ძეგლის ავტორია ელგუჯა ამაშუკელი. «ქართლის დედაც» მისი ქანდაკებაა. თუ გინდა, მთაწმინდაზე ავიდეთ? ზევიდან მთელი თბილისი ჩანს. აი, ჩვენ პირდაპირ ნარიყალაა. ეს ციხე მეოთხე საუკუნეშია აგებული, ავიდეთ?

- არა, მე დრო არა მაქვს. დედაჩემმა ამანათი გამომატანა თავის მეგობართან და დღესვე

In the Capital

- Nana, today I want to go sightseeing in old Tbilisi.

- Well, let's go. I'm not going to work today. I have a holiday. I've got the time and I'll let you see around the city well. First we'll go by the underground to Rustaveli Avenue and then we'll continue our way on foot. I love Rustaveli Avenue very much. There are the Zakharia Paliashvili State Theatre of Opera and Ballet, the church Kashveti, Rustaveli Theatre, Parliament and the Palace of Youth and Schoolchildren. If you want to, we'll go into the church and light some candles.

- I was yesterday in Rustaveli Avenue. It's a very beautiful and broad avenue.

- There are narrow lanes in old Tbilisi, but it's a very beautiful part of the city, with houses with wooden balconies. Let's go to a cafe on Irakli Square. The sulphur bath-houses are also here, in old Tbilisi.

- This is a monument to Vakhtang Gorgasali. He founded Tbilisi 15 centuries ago. The artist of the monument is Elgudja Amashukeli. «Mother Georgia» is his sculpture too. If you want to we'll go to up the Mtatsminda. The whole of Tbilisi is seen from above. Look, there is Narikala Fortress in front of us. This fortress was built in the IVth century. Would you like to go there?

- No, I don't have time. Mum gave me a parcel for her friend. I should deliver it today.

უნდა მივუტანო.

- სად არის წასაღები ამანათი?
- მისამართი იცო?

- კი, ზედ აწერია: საბურთალო, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, მეხუთე კვარტალი, მეორე კორპუსი, მეორე სადარბაზო, მესამე სართული. იქ როგორ მოვხვდებით?

- ამ აღმართს ავივლით თავისუფლების მოედნამდე. იქ ჩავსხდებით №2 ავტობუსში და მივალთ ვაჟა-ფშაველას პროსპექტამდე.

- შორს არის?
- საკმაოდ.
- რამდენი გაჩერებაა?
- ზუსტად არ ვიცი, ვიკითხოთ და გვეტყვიან.
- რამდენი დრო დაგვჭირდება?
- დაახლოებით ნახევარი საათი.
- ძალიან დაგვაგვიანდება, შეეშინდებათ, მოდი, ტაქსით წავიდე.

- კარგი.
- უკაცრავად, ეს მეხუთე კვარტალია?
- დიახ.
- მეორე კორპუსი რომელია?
- პირდაპირ წაბრძანდით და მარჯვნივ შეუხვიეთ!
- გმადლობთ. რა ყურადღებიანი ხალხია ქართველები. რამეს რომ ჰკითხავ, ყველა სიამონებით გიპასუხებს. აი, მეორე კორპუსიც!

- ჩქარა ჩამოდი! აქ დაგელოდები.

- კარგი.
- რა მალე დაბრუნდი. შინ იყვნენ, გადაეცო?
- კი, ჩქარა! ავტობუსი მოდის!

- Where should the parcel be taken? Do you know the address?

- Yes it's written on it. Vaja-Pshavela Avenue, V block, III building, II entrance, IV floor. How can we get there?

- We'll go up this slope to Liberty Square. Then we'll sit in bus N2 and go to Vaja-Pshavela Avenue.

- Is it far?

- It's quite far.

- How many stops?

- I don't know exactly. We'll ask and they'll say.

- How much time will we need?

- About half an hour.

- We are going to be very late. Our folks will worry. Let's go by taxi.

- OK.

- Excuse me, is this the V block?

- Yes.

- Which one is the II building?

- Go straight and then turn to the right.

- Thank you. How helpful people are in Georgia. If you ask something everyone answers with pleasure. Here is the II building.

- Come back soon. I'll be waiting for you here.

- Well.

- (How soon have you returned? - I.t.) You didn't take long. Were they at home? Did you give it?

- Yes, quick. A bus is coming.

Part IX

Attending Shows and Sightseeing



გამომცემლობა «მერანის» ფოი-
ეში საქართველოს ახალგაზრდა
მწერლებისა და პოეტების წი-
გნების გამოფენა-გაყიდვაა,
გინდა წავიდეთ?

There is an exhibition on. They are selling books
by young Georgian writers and poets in the hall
of «Merani» the publishers. Do you want to go?

კი, აუცილებლად წავიდეთ!
ძალიან მაინტერესებს.

Yes we'll go without fail. I am very interested.

წავიკითხავს რაიმე თანამე-
დროვე ქართული ლიტერატუ-
რიდან?

Have you read any modern Georgian literature?

არ წამიკითხავს*.

No, I have not.

უნდა წაიკითხო თანამედროვე
მწერლების ნაწარმოებები. აი,
ეს ახალგაზრდა მწერალთა
ნოველებს კრებულია. იქ
ვიყიდე, წავიკითხე, ძალიან
საინტერესოა, გინდა გათხო-
ვებ?

You should read modern writers' works. Here is a
collection of short stories by young writers. I
bought the book there. It's very interesting. Do
you want to read it?

კი, მინდა!

Yes, I do.

იქ ახალგაზრდა ქართველი პოე-
ტების ლექსების კრებულიც
იყიდება. მე გაჩუქებ. ძალიან
კარგი კრებულია.

There is also a collection of verses by young
Georgian poets on sale. I'll give you a copy. It's a
very good collection.

გმადლობთ, დიდი სიამოვნებით
წავიკითხავ!

Thank you. I'll read it with pleasure.

*არ წამიკითხავს –I have not read. This
verbal form indicates an action which did not happen
in the past and the result of which is seen in the present.

Let us consider such an example:

ვანო აშენებდა სახლს

Vano was building a house.

აშენებდა—is a simple predicate that is expressed
by the simple form of the verb in the past imperfect
tense. The action that took place in the past could
have the following results in the present.

1) The action is completed, as a result the house is
built.

ვანოს აშენებული აქვს სახლი.

Vano's house is built.

2) The action was not completed, as a result - the
house was not built.

ვანოს აშენებული არა აქვს
სახლი.

Vano's house is not built.

The meaning of these sentences is conveyed by means of a compound predicate:

აშენებული აქვს, აშენებული არა აქვს (in I person it will be **მე აშენებული მაქვს სახლი, მე აშენებული არა მაქვს სახლი**).

The auxiliary verb **მაქვს** has an objective order and this determines the construction. The basic person stands in the Dative case and the non-basic in the Nominative case. In the above mentioned sentences, the compound predicate may be substituted by a simple one that will be expressed by the simple form of a verb, so called I resulting. This form of the verb expresses an action which happened in the past but the result of which is seen now. The verbal construction remains the same i.e. the verb will be in the objective order.

მე	ამიშენებია სახლი*	ჩვენ	აგვიშენებია სახლი
(I have built a house)			
შენ	აგიშენებია სახლი	თქვენ	აგიშენებიათ სახლი
მას	აუშენებია სახლი	მათ	აუშენებიათ სახლი
მე	დამიწერია ის	ჩვენ	დაგვიწერია ის
შენ	დაგიწერია ის	თქვენ	დაგიწერიათ ის
მას	დაუწერია ის	მათ	დაუწერიათ ის

These are forms of I resulting from active verbs. Passive verbs form I resulting by means of an auxiliary verb **ვარ**. For example:

მე გა-ვ-ზრდილ-ვარ (I have grown up)
შენ გა-ზრდილ-ხარ
ის გა-ზრდილ-ა



Forms of I resulting with a negative particle **არ** are not as categorical as negative forms of other tenses and again it is apparently caused by the fact that in this case the form indicates the result of an occurred action and not the action itself.

For example:

Questions:

Negative Answers:

		Past Perfect (Categorical Negation)	I resulting
ააშენე	სახლი?	არ ავაშენე	არ ამიშენებია სახლი
შევერე	კაბა?	არ შევეკერე	არ შემიკერავს კაბა
დახატე	სურათი?	არ დაეხატე	არ დამიხატავს სურათი
შეჭამე	საჭმელი?	არ შევჭამე	არ შემიჭამია საჭმელი
მოიტანე	წიგნი?	არ მოვიტანე	არ მომიტანია წიგნი
მოქსოვე	წინდა?	არ მოვქსოვე	არ მომიქსოვია წინდა

It should also be mentioned that the negative form of I resulting comprises also the idea of categoricity in itself, but for a precise elucidation an additional question (why?) is needed. For example:

Question	Answer	Question	Answer
დავალება დაწერე?	არ დამინერია	არ დაწერე? რატომ? ვერ დაწერე?	არ დაწერე (did not write) (categorical) ვერ დაწერე (could not write)



გამოფენაზე

- შესანიშნავი გამოფენაა!
- ალტაცებული ვარ! სიამოვნებით ვიყიდდი რამდენიმე სურათს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფული არა მაქვს.
- ვინ არის ამ სურათის ავტორი?
- ამ სურათის ავტორია მხატვარი გიორგი ვაშაკიძე.
- ძალიან მომწონს! მინდა ვიყიდო! როგორ არის შეფასებული, რა ღირს?
- სურათი ათასი ლარი ღირს.
- ვიყიდი, მომეცით!

At the Exhibition

- The exhibition is wonderful. I am delighted. I would buy several pictures with pleasure, but unfortunately I don't have enough money.
- Excuse me, who is the artist who painted this picture?
- The artist of this picture is Giorgi Vashakidze.
- I like it very much. I want to buy it. How is it evaluated. How much does it cost?
- The picture costs 1000 lari.
- I'll buy it. Please, give it to me.

T-33

ხვალ რუსთაველზე, სამხატვრო გალერეაში იხსნება ახალ-გაზრდა ქართველი მხატვრების სურათების გამოფენა-გაყიდვა, გინდა წავიდეთ?

There is an exhibition of works by young Georgian artists which opens tomorrow in the Art Gallery in Rustaveli Avenue. Do you want to go?

კი, ძალიან მინდა. მე ძალიან მომწონს ქართველი მხატვრების ნამუშევრები. განსაკუთრებით


მიყვარს ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის ნახატები. Yes, I would like to go very much. I like pictures by Georgian artists very much. Especially I like pictures by Niko Pirosmani, Lado Gudiashvili and Elene Akhvlediani.

კარგი, წავიდეთ!
Well, let's go.

«Winter in Signagi»
by E. Akhvlediani



«Deer» by N. Pirosmani



«N. Pirosmanishvili»
by L. Gudiashvili



საუბარი თეატრის შესახებ

Talking about Theatre

რა სპექტაკლია დღეს რუსთაველის თეატრში?

Which play is on in Rustaveli Theatre today?

დღეს ახალი წარმოდგენაა, გუშინ პრემიერა იყო.

Today a new play is on. Yesterday was the premiere.

რა ღირდა ბილეთი?

How much was the ticket?

ბილეთები ძვირია და თანაც უკვე ყველა გაყიდულია.

Tickets are expensive. Besides they are all already sold.

შენ იყავი სპექტაკლზე?

Have you been to the play?

დიახ, ვიყავი.

Yes, I have.

როგორ მოგეწონა სპექტაკლი?

How did you like the play?

ძალიან მომეწონა, სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

I liked it very much. The play had a great success.

მთავარ როლს ასრულებდა ჩემი საყვარელი მსახიობი ნუსტა ჩიჩუა.

My favourite actress Nutsa Chichua was performing.

მე მაგ მსახიობის თამაში არ მომეწონს.

I don't like her style of acting.

მე, პირიქით, ძალიან მომეწონს.

On the contrary I like it.

Vocabulary

პიესის ავტორი playwright

კომპოზიტორი composer

მხატვარი artist

სცენა stage

დეკორაცია decoration, stage design

პარტიერი stall, pit

პირველი რიგი first row

მოცეკვავე dancer

ამფითეატრი circle (rear orchestra)

იარუსი dress circle

ბენუარის ლოჯა boxes

მსახიობი actor, actress

ბალეტმეისტერი ballet-master

მომღერალი singer

კონცერტი concert

მთავარი როლის შემსრულებელი

appearing, starring

დამდგმელი რეჟისორი

producer

კლასიკური მუსიკის კონცერტი

concert of classical music

ხალხური მუსიკის კონცერტი

concert of folk music

საესტრადო მუსიკის კონცერტი

concert of pop music



The orchestra «Akhali Taoba»



გულშემატკივრები

- ხვალ ფეხბურთის მატჩია?
- დიას, ხვალ ძალიან საინტერესო თამაშია. ერთმანეთს ხვდებიან საქართველოს და პოლონეთის გუნდები.
 - სად იქნება თამაში?
 - «დინამოს» სტადიონზე.
 - შენ თბილისის «დინამოს» გულშემატკივარი ხარ?
 - რასაკვირველია! თბილისის «დინამოს» მეკარე ჩემი ახლო მეგობარია. ყველას ვიცნობ.
 - ვინ არის თბილისის «დინამოს» მწვრთნელი?
 - თბილისის «დინამოს» მწვრთნელია თეიმურაზ ჯანდიერი.
 - ვინ იქნება მსაჯი?
 - მსაჯი გერმანიიდან არის.
 - რომელ საათზე იწყება თამაში?
 - თამაში იწყება შვიდ საათზე.
 - ბილეთი გაქვს?
 - არა მაქვს, მაგრამ მატჩის დაწყების წინ ვიყიდი.
 - თამაში საინტერესო იქნება. ახლა ჩვენი გუნდი ძალიან კარგ სპორტულ ფორმაშია.

Fans

- Will there be a football match on tomorrow?
- Yes. Tomorrow is a very interesting game. Georgia and Polish teams are meeting each other.
- Where will the game take place?
- At Dynamo Stadium.
- Are you a fan of «Dynamo Tbilisi»?
- Of course. The goalkeeper of «Dynamo Tbilisi» is my close friend. I know everybody in the team.
- Who is the coach of «Dynamo Tbilisi»?
- The coach of «Dynamo Tbilisi» is Teimuraz Jandieri.
- Who is the referee?
- The referee is from Germany.
- What time does the game begin?
- The game begins at 7 o'clock.
- Will you have a ticket?
- No, but I'll buy one before the beginning of the game.
- The game will be interesting. Our team is in very good form now.



მეტოქეთა კარში ბურთი ლევან ჩიჩუამ გაიტანა

საჯარიმო დარტყმა

-
-
-
-
-
-
-
-
-

The goal into the net of the opponent was scored by Levan Chichua.

- penalty kick
- Was fined
- penalty kick
- upside
- a personal remark
- Won
- lost
- The competition is beginning
- He reached to the finish first
- a gymnasium



სპორტის სახეობები
Kinds of Sport

ფეხბურთი	football
კალათბურთი	basketball
წყალბურთი	water polo
მაგიდის ჩოგბურთი	table tennis
ფეხბურთელი	football player
კალათბურთელი	basketball player
წყალბურთელი	water polo player
მაგიდის ჩოგბურთელი	table tennis player
ჭადრაკი	chess
ტანვარჯიში	gymnastics
თხილამურებით სრიალი	skiing
მძლეოსნობა	weight - lifter
მოკრივე	boxer
ტანმოვარჯიში	gymnast
მთხილამურე	skier

მძლეოსანი	weight - lifter
ფრენბურთი	volley-ball
ხელბურთი	handball
ჩოგბურთი	tennis
ფრენბურთელი	volley-ball player
ხელბურთელი	handball player
ჩოგბურთელი	tennis player
ჭიდაობა	wrestling
კრივი	boxing
ცურვა	swimming
მოჭადრაკე	chess player
მოჭიდავე	wrestler
მოცურავე	swimmer
მოციგურავე	skater



«Dynamo» Tbilisi



Gudauri. Georgia's most famous ski resort



Georgian women chess champions



ზოოპარკში At the Zoo

ხვალ ბავშვები ზოოპარკში უნდა წავიყვანო.

Tomorrow we should take the children to the zoo.

მართლა?! რა კარგია!

Really? That's good.

პატარა სპილო ჩამოიყვანეს აფრიკიდან და ბავშვებს უნდა ვაჩვენო. ძალიან ბევრი ხალხი მიდის ზოოპარკში პატარა სპილოს სანახავად.

A little elephant has been brought from Africa and I want to show it to the children. A lot of people come to the zoo to look at this little elephant.

კიდევ რა ცხოველებია ჩვენს ზოოპარკში?

What other animals are there in our zoo?

გარეული ცხოველები, გარეული ფრინველები. ბავშვები ზოოპარკში სიამოვნებით დადიან.

Wild animals, wild birds. Children love going to the zoo.

Vocabulary



შინაური ცხოველები

Domestic Animals:

ძაღლი	dog
ლექვი	puppy
კატა	cat
კნუტი	kitten
ცხენი	horse
კვიცი	foal
ვირი	donkey
აქლემი	camel

გარეული ცხოველები

Wild Animals:

მგელი	wolf
დათვი	bear
ლომი	lion
სპილო	elephant
ვეფხვი	tiger
მელია	fox
მაიმუნო	monkey
ირემი	deer
ციყვი	squirrel
კურდღელი	hare

გარეული ფრინველები

Wild birds:

არწივი	eagle
ყვავი	crow
მერცხალი	swallow
თოლია	sea-gull
ბელურა	sparrow
მტრედი	pigeon
ბულბული	nightingale
ხობობი	pheasant
მწყერი	quail
თუთიყუში	parrot
ფარშევანგი	peacock

მწერები

insects:

ბუზი	fly
ჭიანჭველა	ant
პეპელა	butterfly
ფუტკარი	bee
ობობა	spider

ქვეწარმავლები

reptiles:

გველი	snake
ხვლიკი	lizard
ბაყაყი	frog
კუ	turtle



ყვავილების მაღაზიაში At the Flower Shop:

ყვავილები გიყვარს?

Do you like flowers?

დიახ, ყვავილები ძალიან მიყვარს.

I like flowers very much.

განსაკუთრებით რომელი ყვავილები გიყვარს?

Which flowers do you like most of all?

ყველაზე მეტად მიყვარს მინდვრის ყვავილები: იები, გვირილები.

Most of all I like field flowers: violets, daisies.

ყაყაჩოც ძალიან ლამაზია. მაგრამ ცუდი სუნის აქვს და თავს მტკენს.

Poppies are very beautiful too, but they give me a headache.

ყველაზე მეტად ვარდისა და იასამნის სუნის მომწონს.

I like the smell of roses and lilac most of all.

ეს თაიგული მოგწონს?

Do you like this bunch of flowers?

კი, ძალიან ლამაზია!

Yes, it's very beautiful.

მოგვეცი ვარდების თაიგული!

Give us a bunch of roses.

ინებეთ!

Here you are

დიდი მადლობა, ძალიან ლამაზი თაიგულია.

Thank you, the bunch is very beautiful.



Vocabulary:

ყვავილები flowers

ია	violet
ვარდი	rose
მინაკი	carnation
ტიტა	tulip
ენძელა	iris
გვირილა	daisy
ყაყაჩო	poppy
იასამანი	lilac
შროშანა	lily of the valley
კესანე	forget-me-not



«Chuqurtma» by Gudiashvili



T-34

მე შენ ძალიან მომწონხარ!
I like you very much.

მეც მომწონხარ!
I like you too.

სულ შენზე ვფიქრობ! არ მე-
გონა, თუ ასე შემიყვარ-
დებოდი! ძალიან მომწონს შენი
ღიმილი! შენ თვალები! ბედნი-
ერი ვარ, როცა შენ გვერდით
ვარ! წამომყევი ცოლად!
I'm thinking about you all the time. I did not
know, that I would love you so much. I like your
smile. Your eyes. I'm so happy when you're by my
side. Will you marry me?

შენ ძალიან ცუდად მექცევი!
ალარ გიყვარვარ!
You treat me badly. Don't you love me any more?

შენ ჩემი აღარ გესმის!
You don't understand me any more.

საერთოდ ერთმანეთს ველარ
ვუგებთ!

We can't understand each other.

შენ ეჭვიანი გახდი! ყველაზე
ეჭვიანობ!

You've become very jealous. You are jealous of
everyone.

რატომ მილალატიე?!
Why have you betrayed me?

მე შენთვის არ მილალატია!

I have not betrayed you.

თავი დამანებე! სჯობია დაფ-
შორდეთ ერთმანეთს!

Leave me alone. We'd better part.



Vocabulary

მომწონხარ	I like you
მიყვარხარ	I love you
ბედნიერება	happiness
უბედურება	misfortune
კოცნა	kiss
მოფერება	caress
ლალატი	betrayal
სიყვარული	love
სიძულვილი	hatred
სიხარული	joy
სილამაზე	beauty
სინაზე	tenderness



ძალიან ლამაზი ხარ!
You're very beautiful.

ძალიან კარგად გამოიყურები.
You look very well.

ეს კაბა ძალიან გიხდება!
This dress suits you.

რა ლამაზი თმები გაქვს!
How beautiful is your hair.

რა ლამაზი თვალები გაქვს!
Your eyes are so beautiful.

რა ლამაზი ტანი გაქვს!
Your figure is so beautiful.



Conjugate verbs: **ვუყურებ, ვუცქერ, ვუმზერ** – I look at (bi-personal verbs)
Basic forms are given:

Present Tense

ვუყურებ მე მას
ვუცქერ მე მას
ვუმზერ მე მას

Past Imperfect

ვუყურებდი
ვუცქერდი
ვუმზერდი

Future

შევხედავ

Past Perfect

ვუყურე
ვუცქირე
შევხედე

II subjunctive

ვუყურო
ვუცქირო
შევხედო

I resulting

მიყურებია
მიცქერია
შემინხედავს

As you see, the verb «look at» may be expressed in Georgian by three different verbs, the latter two are used rarely.

Examples in Sentences

მე ვუყურებ ტელევიზორს.
I watch TV. (present tense)

მე ვუყურებდი ტელევიზორს.
I watched TV. (past imp.)

მე შევხედავ ტელევიზორს.
I will watch TV. (future)

მან უყურა ტელევიზორს.
He has watched TV. (past perf.)

Conjugate verbs:
ვხედავ – I see (bi-personal verb).
Basic forms are given:

Present

ვხედავ მე მას

Past Imperfect

ვხედავდი

Future

შევხედავ
დავინახავ

Past Perfect

შევხედე
დავინახე

II subjunctive

შევხედო
დავინახო

I resulting.

შემინხედავს
დამინახავს

Examples in Sentences

მე ცუდად ვხედავ.
I see badly.

ვერ დავინახავ.
I won't be able to see.

ჩემი და არ გინახავს?
Have not you seen my sister?

გუშინ ვნახე სკოლის ამხანაგი.
Yesterday I (saw) met my school friend.

ვნახავ, რას გააკეთებ!
I'll see what you will do.

გიორგიმ ნახა ამხანაგები.
Giorgi saw his friends.

გიორგიმ ხეზე ჩიტი დაინახა.
Giorgi saw a bird on a tree.

შენი სკოლის ამხანაგები ნახე?
Did you see your classmates?

არა, არ მინახავს.
No, I did not.



თეატრში

- ნინო, ხვალ გცალია? წავიდე თეატრში!

- არა, ხვალ არ მცალია. ზეგ სიამოვნებით წამოვალ.

- კარგი, მაშინ ბილეთებს ავიღებ ოპერისა და ბალეტის თეატრში. ხვალ და ზეგ იქ პრემიერაა. დადგეს ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის ოპერა. ამბობენ, კარგი სპექტაკლიაო. მამაკაცის მთავარ პარტიას ნოდარ ციციშვილი ასრულებს.

- რომელ საათზე იწყება სპექტაკლი?

- შვიდ საათზე. ექვს საათზე და ოცდაათ წუთზე გამოვივლი მანქანით, შენ მზად იყავი.

- კარგი, მოვილაპარაკეთ, ნახვამდის.

- მაპატიე, დამაგვიანდა.

- არა უშავს. მეც ცოტა დამაგვიანდა. მე მგონი, მოვასწრებთ. სპექტაკლის დაწყებამდე კიდევ თხუთმეტი წუთია.

- სად არის ჩვენი ადგილები?

- პარტერში ბილეთები აღარ იყო და ბელეტაჟის ლოჯა ავიღე, პირველი რიგი. მესამე და მეოთხე ადგილებია. პირდაპირ სცენას უყურებს.

- უკაცრავად, თუ შეიძლება გაგვატარეთ, ჩვენი ადგილები პირველ რიგშია. მესამე და მეოთხე ადგილები.

- უკვე რომ დაკავებულია?!

- უკაცრავად, ბატონო, მაგრამ ეს ჩვენი ადგილებია. კიდევ ერთხელ შეამოწმეთ თქვენი ბილეთები.

- მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი, შემშლია! ჩვენი ადგილები ამფითეატრში ყოფილა. ვერ შევამჩნიე, ბილეთებს ამფითეატრი რომ აწერია. მობრძანდით!

At the Theatre

- Nino are you free tomorrow? Let's go to the theatre.

- No, I'm busy tomorrow. But I'll go with pleasure the day after tomorrow.

- Well I'll buy tickets for the Opera House. There is a premiere tomorrow and the play will be on the day after tomorrow too. An opera by a young Georgian composer is being staged. They say the opera is good. Nodar Tsitsishvili sings the main male role.

- What time does the opera begin?

- At 7 o'clock, I'll by car at 6.30. Be ready.

- Well, that's fixed, good-bye.

- Sorry I'm late.

- It doesn't matter. I was late a bit too. I think we'll be on time. There are still 15 minutes before the beginning of the opera.

- Where are we sitting? (What kind of seats do we have?)

- There were no tickets for the shalls and I have tickets for a box, first row, seats numbers 3 and 4 straightly above the stage.

- Excuse me, let us pass, our seats are in row I, numbers 3 and 4.

- But they are already occupied .

- Excuse me, but these are our seats. Check your tickets once more

- I'm sorry, excuse me. I've made a mistake. It turns out that our seats are behind the orchestra. I did not notice that rear orchestra was written on the tickets. Come along.

- ძალიან მომწონს ციციშვილი. კარგი მომღერალია. ძლიერი და ლამაზი ხმა აქვს. ქალის პარტიას ვინ ასრულებს?

- ვილაც ახალგაზრდა მომღერალია. ახლავე ვიყიდი პროგრამას და გავიგებთ.

- ვინ დირიჟორობს.

- ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

- მხატვარი ვინ არის?

- ირაკლი კაკაბაძე. ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარია. სპექტაკლი დადგა ცნობილმა რეჟისორმა გიორგი მაჩაბელმა.

- არ იცი, სულ რამდენი აქტია?

- ორი. შესვენებაზე კაფეში ჩავიდეთ, ნაყინი მივირთვათ.

- გიყვარს ნაყინი?

- მიყვარს.

- ძალიან ვისიამოვნე, კარგი სპექტაკლია.

- მეც ძალიან ბედნიერი ვარ! კარგი საღამოა და, რაც მთავარია შენ ჩემთან ხარ! ნინო, ალბათ გრძნობ, რომ მომწონხარ. სულ შენზე ვფიქრობ, არ მეგონა თუ ასე შეგეჩვეოდი. ჩემს ცხოვრებაში ასე არავინ მომწონებია. ჩემი ოცნებაა, ვიყოთ სულ ერთად! მე მგონია, რომ შენც მოგწონვარ, იქნებ ვცდები?

- არა, არ ცდები! მეც მისიამოვნებს შენთან ყოფნა. მე ასეთი გრძნობა არავის მიმართ არ მქონია. არ ვიცი, იქნებ ეს არის სიყვარული?

- რა ბედნიერებაა! ცოლად წამომყვები?

- იცი, ნოდარ, მე ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ, სწავლა უნდა დავამთავრო. ზაფხულამდე მოვიცადოთ.

- თანახმა ვარ, ზაფხულიც მალე მოვა. რაც მთავარია, ერთმანეთი გვიყვარს.

- ახლა უკვე გვიანაა, სახლში უნდა წავიდე. დედა იღელვებს. ნახვამდის!

- ხვალ დაგირეკავ.

- I like Tsitsishvili very much. He is a good singer. His voice is strong and beautiful, but who is performing the woman's role?

- A young singer. I'll buy a programme and will find out.

- Who is the conductor?

- A young Georgian conductor, Zaza Azmaiparashvili.

- Who is the stage designer?

- Irakli Kakabadze, - a gifted young artist. The performance is staged by the well-known producer, Giorgi Machabeli.

- Don't you know how many acts there are?

- Two. Let's go to the cafe in the interval and eat ice cream.

- Do you like ice cream?

- Yes I do.

(I received great pleasure - I.t.), I liked the opera. The performance is wonderful. I'm very happy too. The evening is wonderful and what is most important is that you are with me. Nino, you probably feel that I like you very much. I'm thinking about you all the time. I did not think that I would get used to you so much. I have never liked anyone so much. My dream is being with you always. It seems to me that you like me too? Am I mistaken?

- No, you are not. I'm pleased to be with you too. I have never had such a feeling about anybody before don't know. Maybe this is love

- What happiness! Will you marry me?

- Nodar, I'm not going to get married yet. I have to finish studying first. Let's wait till summer.

- I agree. Summer will come soon. The main thing is that we love each other.

- But it's already late, I have to go home. Mother will worry. Good bye.

- I'll phone you tomorrow.



1. Ancient masks from Vani Vc.b.c.
2. Uplistsikhe-Theatre I- II centuries B.C.
3. Berikaoba - Festival of Masks. Sculptor A.Monaselidzc, Tbilisi.



4. Rustaveli Theatre, Tbilisi.
5. «The Tree of life». Sculptor Z.Tseretcli, in Khobi.
6. «Muse». Sculpter M. Berdzenishvili, Tbilisi.
7. Philharmonic Hall. Architect I.Chkhenkeli, Tbilisi.

Write the theme «Journey in Georgia» - in about 250 words

Part X

Business Affairs



სამუშაოზე მოწვობა

- თქვენ ბრძანდებით გაზეთ «კვირის პალიტრის» გენერალური დირექტორი?
- დიახ.
- თქვენს გაზეთში წავიკითხე განცხადება, რომ გჭირდებათ მთარგმნელი, ინგლისური ენის სპეციალისტი*. მე დავამთავრე თსუს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისური ენის სპეციალობით და ვეძებ სამუშაოს.
- ძალიან კარგი, ჩვენ სწორედ ასეთი სპეციალისტი გვინდა.
- თქვენი სამუშაო დღე ნორმირებულია? რომელ საათზე იწყებთ მუშაობას?
- ჩვენ მუშაობას ვიწყებთ ცხრა საათზე და ვამთავრებთ ხუთ საათზე*. გვაქვს ერთსაათიანი შესვენება. სამუშაო დღე შვიდსაათიანია. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა.
- ხელფასი რამდენია?
- თვიური ხელფასი 300 ლარია. ზედმეტ საათებსაც აგინაზღაურებთ.
- თანახმა ვარ!
- დანერეთ განცხადება! შეავსეთ ანკეტა! შემოიტანეთ** საჭირო საბუთები. ჩვენ ჯერ ერთი თვით, გამოსაცდელი ვადით აგიყვანთ. შემდეგ, თუ ორივე მხარე დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, დაგიდებთ კონტრაქტს ერთი წლით.
- რა საბუთებია საჭირო?
- განცხადება, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დიპლომის ასლი, ორი ფოტოსურათი, დახასიათება.
- კარგი, გმადლობთ! კარგად ბრძანდებოდეთ! ნახვამდის!

Getting a Job

- Are you the director - in -chief of the «Kviris Palitra» newspaper?
- Yes.
- I've read an advertisement in your paper that you need an interpreter, an English language specialist. I graduated from the Faculty of West European Languages and Literature of TSU specialising in the English language and I'm looking for work.
- Very well. We need just such a specialist.
- Are your working hours fixed? What time do you begin work?
- We begin working at 9 o'clock and finish at 5 o'clock. We have one hour break. It is a 7 hours working day. Saturday and Sunday are days off.
- How much is the salary?
- The salary is 300 lari a month. If you have to work overtime, you'll get paid by the hour.
- I agree.
- Write the application. Fill in the questionnaire. Bring the necessary papers. We will take you on for a month at first for a period of probation. And then if both sides come to a positive decision, we'll give you a contract for one year.
- What papers do I need?
- An application, autobiography, certificate from your place of residence, a copy of a diploma, 2 photographs and a reference.
- Well, thank you. Good bye.
- Good bye.

• In the Georgian language, as in English, there are compound and complex sentences. Compound sentences are composed from two or more equal sentences that are joined by means of coordinative conjunctions (და, თუ, ან, მაგრამ, ხოლო, კი, and others). There may be no conjunctions. Complex sentences are composed from non-equal sentences one of which is the main clause, the other a subordinate clause. They are joined by means of subordinative conjunctions or conjunctive words (რომ, როგორც, რომელიც, რადგანაც, სადაც, როდესაც, იმიტომ რომ, ვინც, რაც and others). Find compound and complex sentences in the given texts. Underline the conjunctions and define the type of sentence.



Phrases

ყველა საბუთი გაქვთ? დაბადების მონმობა, ქორწინების მონმობა, პირადობის მონმობა.

თქვენს საბუთები დაიკარგა.

თქვენს განცხადებას დადებითი რეზოლუცია დაედო.

თქვენს განცხადებას უარყოფითი რეზოლუცია დაედო.

განცხადება შეუტანეთ ფირმის პრეზიდენტს!

პრეზიდენტს არ სცალია, ახლა დაკავებულია, ვერ მიგიღებთ. მოითმინეთ!

შეავსეთ ანკეტა!

თქვენ ხომ არ შეგიძლიათ დამეხმაროთ?

ძალიან გთხოვთ დამეხმარეთ!

საბუთები დაამონმებინეთ ნოტარიუსს!

შეგიძლიათ მოიტანოთ** სარეკომენდაციო წერილი?

1. Do you have all your papers- birth certificate, certificate of marriage, identity card?

2. Your papers are lost.

3. Positive instructions appear on your application form.

4. Negative instructions have been appended on your application.

5. Take the application to the director of the firm.

6. The director has no time. He is busy now and can't receive you. Wait.

7. Fill in the questionnaire.

8. Could not you help me?

9. Please, (help me, I ask you very much -l.t.) help me.

10. Have your papers been certified by a solicitor?

11. Can you bring a letter of recommendation?



**შემოიტანეთ! (carry.)

შეგიძლიათ მოიტანოთ – (you can bring).

irregular verbs: მიმაქვს, მომაქვს (I carry something there, here) and მიმყავს, მომყავს (I take someone there, here) change their stems when conjugating:

Present Tense			Future Tense			Past Perfect Tense		
მე	მომაქვს	ის	მე	მოვიტან	მას	მე	მოვიტანე	ის
შენ	მოგაქვს	ის	შენ	მოიტან	მას	შენ	მოიტანე	ის
მას	მოაქვს	ის	ის	მოიტანს	მას	მან	მოიტანა	ის
მე	მომყავს	ის	მე	მოვიყვან	მას	მე	მოვიყვანე	ის
შენ	მოგყავს	ის	შენ	მოიყვან	მას	შენ	მოიყვანე	ის
მას	მოჰყავს	ის	ის	მოიყვანს	მას	მან	მოიყვანა	ის

Write the plural forms.

განცხადების ნიმუში

გაზეთ «კვირის პალიტრის» გენერალურ დირექტორს,
ირაკლი გედევანიშვილს

ქ. თბილისში მცხოვრები
ელენე ორბელიანის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2010 წელს წარჩინებით დავამთავრე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ინგლისური
ფილოლოგიის სპეციალობით.

გთხოვთ, მიმიღოთ თქვენს გაზეთში მთარგმნელის
თანამდებობაზე.

02.12.2010

ე. ორბელიანი

A Sample Application

To the director - in - chief of the «Kviris Palitra» newspaper.
Mr. Irakli Gedevanishvili

From a resident of the city of Tbilisi
Elene Orbeliani (1 .t)

Application

I wish to inform you that in 2010 I graduated with distinction from the TSU Faculty of Humanities specialising in the English Filology. I apply for the post of interpreter in your newspaper.

02.12.2010
Applicant: E. Orbeliani

ავტობიოგრაფია

მე, ელენე ირაკლის ასული ორბელიანი, დავიბადე ქალაქ თბილისში 1988 წელს მოსამსახურის ოჯახში. 2006 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის პირველი საშუალო სკოლა. იმავე წელს გავხდი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტი. უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე 2010 წელს. მყავს მშობლები, და, ქმარი და ერთი შვილი.

დედა, ნინო პეტრეს ასული ბაგრატიონი, თსუ-ის პროფესორია.

მამა, ირაკლი რეზოს ძე ორბელიანი, კარდიოლოგიური ცენტრის გენერალური დირექტორია.

და, ქეთევან ირაკლის ასული ორბელიანი, გათხოვილია და ჰყავს ერთი შვილი.

ქმარი, გიორგი თეიმურაზის ძე ერისთავი, ექიმია, მუშაობს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

შვილი, ლევან გიორგის ძე ერისთავი, ერთი წლისაა.

2010 წ. ე. ორბელიანი.

Autobiography

I, Elena Orbeliani, was born in 1988 in the city of Tbilisi in a family of office workers. In 2006 I left Tbilisi Secondary School N 1 excellently. In the same year I entered the TSU Faculty of Humanities student at the English filology department. I graduated from the University with distinction in 2010. I have parents, a sister, husband and one child.

Mother - Nino Bagrationi - professor of TSU.

Father - Irakli Orbeliani - Director of the Cardiological Centre.

Sister - Ketevan Orbeliani- married, has one child.

Husband - Giorgi Eristavi - doctor, works in City Hospital N 1.

Son - Levan Eristavi is one year old.

2010 E. Orbeliani



დახასიათება

ელენე ირაკლის ას. ორბელიანი წარჩინებით დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა როგორც ნიჭიერი და წესიერი სტუდენტი. ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა დავალებებს. კარგად ფლობს ინგლისურ ენას.

დახასიათება ეძლევა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ წარსადგენად.

თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ი. გელოვანი.

1997 წ.

Reference

Elena Orbeliani graduated with distinction from the Faculty of West European Languages and Literature of TSU in 1977. During the period of study she proved to be a gifted and disciplined student. She always discharged her duties in a responsible manner. Miss Orbeliani knows English fluently.

A reference is given for the «Kviris palitra» newspaper.

1977 Dean of Faculty of West European Languages of TSU, Professor I. Gelovani.



Georgia - the Country of Tourism



Shatili - medieval tower

პრივატიზაცია

- როგორ მიმდინარეობს პრივატიზაცია საქართველოში?
- საქართველოში ამჟამად მასობრივი პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს.
 - რა კეთდება იმისათვის, რომ პრივატიზაცია კარგად ჩატარდეს?
 - წინასწარ ქვეყნდება იმ სააქციო საზოგადოებათა ჩამონათვალი, რომლის აქციების (აქციათა პაკეტის) გაყიდვა გათვალისწინებული სპეციალიზებულ აუქციონზე. აუქციონზე გადახდის ერთადერთ საშუალებად მიჩნეულია ეროვნული ვალუტა ლარი.
 - სად შეიძლება მიიღოს მყიდველმა ამომწურავი ინფორმაცია იმ სააქციო საზოგადოებების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, რომელთა აქციები გამოტანილია აუქციონზე?
ტყიდან ჩიტების საამური ჭიკჭიკი ისმოდა. ნინო ხშირად დადის სილამაზის სალონში. ცისფერი ფერი ნიკას ზღვას და მეზღვაურებს აგონებდა. ბექა მაკას თანაკლასელია. ის ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭია. ტელევიზორში გუშინდელი ფეხბურთის მატჩის ჩანაწერი აჩვენეს. სუფრაზე ცხელი ხაჭაპური მოიტანეს. უცხოელმა ტურისტებმა საქართველო თითქმის ფეხით მოიარეს. გზაზე მოხუერი ხინკალი ვჭამეთ. გულკეთილობა არაჩვეულებრივი თვისებაა. თბილისში რამდენიმე სადაზღვევო კომპანიაა. ნინომ სტუმარი ქალაქის ცენტრში გაასეირნა. მთის ძირში კამკამა წყარო ჩამოდიოდა. გათენდა მშვენიერი, მზიანი დღია. ჩემს ქუჩაზე მანქანების სამრეცხაოა. ლამას დიდი სანათესაო ჰყავს. საქართველოსა და საბერძნეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო. სტუმრებს ფშაური ლუდი დავაღვევინეთ. ქეთი ძალიან ბავშვურია. რაჭველები და კახელები დინჯი ხალხია. კახეთი ყურძნის სამშობლოა. თინიკო და სოფიკო კლასელები არიან. „უთაგო მხედარი“ საინტერესო რომანია.

2. დაიმანსოვრეთ მოცემული სიტყვები და შეადგინეთ მარტივი წინადადებები მათი გამოყენებით:

ზემთ	გარეთ	დილით
ქვემთ	შიგნით	ღამით
აქეთ	გვერდით	დღისით
იქით	მარჯვნივ	საღამოს
უკეთ	მარცხნივ	წინათ

კარგად	ჩუმად	უცბად
ცუდად	ადვილად	სწრაფად
უშნოდ	აღბათ	ნელა
წესიერად	სამწუხაროდ	ჩქარა

ჩუმად იყავით!
ჩქარა მოდი!

3. დააბოლოეთ სიტყვები:

1. გარე... თოვდა. 2. ადამიანებს ხშირ... ჰქონდათ ერთმანეთში კამათი. 3. სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მოკლე... ვიტყვი. 4. ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, როდესაც ზევი... დაღმართებიდან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა. 5. ამბობენ: „აშკარა... ჩანს ქუდები კლდეზე ზოგი თეთრ..., ზოგი შავ..., სხვა წითლ... და ლურჯ...აო“. 6. ზემო... ვთქვი, რომ

ცივი — ცივა

cold – it is cold

ცხელი — ცხელა

hot – it is hot

ბრილი — ბრილა

cool – it is cool

თბილი — თბილა

warm – it is warm

**მზე —
მზიანი დღე
ღრუბელი —
ღრუბლიანი ამინდი**

**მთვარე —
მთვარიანი ღამე
წვიმა —
წვიმიანი ამინდი**

ბაკურიანში მოვიდა თოვლი-მეთქი. 7. ამას წინა... მეგობრები თეატრში წავიდნენ. 8. რა საცოდავ... კნავის ჩვენი კნუტი!. 9. სამწუხარო..., დედაჩემმა სწორე... გუშინ დაკარგა თავისი საყვარელი ბეჭელი. 10. აბა წარმოიდგინეთ, ერთი მხრივ... ბუნებაში თავისუფლად გაზრდილი სოფლელი ბავშვი და მეორე მხრივ... ოთახში გამოკეტილი ქალაქელი ყმაწვილი. 11. ტყე შემოდგომაზე ყვითლ... და წითლ... შეიღება. 12. ალბა... იცის, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი გმირი მოჰყავს, ალბა... ესმის მიდამოს ჩვენი ნალველი. 13. ტახტზე იჯდა თამარ მეფე, მომხიბლავი, ეშხიანი! მარცხნი... ედგა თინათინი, მარჯვნი... ნესტან-დარეჯანი. 14. ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია, ჩემ გვერდი... რომ ბუღობს. 15. როდის გადის მატარებელი, სადამო... თუ დილ...?. 16. ხვალ აუცილებლ... მოვალ.. 17. ნინო უპრობლემო... დამთანხმდა. 18. თქვენი ჩივილი ცუდ... გაიგეს. 19. გარე... საშინელი სიცხეა. 20. ბავშვი სისტემატურ... აცდენს სკოლას ავადმყოფობა ... გამო.

4. დაიმახსოვრეთ კონტაქტის ფორმები!

- ბავშვი აკეთებს დავალებას.
- დედა ბავშვს აკეთებინებს დავალებას.
- გიორგი ჭრის შეშას.
- გიორგი მუშას აჭრევინებს შეშას.
- ნინო ზრდის ბავშვს.
- ნინო დედას აზრდევინებს ბავშვს.

5. გადაიყვანეთ შემდეგი ზმნები შუალობით კონტაქტში:

- | | | |
|-----------|-----------|-----------|
| წერს — | კლავს — | ალაგებს — |
| ანათებს — | კერავს — | ბანს — |
| თხრის — | ბეჭდავს — | აშენებს — |
| ხატავს — | ხაზავს — | რეცხავს — |
| იწყებს — | აჩერებს — | აბარებს — |
| ყიდის — | | |

6. შეაფასეთ წერტილები:

1. დღესვე მოვიყვან ყველას და გადავაწყვეტ..... ამ საქმეს. 2. ირაკლიმ გუშინ ბიჭებს არაჩვეულებრივი ლუდი დააღ.....ა. 3. ერთ ვიწრო ხეობაში შეიტყუეს მტრის ჯარი და იარაღი დააყრ.....ეს. 4. მთავრები ერისთავებს აზრდე.....ებდნენ თავის შვილებს. 5. ნინომ ბებოს ლამაზი კაბა შეაკერ.....ა. 6. მასწავლებელმა ჩააწერ..... მაგალითები მოწაფეებს რვეულში. 7. გიორგიმ გააწმენდ..... კოსტუმი ნინოს. 8. კარგი იქნება, თუ მოასმენ..... ამ მუსიკას თქვენს მეგობარს. 9. მარიამ, ნუ დაახევ..... ამ სურათს ნიკოს. 10. ლექტორმა ათარგმნი..... წინადადებები სტუდენტებს. 11. პოლიცია ლევანს ახდევ..... ჯარიმას. 12. თელო დედის სურათს ცნობილ მხატვარს ახატვ..... 13. ნინო აწვევ..... გოჭს მზარეულს.

14. მე ვასწორებ..... ჩემს მოწაფეებს დავალებებს. 15. თქვენ უნდა ვინმეს შეამოწმ.....ოთ ეს დოკუმენტი. 16. ნუ ანთებ..... პატარა ბავშვს ცეცხლს.

განსოგდეს!

ერთად იწერება ერთი მნიშვნელობის მქონე რთული სიტყვები. ესენია: ერთგვარი სიტყვის გაორკეცების შედეგად მიღებული უკავშირო ან „და“ კავშირით შეერთებული რთული სიტყვა, რომელსაც დაერთვის მასწარმოებელი. (მაგ. ჩურჩული, სხვადასხვა, დაძმური და ა.შ)

დეფისით იწერება ის რთული სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა უდრის თითოეული სიტყვის მნიშვნელობათა ჯამს. გაორკეცებული ზედსართავი, ან რიცხვითი სახელები, ერთი და იმავე ფუძის მქონე ზმნები განსხვავებული ზმნისწინებით. (მაგ.: ცოლ-ქმარი, ორ-ორი, წითელ-წითელი, აიარ-ჩაიარა და ა.შ.)

7. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას, დაუსვით კითხვები სიტყვებს:

(გულ-კეთილობა, გულკეთილობა) არაჩვეულებრივი თვისებაა. ნინომ სტუმარი ქალაქში (გაატარგამოატარა, გაატარ-გამოატარა). მთის ძირში (კამკამა, კამ-კამა) წყარო ჩამოდინდა. უეცრად ატყდა (ჭეჭა-ქუხილი, ჭეჭაქუხილი). (სტუმარ-მასპინძლობა, სტუმარმასპინძლობა) ძველი ქართული ადათია. ისინი (აღმა-დაღმა, აღმადაღმა) დასეირნობდნენ. ნოდარმა და გიორგიმ (პირ-ჯვარი, პირჯვარი) გადაიწერეს და რაღაცას (ბუტ-ბუტებდნენ, ბუტბუტებდნენ). რა ამინდია დღეს: დარია თუ (ავ-დარია, ავდარია). ძალიან საინტერესო (რადიოგადაცემა, რადიო-გადაცემა) მოვისმინე. ჩემს სახლთან ახლოა (ფოსტა-ტელეგრაფი, ფოსტა ტელეგრაფი). მოხუცს (საჭმელ სასმელი, საჭმელ-სასმელი) არ აკლდა. ტყეში ჩიტების საამური (ჭიკჭიკი, ჭიკ-ჭიკი) ისმოდა. (არემარე, არე-მარე) ნისლმა დაფარა. ელენე ბებოს (ხანდახან, ხან და ხან) ესტუმრება, მოიკითხავს, სურსათს მიუტანს და სახლს დაულაგებს.

ზურიკომ ყველა (წინ და წინ, წინდაწინ) გააფრთხილა. ირაკლის (ყავის ფერი, ყავისფერი) ჩანთა უყიდეს. სანდრო და ნიკა (ძმა-კაცები, ძმაკაცები) არიან. ჩვენ (ახლო-მახლო, ახლომახლო) კარგი რესტორანი არ არის. სტუმარმა ამ ამბის გაგონებაზე (ხარ-ხარი, ხარხარი) დაიწყო. (ვადაგასულ, ვადა გასული) წამლის მიღება არ შეიძლება. (თმა გათეთრებული, თმაგათეთრებული) მოხუცი სიამოვნებით უსმენდა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიას.

8. დაიმანსოვრეთ: სტატიკური ზმნა აღნიშნავს საგნის მდგომარეობას, დინამიკური — მოქმედების პროცესს

სტატიკური ზმნა

ვ-დგა-ვარ	ვ-დგა-ვარ-თ	ვ-წერი-ვარ	ვ-წერი-ვარ-თ
დგა-ხარ	დგა-ხარ-თ	წერი-ხარ	წერი-ხარ-თ
დგა-ს	დგა-ნ-ან	წერი-ა	წერი-ან

9. დააბოლოეთ სიტყვები:

1. ნუ წევ..... ბალახში, თორემ გაცივდება! 2. კარგად ზი..... შენ ამ სკამზე? კი, მე ძალიან კარგად ვზი..... 3. ნუ ზი..... შენ ასე შორს ჩემგან!. 4. ბატონო გიორგი, სად დგა..... თქვენ ახლა? მე ვდგა..... უნივერსიტეტთან. 5. სად წევ..... ახლა თქვენ? ჩვენ ვწე..... ახლა პატარა ოთახში, რადგანაც დიდ ოთახში ძალიან ცივა. 6. მე უკვე ვწე.....

7. ხეს ერთი ვაშლი აბი..... 8. ბავშვებო, გადმოწერეთ დაფიდან ყველაფერი, რაც წერი..... 9. ოთახში ლამაზი ჭალი კიდი..... 10. ბატონ ირაკლის ჭიქაში არაფერი არ უსხი..... 11. ელენეს მისამართი წიგნაკში ხომ არ გიწერი.....? არა, არ მიწერი..... 12. ქეთის წიგნები საწერ მაგიდაზე აწყვი..... 13. ამ კაბას ძალიან ლამაზი ღილები აკერი..... 14. ნიკოს ოთახში უკიდი..... თავისი მშობლების სურათი. 15. რატომ არ ანთი..... ბუნარი? იმიტომ არ ანთი....., რომ დღეს არც ისე ცივა. 16. ვისია ეს ქუდი, რომელიც იატაკზე აგდი.....?. 17. რა წერი..... ამ წიგნში? 18. რამდენი ზედმეტი ნივთი ყრი..... ჩემს მაგიდაზე! 19. სად კიდი..... ჩემი პალტო? შენი პალტო შემოსასვლელში კიდი..... 20. რომელ რიგში სხედ.....? ჩვენ ვსხედ..... მეხუთე რიგში. 21. სად დგა..... ბავშვები? ბავშვები სკოლასთან დგა..... და გველოდებიან. 22. ოთახში დგა..... საგარძლები და მაგიდა. 23. ელენე წევ....., ის ავადაა. 24. სად ხარ? ახლა კაფეში ვზი..... ჩემს მეგობართან ერთად.

10. ჩაწერეთ მოცემული სიტყვები საჭირო ფორმით (თოვლი, ზამთარი, ყინვა, მზე, ცხელი, წვიმა, თბილი, გრილი, ცივა, ღრუბელი):

დღეს ამინდია, ხვალ კი დღე იქნება. წასვლა შეიძლება,
 . გადაიღო. ისე ,რომ ქუჩაში ვერ გავჩერდი. ზაფხულობით თბილისში ძალიან .
,მაგრამ მთაწმინდაზე ყოველთვის საქართველოში საერთოდ ზამთარი
 იცის,თუმცა მთიან ადგილებში დიდი მოდის დაც არის ხოლმე. გუდაურსა
 და ბაკურიანში ბევრი ხალხი ჩადის თოვლზე სასრიალოდ.

11. დაწერეთ ტექსტი: „მოგზაურობა უცხოეთში“

**მოუსმინეთ ქართულად საინფორმაციო
 გადაცემებს!
 მოუსმინეთ ამინდის პროგნოზს!
 მოუსმინეთ სპორტულ გადაცემებს!
 წაიკითხეთ გაზეთ „პალიტრის“
 საინფორმაციო გვერდი!**

Part VIII

1. ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ

ერთ დღეს საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი (მეფობდა მე-5 საუკუნეში) მცხეთის ახლოს, მდინარე მტკვრის მიდამოებში, თავის ამაღლასთან ერთად ნადირობდა. მეფემ ხოხობს ისარი ესროლა. დაჭრილი ფრინველი ძირს ჩამოვარდა, მაგრამ მსახურებმა ვერ იპოვეს. ცოტა ხნის შემდეგ კი ნანადირევი (ხოხობი) გოგირდის თბილ წყალში ნახეს ჩავარდნილი. როდესაც ფრინველი წყლიდან ამოიყვანეს, მოხარული იყო. ამ ფაქტმა მეფე გააოცა და ბრძანა: ამ ადგილას ქალაქი გაეშენებინათ! ქალაქს „თბილისი“ (სიტყვიდან თბილი-ი) უწოდა.

მოგვიანებით საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანეს.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია



I. უპასუხეთ კითხვებს ტექსტის მიხედვით.

1. საქართველოს რომელი მეფის სახელს უკავშირდება ქალაქ თბილისის დაარსება და ეს როდის მოხდა?
2. სად ნადირობდა მეფე?
3. რომელი ფრინველი დაჭრა?
4. სად იპოვეს მსახურებმა ხოხობი?
5. რა ბრძანა მეფემ?
6. რას უკავშირდება ქალაქ თბილისის სახელწოდება?

თბილისი უკველესი ქალაქია

II. თარგმნეთ ტექსტი ინგლისურ ენაზე „ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ“

2. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩვენ ქუჩიდან ხშირად გესმის საშინელი ხმაური. მე უსმენ შენ ყურადღებით? უთხარი, რა მოხდა?

თბილისი 1500 წლისაა

3. ის ვუსმენდი რადიოს გუშინ, როდესაც შენ დარეკე.
4. ალო! მისმენთ! ვინ გნებავთ?
5. ცუდად გესმის (მე), თუ შეიძლება ახლიდან დარეკეთ.
6. გიორგი ისე სწრაფად ლაპარაკობდი, რომ არაფერი გესმოდა (მე).
7. დედა ყოველთვის ეუბნები ლევანს, რომ ყურადღებით მოისმინოს ლექცია.
8. არ ინერვიულო, ირაკლი, დაელაპარაკები თინას ამ პრობლემის შესახებ და ყველაფერი კარგად იქნება.
9. მე აუცილებლად უნდა მითხრა დედას შენი ამბავი.
10. კაცმა გაიგონა საშინელი ყვირილის ხმამ.
11. გუშინ მე მოუსმინე სატელევიზიო გადაცემას „ახალი თაობა“, სადაც ბევრი ილაპარაკეს სასკოლო რეფორმის შესახებ.
12. ქეთი თავისუფლად ლაპარაკობ რუსულ ენაზე.
13. ხათუნა დიდხანს ელაპარაკებოდა თავის მეგობარს ტელეფონით.
14. ბებოს ყურში კარგად არ მესმის, ამიტომ მე ხმამაღლა ელაპარაკება.
15. სტუდენტები დიდი ყურადღებით უსმენდა ლექტორს.
16. გაკვეთილის დროს ბავშვები ერთმანეთს ჩურჩულით ველაპარაკები.
17. ჩვენ ღამის 3 საათამდე ილაპარაკეს..
18. მე მას არ ელაპარაკები, მაგრამ ის მაინც ელაპარაკება მე.
19. რაც არ ვიცი, როგორ უთხრას?
20. შენ გითხარი მე მოვალ დღეს 7 საათზე და არ მოვედი, მომატყუილე?

3. ამოიწერეთ ზმნები და გაარჩიეთ (რამდენ პირიანია, შეუწყვეთ ნაცვალსახელები, რომელ პირშია, რა ფორმაა; დაშალეთ: გამოყავით ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშანი):

ეს სურათი ძველი ფოტოებიდან ამოგაძვრე. ზანგები თეთრკანიანებს შეერივნენ. ჩვენი ბაღ-ვენახები თოვლით დაიფარა. ცაში ვარსკვლავს ვერ მისწვდები. ცხენი დიდი სისწრაფით მიქროდა. საქმე მშვიდად უნდა გააკეთო. ნიკომ დაარსა ახალი პარტია. ის კაცი ტყუილად მიდი-მოდიოდა. დედამ შვილს კაბა შეუკერა. ნინომ ეს საქმე ვერ გადაწყვიტა. არჩილმა წიგნები მაგიდაზე დააწყო. ძაღლის ლეკვი ბავშვებმა დაბანეს. ჩვენი სკოლის გვერდით ლამაზი სახლი ააშენეს.

4. ა) ქვემდებარეს (subject) კლასიფიციდი ნაწი გაუსვით. მარტივ შემასმენელს (predicate) – ერთი, ხოლო შედგენილ შემასმენელს (compound predicate) – ორი; ბ) დაუსვით კითხვები სიტყვებს:

ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. მეფემ ბრძანება გასცა. მოსახლეობამ ეპისკოპოსს დახმარება სთხოვა. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ხალხმა თავადების ცხოვრება კარგად იცოდა. უცხოელ ტურისტებს განსაკუთრებით მოსწონთ სვანეთი. ნიკომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები წაიკითხა. ნინო კაბადოკიელი ქართველების განმანათლებელია. ოთარი ნინოს ძმის კლასელია. ვანოს შიშისაგან თმები გაუთეთრდა. სოფელს პატარა მდინარე ჩამოუდის. სტუდენტებმა სამეცნიერო კონფერენციაზე მრავალი საინტერესო მოხსენება წაიკითხეს. ირინე და მარინე სამხატვრო აკადემიის სტუდენტები არიან. რომი ძალიან ლამაზი ქალაქია. გუშინ ჩვენთან ინგლისელი და გერმანელი სტუმრები იყვნენ. სამწუხაროდ, რეზო შინ არ იყო. მარტი, აპრილი და მაისი გაზაფხულის თვეებია. ლევან ზვიადაძე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. გიორგის ტკბილად ეძინა. ერეკლეს სახლში უცხოელები ცხოვრობდნენ. სახლიდან ორ ნაბიჯში წყარო ჩამოდიოდა. ჩვენ წინ ულამაზესი არსება იდგა. დაჭრილი წყალს ითხოვდა. ირგვლივ ყველაფერი მშვენიერია. საქართველოში ოდითგანვე (უძველესი დროიდან) ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები: ქართველები, აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები და სხვა. მოხუცი ტკივილისაგან ვეღარ ლაპარაკობდა. მათი სიმღერის ხმა დიდხანს ისმოდა. შავი ზღვა საშინლად ღელავდა. ნინო დიდი ხნის მასწავლებელი იყო.

5. თარგმნეთ ინგლისურ ენაზე:

სოფელში მხოლოდ ეკლესიის ზარების რეკვის ხმა ისმოდა. შენ ჩემი რომ გესმოდეს, კარგად იქნებოდა შენი საქმე. თვალეში ჩავხედე, შევჩერდი, მაინტერესებდა, რას მეტყოდა. რასაც ვამბობ, ყველაფერი სიმართლეა. მე ვიტყვი სიმართლეს. სასამართლოში მე ვიტყვი სიმართლეს.

წაიკითხეთ ქართული გასართობი ჟურნალები!

Part IX

1. დაიძახსოვრეთ I თურმეობითის (რეზულტატივის) ფორმები! შეადგინეთ მარტივი წინადადებები ამ ფორმების გამოყენებით:

(-ებ თემის ნიშანი I თურმეობითში გადაყვება)

ახლანდელი	წარსული	I თურმეობითი	
ვაშენებ –	ავაშენებ –	ამიშენებია –	ავვიშენებია
აშენებ –	ააშენებ –	აგიშენებია –	აგიშენებიათ
აშენებს –	ააშენა –	აუშენებია –	აუშენებიათ

ვაკეთებ –	გავაკეთე –	გამიკეთებია
ვაცილებ –	გავაცილებ –	გამიცილებია
ვაჭირავებ –	გავაჭირავე –	გამიჭირავებია
ვიძინებ –	ღავიძინე –	ღამიძინებია
ვუყურებ –	ვუყურე –	მიყურებია

არ დამისატავს!
არ დამიწერია!
არ გამიკეთებია!

(-ებ თემის ნიშანი I თურმეობითში არ გადაყვება)

ვაქებ –	შევაქე –	მიქია
ვიღებ –	მივიღე –	მიმიღია
ვიწყებ –	ღავიწყე –	ღამიწყია

(-ავ და -ამ თემის ნიშნები I თურმეობითში ყოველთვის გადაყვება)

ვხატავ –	დავხატე –	დამიხატავს	დაგვიხატავს
ხატავ –	დახატე –	დაგინატავს	დაგინატავთ
ხატავს –	დახატა –	დაუნატავს	დაუნატავთ

ვკერავ –	შევკერე –	შემიკერავს
ვბეჭდავ –	დავბეჭდე –	დამიბეჭდავს
ვრეცხავ –	გავრეცხე –	გამირეცხავს
ვმალავ –	დავმალე –	დამიმალავს
ვრეკავ –	დავრეკე –	დამირეკავს
ვსვამ –	შევსვი –	შემისვამს
_____	ღავლიე –	ღამილევია

(-ობ თემის ნიშანი I თურმეობითში არ გადაყვება)

ახლანდელი	წარსული	I თურმეობითი	
ვცხოვრობ –	ვიცხოვრე –	მიცხოვრია	გვიცხოვრია
ცხოვრობ –	იცხოვრე –	გიცხოვრია	გიცხოვრიათ
ცხოვრობს –	იცხოვრა –	უცხოვრია	უცხოვრიათ
ვმუშაობ –	ვიმუშავე –	მიმუშავია	
ვლაპარაკობ –	ვილაპარაკე –	მილაპარაკია	
ვთამაშობ –	ვითამაშე –	მითამაშია	

ვმოულობ —	ვიმოვე —	მიმოვია
ვისაუზმობ —	ვისაუზმე —	მისაუზმია
ვათბობ —	გავათბე —	გამითბია

(უთემისნიშნო ზმნები)

ვწერ —	დავწერე —	დამიწერია	დაგვიწერია
წერ —	დაწერე —	დაგიწერია	დაგიწერიათ
წერს —	დაწერა —	დაუწერია	დაუწერიათ

ვჭამ —	შევჭამე —	შემიჭამია	შეგვიჭამია
ჭამ —	შეჭამე —	შეგიჭამია	შეგიჭამიათ
ჭამს —	შეჭამა —	შეუჭამია	შეუჭამიათ

ვიწვევ —	მოვიწვიე —	მომიწვევია
ვთხოვ —	ვითხოვე —	მითხოვია
ვქსოვ —	მოვქსოვე —	მომიქსოვია
ვგზავნი —	გავგზავნე —	გამიგზავნია
ვუსმენ —	მოვუსმინე —	მომისმენია

(ობიექტური წყობის ზმნები)

მომწონს —	მომწონდა —	მომწონებია
მიყვარს —	მიყვარდა —	მიყვარებია
მაქვს —	მქონდა —	მქონია
მყავს —	მყავდა —	მყოლია

(ფუძემონაცვლე ზმნები)

ახლანდელი	წარსული	I თურმეობითი	
ვარ —	ვიყავი —	ვყოფილვარ	ვყოფილვართ
ხარ —	იყავი —	ყოფილხარ	ყოფილხართ
არის —	იყო —	ყოფილა	ყოფილან
ვშვრები —	ვქენი —	მიქნია	გვიქნია
შვრები —	ქენი —	გიქნია	გიქნიათ
შვრება —	ქნა —	უქნია	უქნიათ
ვამბობ —	ვთქვი —	მითქვამს	

ახლანდელი	წარსული	I თურმეობითი	
მივდივარ —	მივედი —	მივსულვარ	მივსულვართ
მიდიხარ —	მიხვედი —	მისულხარ	მისულხართ
მიდის —	მივიდა —	მისულა	მისულან

2. გადაიყვანეთ ზმნები I თურმეობითში (რეზულტატივში), დაუსვით კითხვები სიტყვებს:

1. მხატვარს კარგი სურათები (დახატა) თავისი მეგობრებისათვის. 2. ჩვენ არ (დაწერს) მისამართები კონვერტებზე. 3. მათ თურმე ჯერ კიდევ არ (გაუგზავნის) ამანათები

ჯარისკაცებისათვის. 4. მას მთავრობისგან ფულადი ჯილდო (მიიღებს). 5. მე შენთვის არაფერი (დამალავს). 6. გუშინ ჩვენს ახალ ელჩს ბევრი სტუმარი (მოიწვევს) თავის სახლში. 7. მასწავლებელს ძალიან (აქებს) გიორგი კრებაზე. 8. გუშინ ელენე თურმე არავის (გააცილებს) სახლში. 9. ნიკოს არ (დახატავს) ეს სურათები ამ ეკლესიის კედლებზე. 10. სანდროს ჯერ კიდევ არ (დაწერს) დავალება. 11. ბავშვებს ჯერ კიდევ არ (დაიწყეს) სწავლა. 12. ეს სახლი უკვე (გააქირავებენ). 13. გიორგის მე ჯერ არ (შეურიგდა). 14. დიდი ხანია არ (იწვიმა). 15. ბავშვებს ძალიან ბევრი (ირბენს) და სახლში სულ სველები მოვიდნენ. 16. გიას ბევრი ფული (იშოვა). 17. ქეთის საჭმელი არ (გააკეთებს). 18. რატომ არ (დაწერს) დავალება? 19. გუშინ ნიკო კინოში (იყო) თავის მეგობრებთან ერთად. 20. მე არ (დარეკავს) შენთვის, რადგანაც დრო არ მქონდა. 21. დათო (წავა) გერმანიაში. 22. ლევანს ბევრი (ითამაშა) თავის მეგობრებთან ერთად. 23. (იცხოვრა) შენ ოდესმე ბარსელონაში? არა, მე არასდროს (იცხოვრა) იქ. 24. ეტყობა, ბავშვს ბევრი (იტირა) ჩვენი აქ არ ყოფნის დროს. 25. ბავშვებს ასე კარგად არასოდეს არ (იცეკვებს), როგორც გუშინ სადამოს. 26. შენ დამიძახე მე? არა, მე შენთვის არ (დამიძახე). 27. მე ბევრჯერ (ვთქვი) შენთვის ამ ამბის შესახებ. 28. ნინოს არასდროს არ (უღალატა) თავისი ამხანაგებისათვის. 29. მე არასოდეს არ (მომწონს) ხათუნა ისე, როგორც დღეს. 30. ლევანს არასოდეს არ (ჰყავდა) ასეთი კარგი მანქანა.

3. ჩასვით მოცემული სიტყვები (დაინახავ, გაიხედე, გინახავს, უყურებს, ვნახე, ვნახოთ, მინახავს, ვუყურებდი, ხედავს, ვუყურე, დაინახა):

1. მამაჩემი ყოველ სადამოს ტელევიზორს. 2. მე დღეს პირველად ეს ფილმი, ადრე არ 3. ჩემი და ცუდად , ამიტომ კითხვის დროს სათვალეს ხმარობს. 4. აქედან რა კარგად ჩანს სამების ეკლესია, ჩემი სახლის აივნისა და ვერ 5. , როგორ ისწავლი, რას გააკეთებ. 6. და არ მჯეროდა, რომ ეს კაცი პატარა გიორგი იყო, ისე გაზრდილა. 7. დიდხანს და ვათვალისწინებდი იმ მოხუცს, მაგრამ მაინც ვერ გავიხსენე, ვინ იყო. 8. ნინო არ , შენ შესახებ ვერაფერად წამოვიდა. 9. ნიკომ ხეზე ფრთამოტეხილი ჩიტი 10. მოდი, ფანჯრიდან, ჩემი ახალი მანქანა მოჩანს.

4. გაასწორეთ შეცდომები:

1. შენი ტელეფონი მე ჯერ კიდევ არ ჩავიწერია წიგნში. 2. როგორც ჩანს, თქვენ არ გამითბიათ სტუმრისათვის ოთახი. 3. უხეში ლაპარაკი მისგან მე არ შეგიძინებია. 4. მე მისთვის ბევრი რამე გითხოვია და მას არასოდეს უარი არ მითქვამს. 5. უკვე დიდი ხანია, რაც მე არ გაუგზავნია ფული ბავშვებისათვის. 6. თურმე შენ უკვე მიმიწერია შენი მეგობრებისათვის წერილი და მე კი არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ. 7. თქვენ ახალი ამბებისათვის არ მოგვისმენია? 8. ბებიას ჯერ კიდევ არ მიმიღია ჩემი წერილი. 9. თურმე ირაკლისთვის თემოს კიდევ გითხოვია ფული. 10. თიკას ბევრი ამხანაგი დახვედრია აეროპორტში. 11. ნინუცას კარგად მიმღერია კონცერტზე. 12. დღეს მე ჯერ კიდევ არ უსაუზმია. 13. მე ამ სფეროში არასოდეს გიმუშავია. 14. გუშინ კახა ყოფილხარ თქვენთან და მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. 15. მე რომ ავად არ ყოფილიყავი, მეც აუცილებლად მოვიდოდი შენთან. 16. როგორც ჩანს, შენ ჯერ კიდევ არ ულაპარაკია შენს მშობლებთან შენი გამგზავრების შესახებ. 17. ანას არ მითქვამს ჩემთვის სიმართლე. 18. ჩვენ ჯერ არ გითამაშიათ ვახოსთან ფეხბურთი. 19. თქვენ არ გვითქვამს ჩემთვის ყველაფერი. 20. დღეს ნინუცას არ მქონია გაკვეთილი. 21. როგორ ჩანს, შენ წუხელ არ მძინებია. 22. ეს რა მიქნია? როგორ დაუნგრევია ელენეს ყველაფერი? 23. მე არასოდეს არ მოგქცევიავარ მას ცუდად. 24. სამწუხაროდ მე არ გამომშვიდობებინხარ ჩემს მეგობარს, რომელიც დიდი ხნით წავიდა უცხოეთში საცხოვრებლად.

5. წაკითხეთ საგაზეთო სტატია და მოკლედ გადმოეცით მისი შინაარსი:

თსუ-ში პირველი სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ პრეზენტაციის შესახებ

თსუ-ში პირველი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის – „თსუ მეცნიერება“ პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი ორენოვანია. მასში ქართლ და ინგლისურ ენებზე მკითხველი გაეცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 წლებში მიმდინარე საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევებს. ჟურნალის პირველ ნომერში საუბარია ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ მზის ენერჯის ახალი ტიპის კონცენტრატორზე, რომელიც მსოფლიო ბანკის ფორუმებზე 2011 წლის 750 საერთაშორისო პროექტიდან საუკეთესო ოცეულში შევიდა.

ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ – ეს არის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, რაც ნიშნავს, რომ სტატიები ფართო საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი. ამ ჟურნალის მიზანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაცია არ იყოს ჩაკეტილი და მისი გაცნობის შესაძლებლობა უცხოელებსაც ჰქონდეთ. გვინდა ვაჩვენოთ, რომ თსუ არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც არის; რომ აბსოლუტურად ყველა სამეცნიერო სკოლას, რომელიც საქართველოშია შექმნილი, საფუძველი თსუ-ში ჩაეყარა და ამ ფუნქციას პირველი ქართული უნივერსიტეტი დღესაც ინარჩუნებს.

6. დაწერეთ ტექსტები:

„ჩემი საყვარელი მსახიობი“

„ფილმი, რომელიც მომეწონა“

„ოპერა, რომელიც მიყვარს“.

„უყურეთ ქართულ ტელესერიალებს!“

Part X

1. დაწერეთ დანარჩენი ფორმები:

ახლანდელი დრო	წარსული	სრული წარსული
მე მომ-აქვ-ს	მე მომ-ქონდ-ა	მე მო-ვ-იტანე
მე მომ-ყავ-ს	მე მომ-ყავდ-ა	მე მო-ვ-იყვანე

II კავშირებითი	I თურმეობითი
მე მო-ვ-იტანო	მო-მ-იტანი-ა
მო-ვიყვანო	მო-მიყვანი-ა

2. ა) თარგმნეთ ინგლისურ ენაზე; ბ) ამოწერეთ ზმნები და გაარჩიეთ:

- ოთარმა დღეს სადილად თანამშრომლები უნდა მოიყვანოს.
- ხშირად მოჰყავს ხოლმე?
- არც ისე. საერთოდ უყვართ ჩვენთან მოსვლა. მეც მოვიყვანე გუშინ ჩემი მეგობრები და ჩაიზე დავპატიჟე.
- ძალიან კარგი. როგორც ჩანს შენ დრო გაქვს. ალბათ ნინო გეხმარება?
- არა, ნინოს დრო არა აქვს. ბავშვებს ბევრი დრო სჭირდება.
- ნინოს შვილები მუსიკის მასწავლებელთან დაჰყავს?
- კი, დაჰყავს.
- მეც მინდოდა წამეყვანე ჩემი შვილები მუსიკაზე, მაგრამ დრო ვერ გამოვნახე.
- უფროსი შვილი ხომ დაგყავდა მუსიკის მასწავლებელთან?
- მართალია, უფროსი დამყავდა, მაგრამ მაშინ მეტი დრო მქონდა, სხვაგან ვმუშაობდი.
- სად მუშაობდი?
- მე ვმუშაობდი სუპერმარკეტში, დღეგამოშვებით. კარგი სამსახური მქონდა. სურსათიც იქიდან მომქონდა ხოლმე. ხშირად მთხოვდნენ ბავშვები მომეტანა მათთვის კამფეტები, ნამცხვრები. ჩვენ ასეთი პირობა გვქონდა, თუ კარგად მოიქცეოდნენ, რამეს მოვუტანდი, გემრიელს.
- მართლა?
- რასაკვირველია, ბავშვების მოტყუილება არ შეიძლება. თუ დაპირდები, უნდა მოუტანო.
- გეთანხმები. სურსათი შენ მოგაქვს საერთოდ?
- ძირითადად მე მომაქვს. მე დავდივარ სუპერმარკეტში და ბაზარში. შენთან?
- ჩვენთან სურსათი კახას მოაქვს, რადგან მე დღისით დაკავებული ვარ. დიდი ხანია არაფერი მომიტანია სახლში.

4. უბასუხეთ კითხვებს მოცემული ტექსტის (მინერალური წყალი „ბორჯომი“) მიხედვით:

1. რა დროიდან იყენებს კაცობრიობა მინერალურ წყლებს სამკურნალოდ?
2. საქართველოში „ბორჯომის“ წყლის გარდა კიდევ რომელი მინერალური წყალია ცნობილი?
3. რა დაავადებების სამკურნალოდ იყენებენ „ბორჯომის“ მინერალურ წყალს?
4. როდის ისმევა „ბორჯომის“ მინერალური წყალი?
5. რა ჯილდოები აქვს მიღებული „ბორჯომის“ მინერალურ წყალს?
6. როგორია „ბორჯომის“ მინერალური წყლის ექსპორტი?

5. დააჯგუფეთ წინადადებები იმის მიხედვით: მარტივია, თუ რთული; რთული თანწყობილი, თუ რთული ქვეწყობილი:

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! განა ყველა კაცი ადამიანია? ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი? მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა. ლამაზ მინდორზე კანკალებს ვაშლის ხის ჩრდილი. მაღლი შენს გამჩენს ლამაზო, ქალო შავთვალეებიანო! რა ლამაზი წყებს შენს ლამაზ თვალებს! შენი ღიმილი დამიბრუნებს გამქრალ გაზაფხულს. კონკურსზე ერთი და იგივე რეჟისორის გადაღებული ორი ფილმი აჩვენეს. გიამ სტუმარ გოგონას ყვავილები აჩუქა. მუდამ იყავი ჩემს გვერდით მაშინაც კი, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა. მუსიკას ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. დაზამთრდა, თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი, გაიყინა ნაკადული. მეომრები, რომლებიც გადარჩნენ, ბუჩქებში დაიმაღლნენ. არიან ადამიანები, რომლებიც სიკეთეს სხვის დასანახად ჩადიან (აკეთებენ). საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მირიან მეფის დროს გამოცხადდა. ბაბუას სახლს რომ მივუახლოვდით, მუხლები მომეკეცა. ერთ დღეს, შინ რომ დავბრუნდი, სახლი ცარიელი დამხვდა. გადიოდა დღეები, ნინო კი არსად ჩანდა. მაკა ყველაფერს ხედავდა, რაც ხდებოდა და გული უკვდებოდა. ფული რომ მქონდეს, კარგად მოვიწყობდი ცხოვრებას. ნიკო მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მოსამართლის განცხადებაზე ყველამ ამოიგმინა. მასწავლებელი გაბრაზდა, ნიკო რომ ასე უპასუხისმგებლოდ მოიქცა. ნინო დარწმუნებული იყო, რომ ის ნიკოს ძალიან უყვარდა. ხმამაღლა განაცხადა: მე ვიტყვი სიმართლეს! შენ გაიხარე, შვილო, დალოცა მოხუცმა ბავშვები. დედა ეკას სკოლაში არ უშვებდა, რადგან სიცხე ჰქონდა მალაღი. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ და არაფერი ახსოვდათ. ნიკოს თვალები გაუბრწყინდა, როდესაც ნანა დაინახა. რატომ არ ჭამ ნამცხვარს, ერიდები გასუქდე? რატომ არ თამაშობ ფეხბურთს, ფეხი გტკივა? სად უნდა წახვიდე, იცი? რა მოგივიდა, ფეხი იტკინე? ნეტა ვიცოდე, რას ფიქრობ? ზუსტად თუ იცი, რა გინდა? როგორ ფიქრობ, წვიმა მოვა? ყველაზე მეტად, ვინ გიყვარს? აუცილებელია კანონის უზენაესობა, უკანონობა ქვეყანას ანგრევს!

6. უპასუხეთ კითხვებს მოცემული ტექსტის („ქართული ვაზი და ქართული ღვინო“) მიხედვით:

1. რა ადგილი უჭირავს ვაზს ქართველი კაცის ცხოვრებაში?
2. საქართველოში რასთან არის დაკავშირებული ვაზის კულტი?
3. რაში გამოიხატება ვაზისადმი ქართველი ხალხის დიდი სიყვარული?
4. რამდენი ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოში?
5. როგორი წარმატება აქვს ქართულ ღვინოებს საერთაშორისო გამოფენებზე?
6. როგორია ღვინის დამზადების ტექნოლოგია?
7. სად და რაში ინახავდნენ ღვინოს ქართველები?

**უყურეთ ქართულ ტელეარხებს!
წაიკითხეთ ქართული ჟურნალ-გაზეთები!**

ილაპარაკეთ ქართულად!

Right forms

Part II

4. დავალებას. გაზეთს. სურათს. საქმეს. სახლს. საჭმელს. კაბას. ბურთს. წყალს. ტორტს. მუსიკას. ტელევიზორს. გაკვეთილს. წინდას.

Part III

3. დედას. ნინო. წვენს. ხეს. ჩემი წიგნი. იყო. კაცები. მუშაობდა. ქართულს კარგად სწავლობდა. თქვენი მეგობრები. ჩემი მეგობრები. დილით. ყავას, რძეს. იყავი. ვიყავი აკეთებენ. ფეხბურთს. 7. დავდიოდი. მიდიან. ადის. ჩამოდის. წავალთ. მოვიდნენ. ჩადის. შევიდა. შემოვიდა. მოხვალ. გადი. შემოხვალ. წამოვედი. მოვდიოდი. მოვდიოდი.

10. ვაკეთებდი, გავაკეთებ. ვსადილობდი, ვისადილებ. ვამზადებდი, მოვამზადებ. ვსაუზნობდი, ვისაუზნებ. ვწერდი, დავწერ. ვფიქრობდი, ვიფიქრებ. ვალაგებდი, დავალაგებ. ვსაუბრობდი, ვისაუბრებ (ვილაპარაკებ). ვაშენებდი, ავაშენებ. ვრეცხავდი, გავრეცხავ, ვვაჭრობდი, ვივაჭრებ. ვხატავდი, დავხატავ. ვაუთობდი, დავაუთობ. ვცეკავდი, ვიცეკვებ. ვკერავდი, შევკერავ. ვკითხულობდი, წავკითხავ. ვუსმენდი. მოვუსმენ. ვჭამდი, შევჭამ. ვვანშობდი, ვივანშობ. ვთამაშობდი, ვითამაშებ. ვჩქარობდი, ვიჩქარებ.

11. მიდიხართ. მივდივართ. ვიყავი. წავალთ. იყავით, ვიყავი. ვიყავი. მიდიოდნენ. წახვალთ. მოვლენ.

13. ვიცოდი. იცი. ვიცოდი. იცით. იცოდა. იცის. იცით. ეცოდინება.

14. მივდივარ. მოვდივარ. დავდივარ. მიდიხარ. მივდივარ. მოხვალ. მოვალ. მივედი. მოხვედი. წამოვედი. მოვალ. მივდივარ. ჩამოვიდა. მივდივართ. წამოვალ. წამოხვალ. მივდივარ. მიდიხარ, მივდივართ. წავალთ.

Part IV

5. დაწერა. შეჭამა. მოკრიფეს. მოვისმინე. გაშალა, შეკერა. დაკარგა. შეჭამეს. დაჭრა. დახურა. მოვიგე. წაიკითხა. დავხარჯეთ. ხაჭაპური. დაიძალა. დათომ. დედამ. დააძინა. დაიწყო. ააშენეს. გამოაცხო. შეჭამა. დახურა. ილაპარაკეს, მასწავლებელმა. გაკვეთილი, იფიქრა. 6. წერილი. ჩემმა მშობლებმა. დედამ, ჭურჭელი. ნინომ ლამაზი კაბა. ბიჭმა დედას. ჩემმა მეგობარმა ტელეფონი. ბიჭებმა, ფეხბურთი, ბუნარი. ბავშვებმა, ტაქსი. ნიკო, დაწვა. პატარა ბავშვმა დაასხა ცხელი წყალი. ნიკომ, სიმღერა. გაკვეთილები. მეგობრებმა. ელენემ. ვანომ. ქეთიმ, ლექსი. ბავშვებმა, ნიგვზიანი, შოკოლადი. გიორგიმ, წიგნი. ბებია მ ხორცი და კარტოფილი. სახლი. გოგონამ. ნინოს, ფული. ნანას. თამარს შვილი. გიორგიმ დედას. თინამ ლამაზი პერანგი, ბავშვს.

10. გადაიხადოს. გადათარგმნო. გაშალოს. დავხუროთ. წავიდეთ. დაამთავროს. დახატოს. შეწვას. გაგზავნო, დაკარგო. ჩაიცვა. გაიმეორეთ. მოამზადეთ. გამოაცხო, გავათბოთ. ვიყო, მოვლენ. იყვნენ, წაიღო. გაგზავნონ. დახარჯოთ. დავლით დაიწყეთ, ვაჩუქეთ. შეჭამო. შევინახოთ. დაბეჭდოთ. გამოცვალო. დაიხურო. ჩააცვა. მოარჩინოს. გაუაჩუროთ, წავიდეთ. ადგეთ.

Part V

1. უფრო დიდია? 2. უფრო მალე 3. უფრო ლამაზი. 4. ადრე – უფრო ადრე. 5. საუკეთესო

მეგობარი. 6. მოწითალოა. 7. უკეთესია. 8. უღარიბესი. უკეთილესი. უფრო ძვირია. 10. მოყვითალო.

Part VI

3. 1) ლონდონში. 2) სკოლაში. 3) აღმართზე. 4) დავითთან. 5) კედელზე. 6) სახლიდან. 7) ამერიკელი მეგობრებისაგან. 8) მოედნამდე. 9) ზაფხულში, მცხეთიჯვარში. 10) კონცერტზე. 11) მოედნამდე. 12) მეგობრისათვის. 13) ბიბლიოთეკაში, საათამდე. 14) უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე. 15) ცურვაში, რაგბში, კალათბურთსა და ფეხბურთში. 16) ფეხბურთზე. 17) ანასთან. 18) ოთახში ფანჯარასთან. 19) დედაჩემისაგან. 20) ხისგან. 21) დილით 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე. 22) ხეობაში.

4. ლექციის. სახლის. გაკვეთილების. უნივერსიტეტის. წვიმის. ისტორიის. მეგობრებს, ფილმის, მასწავლებლის, ღობის, მის.

6. სვამ. ვსვამ. სვამს. სვამს. დავლიე. დალიეს. სვამ, ვსვამ. დავლიეთ. ვსვამ. დალია. დავლევ. დავლიო.

7. 1) მშია, ვჭამოთ. 2) შეჭამ, შევჭამ, დავლევ. 3) წყურია. 4) მივცემ, იყიდოს. 5) ვჭამე, მშია. 6) მოგცეთ, გინდათ. 7) ამიწონეთ. 8) შეჭამ. 9) გვწყუროდა, დავლიეთ.

Part VII

5. აწერინებს. ანათებინებს, ათხრევინებს. ახატვინებს. აწყებინებს. აყიდვინებს. მოაკვლევინებს, აკერინებს. აბეჭდინებს, ახაზვინებს აჩერებინებს, ალაგებინებს, აბანინებს, აშენებინებს, არეცხინებს.

6. 1) გადავაწყვეტინებ. 2) დააღვინა. 3) დააყრევინეს. 4) აზრდევინებდნენ. 5) შეაკერინა. 6) ჩააწერინეს. 7) გააწმენდინა. 8) მოასმენინებ. 9) დაახვევინებ. 10) ათარგმნინეს 11) ახდევინებს. 12) ახატვინებს, 13) აწვევინებს, 14) ვასწორებინებ. შეამოწმებინოთ. ანთებინეთ.

9. 1) წევხარ. 2) ხიზარ. ვზივარ. 3) ზიხარ. 4) დგახართ, ვდგავარ. 5) წევხართ, ვწევართ. 6) ვწევარ. 7) აბია. 8) წერია. 9) კიღია. 10) უსხია. 11) გიწერია, მიწერია. 12) აწყვია. 13) აკერია. 14) უკიღია. 15) ანთია, ანთია. 16) აგღია. 17) წერია. 18) ყრია. 19) კიღია, კიღია. 20) სხედან, ვსხედვართ. 21. დგანან, დგანან. 22) დგას, 23. წევს. 24. ვზივარ.

10. თბილი, ღრუბელი. წვიმა. იცოდა. ცხელი, გრილი. თბილი, თოვლი, ყინვა ზამთარი.

Part VIII

1. 1) ისმის. 2) გისმენ, მითხარი. 3) უსმენდა. 4) გისმენთ. 5) მესმის. 6) მესმოდა. 7) ეუბნება. 8) დაველაპარაკები. 9) ვუთხრა. 10. გაიგონა, ხმა. 11. მოვუსმინე. 12) ლაპარაკობს. 13) ელაპარაკებოდა. 14) ესმის, ველაპარაკები. 15) უსმენდნენ. 16) ელაპარაკებიან. 17) ვილაპარაკეთ. 18) არ ველაპარაკები, მელაპარაკება. 19) ვუთხრა. 20) მითხარი, მოხვედი.

Part IX

1. 1) უყურებს. 2) ვნახე, მინახავს. 3) ხედავს. 4) დაინახავ. 5) ვნახოთ. 6) ვუყურებდი, 7) ვუყურე. 8) მინახავს. 9) დაინახა. 10). გაიხედე.

Dictionary

Structure of the Dictionary

All parts of speech that are met in this book are included in the dictionary as independent lexical units. Lexical units are situated in alphabetical order and have appropriate characteristics, namely it is indicated to which parts of speech they belong. Words, which change, are given in their several forms.

Nouns are presented in the Nominative case, singular and Genitive case form is indicated for those nouns the stem of which changes in declension. Adjectives are presented in the Nominative case.

Verbs are mainly given in the present tense, III person and then follow the future and past perfect forms

Verbal forms of the past perfect are given together with a pronoun if it stands in the Ergative case and if it does not, the pronoun is not indicated.

Abbreviations

person - pers.	demonstrative pronoun - demonstr. pr.
plural - pl.	adjective - a.
singular - sing.	participle - p.
case - c.	present tense - pres. t.
tense -t.	past tense - past t.
noun - n.	future tense - fut. t.
verb - v.	inanimate - inanim.
grammar - gram.	animate - anim.
adverb - adv.	perfective aspect - perf. asp.
interjection - int.	ergative case - erg. c.
conjunction-conj.	nominative case - nom. c.
compound verb - comp. v.	vocative case - voc. c.
interrogative pronoun - int.	adverbial case - adv. c.
negative pronoun - neg. pr.	genitive case - gen. c.
relative pronoun - rel. pr.	negative particle - neg. part,
	imperative mood - imp. m.

ს

აბა! - now
 აბაზანა (აბაზანის) - bathroom
 აბამს (მიაბამს, მან მიაბა; დააბამს, მან დააბა) - she binds, she is binding, she ties
 აბანო - bath - house
 აბი - pill, tablet
 აბიტურიენტი - school-leaver
 აბრეშუმი - silk
 აბრუნებს (1. დააბრუნებს - მან დააბრუნა - 2. მან აბრუნა) - he returns, he is returning, he sends back
 აბრძანდეს! აბრძანდება - stand up, get up (imp. m)
 აგარაკი - cottage, dacha
 აგებს - (ააგებს - მან ააგო) - he constructs, he is constructing, he builds
 აგებული - constructed
 აგვისტო - August
 აგვიანებს (დაავვიანებს, მან დაავვიანა) - he is late
 აგრეთვე - adv. also
 აგროვებს (მოაგროვებს, მან მოაგროვა) - he collects, he is collecting, he gathers
 აგრონომი - agriculturist
 აგრძელებს (გააგრძელებს, მან გააგრძელა) - he continues, it goes on
 ადამიანი - person, human, being
 ადგილი - place
 ადგომა (ადგომის) - to get up, to stand up
 ადექი - stood up, got up (II pers. past t.) stand up, get up (imp. m.)
 ადეილად - adv. easily
 ადის - he goes upstairs, he climbs
 ადმინისტრატორი - administrator
 ადრე - early
 აერთიანებს (გააერთიანებს, მან გააერთიანა) - he unites
 აეროდრომი - airfield
 აეროპორტი - airport
 ავადაა (ავად გახდება, ავად გახდა) - he is ill, hi is sick
 ავადმყოფი - sick
 ავალ - I will go upstairs (I pers. fut. t.)
 ავანთე - I switched on, I lit
 ავექი - I got up
 ავეივარ - I am going upstairs, I am climbing
 აველი - I went upstairs, I climbed
 ავეჯი - furniture
 ავი - furious
 ავიაცია (ავიაციის) - aviation
 ავსებს (აავსებს, მან აავსო) - he fills, he is filling
 ავტობიოგრაფია (ავტობიოგრაფიის) - autobiography
 ავტობუსი - bus
 ავტომანქანა (ავტომანქანის) - car

ავტომატი - shotmachine, submachine, gun
 ავტონომიური - autonomic
 ავტორი - author
 ავტორიტეტი - authority
 აზერბაიჯანელი - Azerbaidzanian
 აზრი (ჩემი აზრით) - idea, opinion, (in my opinion)
 ათავენს (გათავენს, მან გაათავა) - he finishes, he ends, he is finishing
 ათასი - thousand
 ათასჯერ - thousand times
 ათეთრებს (გათეთრებს, მან გაათეთრა) - he whitens, he is whitening
 ათვლიერებს (დაათვლიერებს, მან დაათვლიერა) - he surveys, he is surveying
 ათი - ten
 აი! - here is, this is
 აივანი - balcony
 აინტერესებს - he is interested in
 აიღო - he took
 აკადემია (აკადემიის) - academy
 აკადემიკოსი - Academician
 აკანკალებს - he trembles, he is trembling
 აკეთებს (გაკეთებს, მან გააკეთა) - he does, he is doing
 აკრძალვა (აკრძალვის) - prohibition, to prohibite
 აკრძალული - prohibited
 აკუმულატორი - accumulator
 ალაგებს (დაალაგებს, მან დაალაგა) - he tidies up, he is tidying
 ალბათ - probably, perhaps
 ალგებრა (ალგებრის) - algebra
 ალმასი - uncut diamond
 ალუბალი (ალუბლის) - cherry
 ალუმინი - aluminium
 ალუჩა (ალუჩის) - plum
 ამ (ამან, ამას) - this (short form of the demons, pr.)
 ამაზე - about it, about this
 ამნათი - parcel
 ამის გარდა - besides this
 ამბავი (ამბის) - news
 ამბობს (იტყვის, მან თქვა) - he says, he is saying
 ამდენი - so much (many)
 ამზადებს (მომზადებს, მან მოამზადა) - he prepares, he is preparing
 ამთავრებს (დაამთავრებს, მან დაამთავრა) - he finishes, he is finishing, he ends
 ამიერკავკასია - Caucasus
 ამინდი - weather
 ამისთანა - pr. such
 ამისთვის - pr. for this
 ამიტომ - adv. because of, that's why, therefore
 ამოვივარ (ამოვალ, ამოველი) - I am going upstairs, I am ascending (comp. v. I pers. pres. t.)

ამორჩევა (ამორჩევის)	- to elect, to choose, election	ასტრონომია (ასტრონომიის)	- Astronomy
ამორჩეული	- elected	ასული	- daughter
ამოცანა (ამოცანის)	- tusk	ასწორებს (გაასწორება, მან გაასწორა)	- he corrects, he is correcting
ამოწმებს (შეამოწმებს, მან შეამოწმა)	- he checks, he is checking, he verifies	ატამი (ატმის)	- peach
ამჟამად	- at present	აუდიტორია (აუდიტორიის)	- auditorium
ამტკიცებს	- he proves, he is proving	აუზი	- swimming pool,
ამფითეატრი	- circle	აუთოებს (დააუთოებს, მან დააუთოა)	- he irons, he presses, he is ironing
ამხანაგი	- friend	აუცილებელი	- necessary
ან	- or	აუცილებლად	- by all means, without fail
ანბანი	- alphabet	აფასებს (დააფასებს, მან დააფასა)	- he appreciates
ანათებს (გაანათებს, მან გაანათა)	- he illuminates, he shines, he lightens	აფენია	- it is spread, it is laid
ანალიზი	- analysis	აფთიაქი	- chemist's
ანანასი	- ananas	აფრენა (აფრენის)	- to fly
ანატომია (ანატომიის)	- Anatomy	აფრინდება	- it will fly, it will take off
ანგარიში	- account, bill	აფხაზეთი	- Abkhazia
ანგარიშობს (იანგარიშებს, მან იანგარიშა)	he counts, he is counting	აქ	- here
ანგინა (ანგინის)	- quincy	აქებს (შეაქებს, მან შეაქო)	- he praises
ანდერძი	- testament, will	აქედან	- from here
ანთება (ანთების)	- 1) to light, 2) inflammation	აქეთკენ	- to this way
ანთია	- it is lighted	აქვს	- he has (inanim)
ანკეტა (ანკეტის)	- form questionnaire	აქლემი	- camel
ანუ	- or, i. e.	აქტი	- act
აპატიებს	-he will forgive	ალარ	- neg. part, not any more
აპრილი	- April	აღებს (გააღებს, მან გააღო)	- he opens, he is opening
არ	- neg. part, not	აღმართი	- ascent
არა	- no	აღმატებითი ხარისხი	- superlative degree
არავინ	- neg.pr. nobody, none	აღმაშენებელი	- builder, constructor
არავის	- nobody	აღმოსავლეთი	- The East
არავისი	- nobody's	აღმოჩენა	- to discover, to be found, to reveal, discovery
არამედ	- but	აღწერა (აღწერის)	- to describe, description
არაჟანი (არაჟნის)	- sour-cream	აშენება (აშენების)	- to build
არაფერი	- nothing	აშენებული	- built
არაყი (არყის)	- vodka	აჩვენებს	- he shows, he points, he is showing
არდადეგები	- holidays vacations	აჩქარებული	- accelerative, hastened
არითმეტიკა (არითმეტიკის)	- arithmetics	აცვია	- he wears
არის	- he, she, it is	აცხადებს (გამოაცხადებს, მან გამოაცხადა)	- he announces, he declares, he is announcing
არსება (არსების)	- being, creature	აცხობს (გამოაცხობს, მან გამოაცხო)	-he bakes, he is baking
არსებითი	- substantial	აძლევს	- she gives
არტყამს (დაარტყამს, მან დაარტყა)	he hits, he kicks, he is kicking	აჭარა (აჭარის)	- Adjara
არჩევა	- to elect, to choose	ახალგაზრდა	- young
არც	- part.s neither... nor	(ახალგაზრდის)	
არწივი	- eagle	ახალი	- new
არხი	- canal, channel	ახალშობილი	- -new born
ასაკი	- age	ახლა	- adv. now
ასანთი	- match	ახლანდელი	- adv. present
ასე	- adv. so this way	ახლავე	- adv. just now
ასევე	- also, as well	ახლო, ახლოს	- adv. near
ასეთი -	- such, this kind of	ახლობელი (ახლობლის)	- close (friend, relative)
ასი	- hundred		
ასო	- letter		
ასპექტი	- aspect		
ასრულებს (შეასრულებს, მან შეასრულა)	- he executes, he fulfills		

ბაბუა (ბაბუის)	- grandfather	ბუზი	- fly
ბაღრიჯანი (ბაღრიჯანის)	- eggplant	ბულბული	- nightingale
ბავშვი	-child, kid	ბულგარეთი	- Bulgaria
ბაზარი (ბაზრის)	- market	ბუნება (ბუნების)	- nature
ბაზრობა (ბაზრობის)	- fair	ბურთი	- ball
ბალი (ბლის)	- cherry	ბუფეტი	- refreshment
ბალიში	- pillow	ბუმტი	- bubble
ბამბა	- cotton		ბ
ბანაობა	- to swim, to bathe, swimming	გაგება	- to understand
ბანდეროლი	- parcel	გაგზავნა (გაგზავნის)	- to send
ბანკი	- bank	გადავდივარ	- I am moving in
ბაჟი	- tax	გადის	- he goes out, he is going out
ბარათი	- letter	გადაცემა (გადაცემის)	- broadcast, transmission
ბარგი	- luggage	გადასასვლელი	- underground
ბარტყი	- nestling	გავრცობილი წინადადება	- complex sentence
ბარძაყი	- thigh	გაზაფხული	- Spring
ბატკანი (ბატკნის)	- lumb	გაზეთი	- newspaper
ბატონი	- mister	გათობა (გათობის)	- heating, to heat
ბაქანი (ბაქანის)	- platform	გათხოვება (გათხოვების)	- to get married
ბალი	- garden	გათხოვილი	- married
ბგერა (ბგერის)	- sound	გაკვეთილი	- lesson
ბებია (ბების)	- grandmother	გალერეა (გალერეის)	- gallery
ბედი	- fate, fortune, luck	გამარჯობა(თ)!	- hello, good morning/afternoon/evening
ბედნიერი	- happy	გამზირი	- avenue
ბედნიერება (ბედნიერების)	- happiness	გამოკლება (გამოკლების)	- deduction, to deduct
ბევრი	- many, much, a lot of	გამომცემლობა (გამომცემლობის)	- publishing house
ბელეტაჟი	- first floor	გამომცხვარი	- baked
ბენზინი	- petrol	გამოსახლება	- reflection
ბერი	- monk	გამოფენა (გამოფენის)	- exhibition
ბელურა (ბელურის)	- sparrow	გამოჩენილი	- famous, outstanding, well-known
ბეწვი	- fur	გამოცდა, (გამოცდის)	- examination
ბეჭედი (ბეჭდის)	- 1. ring, 2. stamp, 3. seal	გამრავლება (გამრავლების)	- multiplication, to multiply
ბეჯითი	- dilligent	გამყიდველი	- seller
ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკის)	- library	გამზდარი	- thin, lean, slim
ბინა (ბინის)	-flat	განათლება (განათლების)	- education, to educate
ბიოგრაფია (ბიოგრაფიის)	- biography	განვითარება (განვითარების)	- development, to develop
ბიოლოგია (ბიოლოგიის)	- Biology	განიერი	-wide
ბიურო	- office, bureau	განმავლობაში	-during
ბიუჯეტი	- budget	განმანათლებელი	- enlightener
ბიცოლა	- aunt (uncle's wife)	განსაზღვრება (განსაზღვრების)	- definition
ბიძა, ბიძია (ბიძის)	- uncle	განსაკუთრებით	- adv. especially, particularly
ბიძაშვილი	- cousin	განსაკუთრებული	- special
ბიჭი	-boy	განაწილება (განაწილების)	- distribution, to distribute
ბნელი	-dark	განყოფილება (განყოფილების)	- department, section
ბოდიში!	- pardon, apology, excuse	განცხადება (განცხადების)	- declaration
ბოთლი	- bottle	გარდაცვალება (გარდაცვალების)	- to die, death
ბოლო	- end	გარდაიცვალა	-he died
ბოლოკი	- radish	გარე	- outer
ბოსტნეული	- vegetable	გარემოება (გარემოების)	- circumstance, case
ბრილიანტი	- diamond		
ბრინჯი	- rice		
ბრმა	- blind		
ბროწეული	- pomegranate		
ბრუნვა (ბრუნვის)	- case, declension, to decline		
ბრძანება (ბრძანების)	- to order, comment		

გარეული	- wild	დაბლა	- below
გარეცხვა (გარეცხვის)	- to wash	დაბრძანდი!	- sit down (II pers. imp. m.)
გასასვლელი	- exit	დაბრუნდა	- he returned, he came back.
გასაღები	- key	დაგვიანება (დაგვიანების)	- to be late coming late, delay
გასვლა (გასვლის)	- to go out	დადგენილება (დადგენილების)	- decision, decree
გაუთხოვარი	- single, maiden	დადებითი	-positive
გაუმარჯოს!	- long live	დადის	- he goes
გაურეცხავი	- unwashed	დავალება (დავალების)	- homework, obligation
გაშორებული	- divorced	დათვალიერება (დათვალიერების)	- survey, inspect, inspection
გაჩერება (გაჩერების)	- stop, station, to stop	დათვი	-bear
გაჩვენებ	-I will show you	დაკავებული	- arrested, to be busy
გაჩუქებ	-I will present you	დაკრძალვა (დაკრძალვის)	- funeral
გაციებული	- to be cold	დამარცხება (დამარცხების)	- defeat, to defeat
გაცნობა (გაცნობის)	- acquaint	დამფუძნებელი (დამფუძნებლის)	- founder
გაყიდვა (გაყიდვის)	- to sell	დამწერლობა (დამწერლობის)	- writing
გაყიდული	- to be sold	დანა (დანის)	- knife
გემი	- sheep	დაპატიჟება (დაპატიჟების)	- invitation, to invite
გემო	- taste	დარბაზი	- hall
გემოვნება	- taste	დარტყმა (დარტყმის)	- hit, strike
გენაცვალე	-I would take your troubles	დასავლეთი	- the West
გეოგრაფია	Geography	დასვენება (დასვენების)	- to rest, rest
გეომეტრია	Geometry	დასასვენებელი სახლი	- rest house
გვარი	- surname	დასასრული	- end, finish
გველი	- snake	დასაწყისი	- beginning
გვერდი	- side	დასხედით	- sit down (II pers. pi. imp. m.)
გვიან	- adv. late	დაფრინავს	- it flies, it is flying
გვირილა (გვირილის)	- daisy	დაღმართი	- descent
გზა (გზის)	- road, way	დაწერილი	- written
გინდა	- you want (II pers. pres.t.)	დაწეკი!	- go to bed (II pers. imp. m.)
გინეკოლოგი	- gynaecologist	დაწვა	- he went to bed, to burn
გმირი	- hero	დაზასიათება (დაზასიათების)	- description, testimonial, to describe
გოგირდი	- sulphur	დაზატვა (დაზატვის)	- to draw, to paint
გოგო	- girl	დაზატული	- painted, drawn
გოგონა	- girl	დაჯარიმება (დაჯარიმების)	- to menalize
გოზინაკი	- gozinaki (Georgian sweet)	დაჯდომა (დაჯდომის)	- to sit down
გოჭი	- piglet	ღგას	- he stands, he is standing
გრადუსი	- degree	ღგება	- he gets up
გრამატიკა	- Grammar	ღგომა	- to stand
გრამი	- gram	ღგდა (ღგდის)	- mother
გრიპი	- flue	ღგდაენა (ღგდაენის)	- native language
გრძელი	-long	ღგდალი (ღგდლის)	- hen
გრძნობა (გრძნობის)	- feeling, to feel	ღგდამილი	- mother-in-law
გული	- heart	ღგდამიწა (ღგდამიწის)	- earth
გული ერევა	- he vomits	ღგდაქალაქი	- capital
გულკეთილი	- gentle, kind hearted	ღგილა (ღგიდის)	- aunt
გულშემატკივარი	- fan	ღგილაშვილი	- cousin
გუნდი	- team	ღგკანი	- dean
გურული	- Gurian	ღგკემბერი (ღგკემბრის)	- December
გუშინ	- adv. yesterday	ღგმოკრატია (ღგმოკრატის)	- democracy
გუშინდელი	- adv. yesterday's		
გუშინწინ	- adv. the day before yesterday		
ღ			
ღა	- 1) sister, 2) and		
ღაარსა	- it was founded by		
ღაახლოებით	- approximately		
ღაიბადა	- he was born		
ღაბალი	- short		

დემოკრატიული	- democratic	ექნება	- he will have (inanim.)
დენი	- current	ექსპონატი	- exhibit
დეპეშა (დეპეშის)	- message, telegram	ეყოლება	- he will have (anim.)
დეპუტატი	- deputy	ეჩქარება	- he is in a hurry
დიალოგი	- dialogue	ეჭვიანი	- jealous
დიასახლისი	- housewife	ეხვევა (მოეხვევა, მოეხვია)	- he embraces, he is embracing
დიახ!	- yes		ფ
დიდი	- big, huge	ვაგზალი (ვაგზლის)	- station
დიდხანს	- (for) a long time	ვაგონი	- carriage, car
დილა	- morning	ვაზი	- vine
დილით	- in the morning	ვაი!	- int. woe!
დიპლომი	- diploma	ვალერიანის წვეთები	- drops of valerian
დირექტორი	- director	ვალუტა (ვალუტის)	- currency
დისწული	- niece, nephew	ვაჟი	- a boy, son
დოკუმენტი	- document	ვაჟიშვილი	- son
დნება	- it melts, it is melting	ვაჟკაცი	- manly man, a brave man
დრამა (დრამის)	- drama	ვარ	- I'am
დრამატურგი	- playwright, dramatist	ვარდი	- rose
დრო	- time	ვარდისფერი	- pink
დღე (დღის)	- day	ვარსკვლავი	- star
დღევანდელი	- today's	ვაშლი	- an apple
დღესვე	- just today	ვაჭრობა (ვაჭრობის)	- trade, commerce, to trade
დღეობა (დღეობის)	- birthday	ვაჭრობს (ივაჭრებს, მან ივაჭრა)	- he trades
დღეს	- adv. today	ვანში (ვანშიის)	- supper
დღესასწაული	- holiday	ვანში	I am standing
	ე	ვდგავარ	- vineyard
ებრაელი	- Jew	ვენახი	- neg. part, no, not, can't
ებრაული	- Jewish	ვერ	- silver
ეე	- demonst. pr. this, that	ვერცხლი	- tiger
ეევიბტე	- Egypt	ვეფხვი	- "The Knight in the Tiger's Skin"
ეევიბტელი	- Egyptian	ვეფხისტყაოსანი	- I am sitting
ევროპელი	- European	ვზივარ	- videotape
ევროპული	- European	ვიდეომაგნიტოფონი	- circumstance
ეზო	- yard, playground	ვითარება (ვითარების)	- I was standing
ეკლესია (ეკლესიის)	- church	ვიდექი	- int. pr. who
ეკონომისტი	- economist	ვინ?	- somebody, someone
ელჩი	- ambassador	ვინმე	- donkey
ენა (ენის)	- language, tongue	ვირი	- whom
ენერგია (ენერგიის)	- energy, power	ვის	- whose
ენძელა	- snowdrop	ვისი	- vitamin
ერთად	- together	ვიტამინი	- 1 will be
ერთადერთი	- the only	ვიქნები	- pr. somebody
ერთი	- one	ვილაც	- 1 was
ერთ-ერთი	- one of them	ვიყავი	- narrow
ერთმანეთი	- each other	ვიწრო	- I was sitting, I sat
ერთხელ	- once	ვიჯექი	ზ
ეროვნება (ეროვნების)	- nationality	ზამბახი	- iris
ეროვნული	- national	ზამთარი (ზამთრის)	- winter
ეს	- demonst. pr. this, that	ზარალი	- damage
ესე იგი	- i. e.	ზარი	- bell
ესენი	- these	ზარმაცვი	- lazy
ესპანეთი	- Spain	ზაფხული	- summer
ესწრება	- he attend	ზეგ	- adv. the day after tomorrow
ეუბნება	- he tells him, he says to her	ზედმეტი	- extra
ეფერება	- he caresses	ზევიდან	- adv. from above
ექვსასი	- six hundred		
ექვსი	- six		
ექიმი	- doctor		

ზევით	- adv. above	თურქეთი	- Turkey
